ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წლიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კავოს (უოფ. დიდო მთავრის) ქ № 65. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგე 15—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფურცლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 17 მარტი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 63 (2106)

დღიური

— საბჭოთა კავშირს ხუთი მილიონი მანეთის კრედიტს აძლევენ ინგლისში.
— ინგლისის დემოკრატიული კონტროლის კავშირი მოითხოვს „ზინოვიევის წერილის" წარმოშობის გამოკვლევას.
— იაპონიაში დააპატიმრეს მუშურ-გლეხური პარტიის 600 მოღვაწე.
— საფრანგეთი ახალ სესხს ეძებს ამერიკაში.
— ნანკინის არმიის შტაბის უფროსად დანიშნულია ლი-ტი-სინი.

ახალი ანტი-საბჭოთა მანევრი

დღევანდელი დეპეშებიდან საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი გაკვირვებითა და აღშფოთებით ტყობილობს ახალ უმსგავსო მანევრს, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის ინტერესებისა, მისი კანონიერი უფლებებისა და საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სამეურნეო ურთიერთობის მშვიდობიანი განვითარების წინააღმდეგ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ინციდენტი რომელიც წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირიდან შეერთებულ შტატებში გაიგზავნა ოქროს ზოდების ტრანსპორტი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ამერიკის კონტრაგენტების მისამართით. ეს საქმე ყურადღებით განხილვას მოითხოვს.

შეერთებულ შტატებისა და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ბრუნვის დარგში ანგარიშების გასწორების გასაადვილებლად შეერთებულ შტატებში ოქროს განსაზღვრულ რაოდენობის გადაგზავნის აზრი დიდი ხანია დაიბადა იმათ შორის, ვინც ახლოს სდგას ამ ორი ქვეყნის სამეურნეო ურთიერთობასთან. განვითარებული საქონლის ბრუნვა ისეთ ორ დიდ სამეურნეო ერთეულს შორის, როგორიც საბჭოთა კავშირი და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებია, უკვე დიდი ხანია მოითხოვდა ანგარიშების უშუალოდ გასწორებას საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკსა და ამერიკის ფულის ბაზარს შორის. ეს სავსებით ეთანხმება ორივე ქვეყნის ინტერესებს. როგორც შეინმანის გამოქვეყნებულ ინტერვიუდან სჩანს, შეერთებულ შტატების დეპოზიტში ოქროს შეტანის ოპერაციები სავსებით ნორმალურად ვითარდებოდა და სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ის სიძნელენი, რომელნიც აღიმართა ოქროს გადამგზავნის გერმანიის ბანკ „გარკრებო"-სა და მისი მიმღებ ამერიკის ბანკებსა, საბოლოო ანგარიშით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკს შორის.

კიდევ მეტი ის სიძნელენი, რომლებიც გამოიხატა ნიუ-იორკის საშინჯი პალატის მიერ საბჭოთა კავშირიდან გამოგზავნილი ოქროს მიღების აკრძალვაში, აღმოჩნდა არა მარტო მოულოდნელი, არამედ გაუგებარიც ამერიკის დაინტერესებულ წრეებისათვის. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობის ავტორიტეტულ წარმომადგენლების განცხადებასა და მოქმედებას შორის არსებული წინააღმდეგობანი და შემდეგ წარმოშობილი ინციდენტი გასაგები გახდა მხოლოდ მაშინ, როცა გამოირკვა, რომ სწორედ 11 მარტს ერთი მხრით ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ცნობა საბჭოთა ოქროს მიღების უარყოფის შესახებ, როგორც ამას ადასტურებენ დღევანდელი დეპეშები, და მეორე მხრით, ამავე დღეს საფრანგეთის ელჩმა ვაშინგტონში სახელმწიფო დეპარტამენტს გადასცა ნოტა, რომელშიაც საფრანგეთის ბანკი აცხადებს პრეტენზიას, რომ საბჭოთა კავშირიდან გადაგზავნილი ოქროს ზოდები მას ეკუთვნის.

ამრიგად დიდი მასშტაბის საქმიან, სამეურნეო ოპერაციას, რომელიც დაიწყო ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების არა მარტო მსხვილ საბანკო ინსტიტუტების თანხმობით, არამედ მთავრობის სათანადო ორგანოების თანხმობითაც, გადაეღობა დაბრკოლება იმის გამო, რომ საფრანგეთის ბანკმა წარუდგინა პრეტენზია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკს. ამიტომ ვიღებთ რა მხედველობაში საფრანგეთის ბანკის უმსგავსო გამოსვლას, რომელმაც მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადაიტანა თავისი დავა სახელმწიფო ბანკთან, და ამ ნაბიჯიდან გამომდინარე სერიოზულ შედეგებს,— მართებული იქნება, თუ ჩვენ ყურადღებით გამოვარკვევთ საფრანგეთის პრეტენზიების არსებას და მათი დასაბუთების ხასიათს.

საფრანგეთის ბანკმა ამერიკის სასამართლოში მოულოდნელად წარადგინა სარჩელი ნიუ-იორკში ჩატანილ საბჭოთა ოქროს საკუთრების უფლებაზე. სარჩელი ემყარება იმას, რომ შეერთებულ შტატებში გაგზავნილი ოქროს ზოდები, "სწორედ ის ზოდებია", რომლებიც საფრანგეთის ბანკმა შეიტანა რუსეთის სახელმწიფო ბანკის დეპოზიტში რევოლიუციამდე. ასეთი პრეტენზიის დასასაბუთებლად, ცხადია, საჭიროა ორი ელემენტის, ან და ყოველ შემთხვევაში, ერთი ელემენტის არსებობა მაინც: ჯერ ერთი. საჭიროა, რომ ამ ოქროს ეხლანდელი პატრონი იყოს იგივე პირი, რომელსაც საფრანგეთის ბანკმა, როგორც ის ამტკიცებს, ათ წელზე მეტია, რაც გადასცა თავისი ოქროს ზოდები და, მეორე ის,რომ ეს ოქრო სწორედ ის ოქროა, რომლის შესახებაც ლაპარაკია. არ არის საჭირო ღრმა იურიდიული ანალიზი იმის დასანახად რომ ამ შემთხვევაში ორივე ეს ელემენტი არ არსებობს.

როგორც თავის დღევანდელ ინტერვიუში აღნიშნავს შეინმანი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკი არ წარმოადგენს რუსეთის სახელმწიფოს ბანკის მემკვიდრეს არც უფლებრივ და არც მატერიალური თვალსაზრისით. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკი საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების სხვა ახალ სუბიექტებთან ერთად შეიქმნა სრულიად ახლად ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს. მას არამც თუ მიუღია ყოფილ სახელმწიფო ბანკის აქტივი და პასივი, არამედ ის ოდნავადაც არ წარმოადგენს რევოლიუციის პირველ წლებში არსებულ სახალხო ბანკის მემკვიდრეს. ეს უკანასკნელი ლიკვიდაციის შემდეგ შევიდა ფინანსთა სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში. რამდენადაც მთელი მისი მნიშვნელობა სამხედრო კომუნიზმის პირობებში გამოიხატებოდა იმაში, რომ ის ასრულებდა საფინანსო ანგარიშების გამსწორებელი ინსტანციის ფუნქციებს. სახელმწიფო ბანკი კი წარმოადგენს ახალ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს საბანკო ოპერაციებით ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით.

უკვე ამ გარემოებათა გამო ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სახელმწიფო ბანკის მიერ შეერთ. შტატებში გაგზავნილი ოქროს ზოდები, იყოს ის ოქროს ზოდები, რომლებიც ოდესღაც შეტანილი იყო რუსეთის სახელმწიფო ბანკის დეპოზიტში. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. არსებობს კიდევ უფრო კონკრეტიული საბუთები იმისათვის,, რომ საფრანგეთის ბანკის სარჩელს არავითარი ნიადაგი არა აქვს. არ არის საძნელო იმის დამტკიცება, ხოლო იმათთვის კი, ვინც ობიექტიობა შეინარჩუნა, დამტკიცებაც კი არ სჭირია იმ გარემოებას, რომ ნიუ-იორკში ამჟამად არსებული ოქროს ზოდები ეკუთვნის იმ ოქროს, რომელიც ამოღებულია 1925—26 წ. ამ გადამწყვეტ მომენტს ადასტურებენ ზოდებზე გაკეთებული დაღები, სათანადო-საბუღალტრო დოკუმენტები და მთელი რიგი სხვა გარემოებანი. ამრიგად, უფლებრივი მხრით საფრანგეთის ბანკის გამოსვლა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ის ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. მით უფრო გასაოცარია ის გარემოება, რომ ბანკის გამოსვლას მხარი დაუჭირა შესაფერისი დიპლომატიური ნაბიჯებით საფრანგეთის ელჩმა ვაშინგტონში. დამახასიათებელია, რომ კლოდელის ნოტა, რამდენადაც შეიძლება ამ ნოტაზე მსჯელობა ვიქონიოთ, უკვე აღარ ამტკიცებს, რომ ეს ოქრო ის ოქროა, რომელიც საფრანგეთის ბანკს ჰქონდა შეტანილი ოდესღაც რუსეთის სახელმწიფო ბანკის დეპოზიტში, ნოტა იმყარება თვით საფრანგეთის ბანკის იმ პრეტენზიის არსებობის ფაქტს, რომელიც თითქო იძლევა კომპენსაციის სათანადო მოთხოვნის საფუძველს.

ამ სტადიაში საქმე მეტად სპეციფიურ-პოლიტიკურ ხასიათს ღებულობს. ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცდასთან —მისცენ სრულიად ახალი მიმართულება საფრანგეთ- საბჭოთა ურთიერთ პრეტენზიებისა და ანგარიშების გასწორების საკითხს და მოულოდნელად გადაიტანონ ეს პრობლემა სრულიად სხვა ნიადაგზე. დღემდე საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთ პრეტენზიების მოგვარების საკითხი წარმოადგენდა ამ ორი ქვეყნის ავტორიტეტულ წარმომადგენლების შესაფერის მოლაპარაკების საგანს. ეს მოლაპარაკება მიმართულია იქითკენ, რომ გამოინახოს საუკეთესო საშუალებები —ორივე ქვეყნისთვის საინტერესო საკითხების მოსაგვარებლად და ჩვენის აზრით უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები დასახულ მიზნის მისაღწევად. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, რომ საფრანგეთ- საბჭოთა ანგარიშების გასწორების საკითხი წარმოადგენს ამ ორი ქვეყნის უშუალო მოლაპარაკების საგანს და რომ ეს საკითხი მხოლოდ ამ გზით შეიძლება გადაიჭრას.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ 1924 წელში საფრანგეთის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი გაგზავნილ ნოტაში, რომელიც შეიცავდა საბჭოთა მთავრობის დე-იურეთ ცნობას, აღნიშნული იყო, რომ გადაუჭრელ საკითხების მოსაგვარებლად სდგება კონფერენცია და შესაფერისი მოლაპარაკების დამთავრებამდე გადადებულია „ორთავე სახელმწიფოს შორის არსებულ ყველა პრეტენზიების ლიკვიდაცია". როგორც აღვნიშნეთ, შესაფერისი მოლაპარაკება სწარმოებს და ის ჯერ-ჯერობით არ დამთავრებულა, მაგრამ მნიშვნელოვანი ეტაპი უკვე განვლილია. სავსებით ცხადია, რომ სანამ ეს მოლაპარაკება არ დამთავრებულა და რამდენადაც არ არსებობს არავითარი საფუძველი იმის მტკიცებისათვის, რომ ეს მოლაპარაკება ვერ მიაღწევს მიზანს,— ძალაში რჩება იმ ნოტიდან გამომდინარე ვალდებულება. რომლითაც საფრანგეთის მთავრობა სცნობდა საბჭოთა კავშირს და რომელიც ითვალისწინებს ორივე ქვეყნის ურთიერთ ანგარიშების გასწორების გადადებას. და, მაშასადამე, დაუშვებელია სხვა ისეთი რომელიმე ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც მიმართულია პრეტენზიების ლიკვიდაციისაკენ სხვა გზით.

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ საფრანგეთის ბანკის გამოსვლისა და საფრანგეთის მთავრობის დიპლომატიური გამოსვლის აბსოლიუტურ უსაფუძვლობის გაშუქებას არა მარტო იმ პრაქტიკულ მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს ამ გამოსვლების უნიადაგობის დამტკიცებას. ამ გამოსვლების უსაფუძვლობა განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ ახალ ანტისაბჭოთა მანევრის პოლიტიკურ მნიშვნელობას. რომლის მოწმენიც ჩვენ ვართ ამჟამად

სახელმწიფო ბანკის მიერ შეერთებულ შტატებში გაგზავნილ ოქროს ხელში ჩაგდების ცდა წარმოადგენს აშკარა ცდას არამც თუ ზიანი მიაყენონ, არამედ პირდაპირ ჩაშალონ სამეურნეო ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ამერიკა- საბჭოთა კავშირის სამეურნეო კონტაქტის დიდი პერსპექტივები სავსებით ნათელია. ეს ურთიერთობა ყოველ წლობით მტკიცდებოდა და უეჭველად კიდევ უფრო განვითარდება შემდეგშიაც. ამიტომ არაა გასაკვირი, თუ ის, ვისაც სურს ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირის მშვიდობიან განვითარებას და მის სამეურნეო ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან, თავის მახვილს აღმართავს საბჭოთა კავშირისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ურთიერთობის განვითარების წინააღმდეგ. მაგრამ არ შეიძლება არ გამოვხატოთ დიდი გაკვირვება, როცა ასეთ ნაბიჯს სდგამენ იმ ქვეყნის მთავრობის წრეები, რომელიც საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დიპლომატიური ურთიერთობაშია. კიდევ უფრო მეტად არ ეგუება ასეთი მანევრი საფრანგეთის პოლიტიკური წრეების განცხადებას, რომ მათ სურთ დამოკიდებულების განმტკიცება საბჭოთა კავშირთან და ამ დამოკიდებულებისათვის მეგობრული ხასიათის მიცემა.

თუ საბჭოთა ოქროს საკითხში უნიადაგო, ბოროტ. ანტი-საბჭოთა გამოსვლის ინიციატორები ფიქრობდენ, რომ ამერიკა- საბჭოთა ურთიერთობაში დაბრკოლებათა შექმნით ისინი განამტკიცებენ თავიანთ პოზიციებს ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის დამყარების საქმეში, — ისინი დიდად ცდებიან. ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და ის გამოწვეულია ორივე ქვეყნის საჭიროებებით. მისი დიდი ხნით და სერიოზულად შერყევა პროვოკაციული მანევრებით არ შეიძლება.

მაგრამ ამ მანევრებს შეიძლება ექნეს არა სასურველი შედეგები საბჭოთა კავშირისა და იმ ქვეყნის ურთიერთობისათვის, რომელმაც ეს მანევრები მოახდინა. საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი გულწრფელად სურს მეგობრული ურთიერთობის დამყარება საფრანგეთთან, რაც ოდნავადაც არ ასუსტებს ჩვენს ინტერესს ამერიკა-საბჭ. ურთიერთობაში. ვისაც ჩვენთან ერთად სურს ეკონომიური ურთიერთობის განვითარება საბჭოთა კავშირსა და მის გარშემო მდებარე ქვეყნებთან, მან გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღოს იმ უმსგავსო პოლიტიკური სპეკულაციის ასაკვეთად, რომელიც დაკავშირებულია შეერთებულ შტატებში გაგზავნილ საბჭოთა ოქროსთან. ეს ამოცანა სდგას აგრეთვე საფრანგეთისა და ამერიკის შესაფერის ორგანოების წინაშე. საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი ყურადღებით ადევნებს თვალყურს იმ ნაბიჯებს, რომლებსაც გადასდგამენ ისინი.

„იზვესტია", 16 მარტი.

საბჭოთა კავშირის და შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობა

საფრანგეთის ბანკის ანტისაბჭოთა მანევრები

ჩინეთის რეაქციის მორიგი მხეცური გამოსვლები

კრედიტი საბჭოთა კავშირს ინგლისში

ლონდონი, 15 მარტი. გაზ. „ივნინგ სტანდარტის" ცნობით, ხორცეული პროდუქტების ერთმა დიდმა ინგლისურმა კომპანიამ გადასწყვიტა მისცეს საბჭოთა ხორცეულით მოვაჭრე ორგანიზაციებს 500.000 გირ. სტერლინგის (დაახლოებით 5 მილიონი მან.) კრედიტი სამი წლის ვადით.

კომპანიის დირექტორმა ვესტიმ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ კომპანიის სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა საექსპორტო ორგანიზაციებთან დღევანდლამდე მეტად დამაკმაყოფილებლად და მეგობრულ ატმოსფერაში მიმდინარეობდა.

„ჩვენი გამოცდილება,—განაცხადა ვესტიმ, —ამტკიცებს, რომ შესაძლებელია სრულიად დამაკმაყოფილებელი საქმიანი ოპერაციების წარმოება საბჭოთა კავშირთან; ინგლისისათვის უეჭველი იქნებოდა, თუ ინგლის-საბჭოთა ვაჭრობა გაიზრდება და ინგლისის ფირმებს საბჭოთა კავშირი შეუკვეთავს საქონელსა და მანქანებს".

კრედიტის მიცემა დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ხორცეულით მოვაჭრე ორგანიზაციებსა და ინგლისის კომპანიას შორის ხელშეკრულების დადების პროექტთან, რომლის ძალითაც საბჭოთა ხორცეული პროდუქტების გაყიდვის უპირატესი უფლება ინგლისის ბაზარზე კომპანიას ეკუთვნის (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ლი-ტი-სინი—ნანკინის არმიის შტაბის უფროსი

შანხაი, 15 მარტი. კანტონის დიქტატორი ლი-ტი-სინი, რომელიც დაინიშნა ნანკინის არმიის შტაბის უფროსად შანხაიში გაემგზავრა

უკანონო დაპატიმრება

შანხაი, 15 მარტი, ჩინელთა ხელისუფლებამ იაპონიის კონსულს განუცხადა პროტესტი იმის გამო, რომ იაპონელებმა უკანონოდ დააპატიმრეს ოთხი კორეელი. იაპონიის კონსულმა ამის საპასუხოდ მოითხოვა, რომ ჩინელთა ხელისუფლებამ კიდევ დააპატიმროს სამი კორეელი. მოთხოვნილება უარყოფილ იქნა.

სამხედრო პირთა თარეში

შანხაი, 15 მარტი. ჩენდუში (სიჩუანის პროვინცია) სამხედრო პირებმა დაარბიეს გომინდანის ორგანიზაცია და დააპატიმრეს უმაღლესი და საშუალო სკოლების მასწავლებლები და მოსწავლენი. სულ დააპატიმრეს 80 კაცი, რომლებიც მეორე დღესვე დახვრიტეს.

ფინ იუ-ლინის დატყვევება

შანხაი, 15 მარტი. იუწყებიან, რომ ლილინის რაიონში ტყვედ წაიყვანეს კომუნისტური ჯარების უფროსი ფინ იუ-ლინი და აგრეთვე კომუნისტური რაზმის უფროსი ვან გუეი-სიანი (ადს).

მორიგი ანტი-საბჭოთა კამპანია საფრანგეთში

პარიზი, 15 მარტი. „ვოლონტე" უძღვნის რა მოწინავე წერილს იმ ანტი-საბჭოთა კამპანიას, რომელიც ხელ-ახლა გააჩაღა რეაქციონურმა ნაციონალისტურმა პრესამ, სწერს:

„ეხლანდელი კამპანიის მიზანს არ შეადგენს დოვგალევსკის უკან გაწვევა. მის წინააღმდეგ არავითარი ბრალდების წაყენება არ შეიძლება. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ურთიერთობის გაწყვეტაზე".

კლერიკალურ-ნაციონალისტურ გაზეთ „ეკო დე პარი"-ს იმ წერილის გამო, რომელიც ილაშქრებდა პიატაკოვის წინააღმდეგ, „ვოლონტე" სწერს:

„პიატაკოვი არის პირველხარისხოვანი მოღვაწე უმწიკვლო დიპლომატიური ყოფა-ქცევით, რომლის ტექნიკურ დამსახურებას ვერავინ უარყოფს".

ბელორუსთა გრომადის პროცესი

ვილნო, 15 მარტი. 15 მარტს ბელორუსთა გრომადის პროცესზე დაჰკითხეს მთავრობის არქივის (ვილნოში) გამგე სტუდნიცკი. სტუდნიცკის ამოცანას შეადგენს სახელი გაუტეხოს ლუცკევიჩის ოჯახის მორალურ ავტორიტეტს ბელორუსთა ეროვნულ მოძრაობაში მოწმე ბრალს სდებს ლუცკევიჩს იმაში, რომ მას კავშირი ჰქონდა, ერთი მხრით, ვილაც რუს ოფიცერთან ვარშავაში და მეორე მხრით, ომის დროს, გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან დაპყრობილ ოლქებში. მოწმის სიტყვით „ლუცკევიჩები—მორალურ სიმტკიცეს მოკლებული ხალხია". მაგრამ შემდეგ სხვებთან ერთად დაკითხვის დროს, მოწმე იბნევა და ვარდება წინააღმდეგობაში. თანდათან ფარდა ეხდება მოწმის ცილისწამებით აღსავსე ჩვენებას.

პროცესის მეათე დღეს დაკითხეს ვილნოს კომისარის მოადგილეს ალექსანდროვიჩს, რომელიც წინად ასრულებდა ბეჭდვითი საქმის რეფერენტის მოვალეობას და თვალყურს ადევნებდა ბელორუსთა პრესას. ალექსანდროვიჩის ჩვენებიდან ირკვევა, თუ როგორ საშინელ დევნას განიცდიდა ბელორუსთა პრესა. ბრალდება ცდილობს შექმნას ლეგენდა, თითქოს პრესის განკარგულებაში დიდძალი თანხები იყო. ამ ლეგენდას აქარწყლებს ბრალდებული სიკინიცი, რომელიც ახასიათებს ბელორუსთა პრესის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ საშუალებებს გრომადის წევრების მიერ შეწირულ გროშებიდან აგროვებდენ. (ადს).

პაციფისტები მხარს უჭერენ საბჭოთა წინადადებას

ლონდონი, 15 მარტი. პაციფისტურმა ორგანიზაციამ „საჭირო აღარაა ომები" გამოაქვეყნა პრესაში ათი პირის, მათ შორის, ლენსბერის, ბერნარდ შოუს და ბენ-ტერნერის მიერ ხელმოწერილი განცხადება განიარაღების კონვენციის საბჭოთა პროექტის შესახებ. განცხადებაში ნათქვამია:

„განიარაღების საბჭოთა პროექტი აქარწყლებს საბჭოთა კავშირის „იმპერიალიზმზე" ინგლისის მთავრობის მითითებას, რითაც იგი მალავს თავის სურვილს, რომ არ განიარაღდეს ინგლისის მთავრობას ვერც ის უშველის, რომ იგი ცდილობს ეჭვის ქვეშ მოაქციოს საბჭოთა წინადადების გულწრფელობა. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, სტრატეგიული და გეოგრაფიული მდგომარეობა, აგრეთვე საბჭოთა კავშირში არსებული წყობილება ისეთია, რომ საყოველთაო განიარაღება საბჭოთა კავშირისათვის სასურველია. ინგლისის მთავრობამ უნდა ახსოვდეს, რომ რუსების წინადადება ეთანხმება რამდენიმე მილიონ ინგლისელის სურვილს (ადს).

„ზინოვიევის წერილი"-ს გარშემო

ლონდონი, 15 მარტი. დემოკრატიული კონტროლის კავშირმა, ინგლისის გამოჩენილ მოღვაწეთა და მოღვაწე-ქალთა ორგანიზაციამ, რომელიც მიზნად ისახავს საგარეო პოლიტიკის დაქვემდებარებას საზოგადოებრივი კონტროლისათვის, გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს, რომ აშკარად იქნას გამოკვლეული „ზინოვიევის წერილის" წარმოშობა და მისი გამოქვეყნება გაზეთებში. რეზოლიუცია აცხადებს, რომ დროა სავსებით იქნას გამოკვლეული ბრიტანეთის საიდუმლო აგენტურის მოქმედების ხასიათი. კავშირი მეორე რეზოლიუციაში ესალმება განიარაღების საბჭოთა პროექტს (ადს).

მაკდონალდის რეზოლიუცია

ლონდონი, 15 მარტი. მაკდონალდმა თემთა პალატაში რეზოლიუცია შეიტანა „ზინოვიევის წერილის" გამოქვეყნების შესახებ გამართული კამათის გამო. რეზოლიუციაში ნათქვამია:

„თემთა პალატის აზრით, სახელმწიფო მოხელეების შესახებ ზოგიერთი ცნობების გამოსაკვლევად დანიშნული კომისიის მხილებანი და ამასთან დაკავშირებით სხვა მხილებანი იმ დოკუმენტების შესახებ, რომელიც ცნობილია „ზინოვიევის წერილის" სახელწოდებით, ეროვნული მნიშვნელობის საქმეს წარმოადგენენ. ეს მხილებანი უნდა გადაეცნენ სპეციალური კომისიის გამოძიების საგნად. მთავრობის აზრი იქით იხრება, რომ უარი სთქვას გამოძიების დანიშვნაზე, მაგრამ მუშათა პარტიის პოზიციამ ამ საკითხში შესაძლებელია გამოიწვიოს კომისიის დანიშვნა" (ადს).

ავღანისტანის ფადიშაჰი ლონდონში

ლონდონი, 15 მარტი. ლონდონის რატუშაში გამართულ ბანკეტზე ავღანისტანის ფადიშაჰმა, პრესის სიტყვით, განაცხადა, რომ „ავღანისტანსა და ინგლისს შორის არსებული ურთიერთობა ნამდვილი მეგობრულია".

„დეილი ტელეგრაფი" სწერს:

„ეს სიტყვები სისწორით გამოხატავენ ინგლისისა და ავღანისტანის დიპლომატიური ურთიერთობის ახლანდელ მდგომარეობას". გაზეთი მოუწოდებს ავღანისტანს, დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა, და სწერს: „ავღანელებმა კარგად იციან, რომ თუ საბჭოთა კავშირი გაილაშქრებს ინდოეთზე. იგი ეცდება, რომ ლაშქრობის წარმატების უზრუნველსაყოფად, რაც მეტად საეჭვოა, ავღანისტანი გადააქციოს „რუსეთის პროვინციად"".

„ნაცემი თავხედი"

ლონდონი, 16 მარტი. კომუნისტური გაზეთი „უორკერს ლაიფი" სწერს:

„ის პატივისცემა, რომელსაც ინგლისი იჩენს ავღანისტანის მიმართ, ნაცემი თავხედის პატივისცემაა გამლახველის მიმართ".

გაზეთი ფიქრობს, რომ ინგლისის მთავრობა ეცდება ფადიშაჰს გული მოიგოს, რათა ავღანისტანმა დახმარება აღმოუჩინოს ინგლისს იმ ომში, რომელსაც იგი ამზადებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ადს).

ტანაკას განცხადება

ტოკიო, 15 მარტი. გაზეთ „ხოჩი"-ს და „ჯაპან ტაიმსი"-ს ცნობით, პრემიერ ტანაკამ სეიუკაი პარტიის მოღვაწეთა მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ტროიანოვსკი და მისი მოგვარე— საპროპაგანდო წიგნის ავტორი, სავსებით სხვადასხვა პირია (ად)ს

საბჭ. ოქრო და შეერთებული შტატები

ამერიკის ზუბრების მორიგი გამოსვლა

ნიუ-იორკი, 15 მარტი. ამას წინად საბჭოთა კავშირიდან ნიუ-იორკის ბანკებს—„ჩეიზ ნეიშენ ბენკს" და „ეკვიტებლ ტრესტკომპანის" (ს. ს. რ. კ. სახელმწიფო ბანკის კონტრაგენტებია) გადაეგზავნა 5 მილიონ დოლარის ღირებულების ოქროს ზოდები. ამასთან დაკავშირებით ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობის სხვადასხვა ორგანოებში აღძრეს საკითხი—შეიძლება თუ არა გამოყენებულ იქნეს ეს ოქრო ჩრ.-ამერიკ. შეერთებ. შტატებში ანგარიშის გასასწორებლად საბჭოთა დაკვეთებისათვის.

ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატების ფინანსთა სამინისტრომ ეს საკითხი უარყოფითად გადასწყვიტა და სისინჯე პალატას აუკრძალა საბჭოთა ოქროს მიღება. საბჭოთა ოქროს ჩატანას ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებში ამერიკის საფინანსო და სავაჭრო-სამრეწველო წრეები დიდი ინტერესით შეხვდენ და ამაში ისინი ხედავენ ამერიკა-საბჭ. ეკონომიურ ურთიერთობის გამოცოცხლების ნიშანს. ამიტომ ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებამ ამერიკის პრესაში გაკვირვება გამოიწვია.

ნიუ-იორკის გავლენიანი გაზეთი „უორლდ"-ი დასცინის ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებას და აღნიშნავს, რომ თუ საბჭოთა ოქროს „მიუღებლად" სთვლიან, მაშინ ამერიკულ საქონელში გადახდილი ფულიც მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აცხადებს გაზეთი ფინანსთა სამინისტროს პოლიტიკა უაზრო იქნებოდა. ცნობილი ეკონომიური ორგანო „ჯორნალ ოფ კომერს" სწერს:

„საბჭოთა ოქროს მიღების უარყოფა საბოლოოდ ააშკარავებს იმ პოლიტიკის უაზრობას, რომელიც არ სცნობს საბჭოთა კავშირს, მაგრამ ვაჭრობას მასთან კი განაგრძობს".

ფინანსთა სამინისტროს ცნობის გამოქვეყნების შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტროში ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო იხსნის პასუხისმგებლობას ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებისათვის, ვინაიდან საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის დროზე განაცხადა, რომ ის არაა წინააღმდეგი საბჭოთა კავშირის ოქროს მიღებისა. (ადს).

საფრანგეთის ბანკი ეპოტინება საბჭოთა ოქროს

ნიუ-იორკი, 15 მარტი. ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა ოქროს გამოყენების საკითხმა სულ სხვა მიმართულება მიიღო, როცა გამოირკვა, რომ „საფრანგეთის ბანკმა" მოითხოვა იცნონ ის იმ საბჭოთა ოქროს ზოდების პატრონად, რომელიც ნიუ-იორკის ბანკებში ინახება. თავის განცხადებაში ბანკი აღნიშნავს, რომ ეს ის ოქროა, „რომელიც საფრანგეთის ბანკმა შეიტანა რუსეთის სახელმწიფო ბანკის დეპოზიტში რევოლიუციამდე". საფრანგეთ. ბანკი მოითხოვს, რომ ნიუ-იორკის ბანკებმა გადასცენ მას მისი „საკუთრება". როგორც იუწყებიან, 6 მარტს საფრანგეთის ელჩმა ვაშინგტონში საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის ბანკმა მეფის მთავრობის დროს რუსეთის სახელმწიფო ბანკის დეპოზიტში შეიტანა 52 მილიონი ფრანკი ოქროთი და რომ დღემდე საფრანგეთის ბანკმა ვერ შესძლო ამ ოქროს უკანვე მიღება, რის გამო ბანკმა აღძრა სასამართლო ძიება მიაკუთვნონ მას ის საბჭოთა ოქრო, რომელიც ამჟამად ნიუ-იორკშია.

ვაშინგტონის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ფინანსთა სამინისტროს ცნობის გამოქვეყნება საბჭოთა ოქროს მიღების აკრძალვის შესახებ და საფრანგეთის ნოტის გადაცემა შტატების საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის ერთ და იმავე დროს მოხდა. (ადს).

სურთ—ჩაშალონ ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობა

პარიზი, 15 მარტი. საფრანგეთის საქმიანი წრეების აზრით, საფრანგეთის მთავრობისა და საფრანგეთის ბანკის მოულოდნელი გამოსვლა პრეტენზიებით ნიუ-იორკის ბანკების მიერ მიღებულ საბჭოთა ოქროზე, გამოწვეულია ევროპისა და კერძოდ საფრანგეთის ზოგიერთი ეკონომიური ჯგუფების სურვილით ჩაშალონ ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობა, რომელიც ამ ბოლო დროს წარმატებით ვითარდებოდა. აღნიშნულ წრეებში ფიქრობენ, რომ ასეთი მოქმედებით ევროპის ამ ჯგუფებს იმედი აქვთ შექმნან უფრო ხელსაყრელი პირობები. საბჭოთა კავშირის ეკონომიურად შევიწროების მიზნით.

„საქმე 10 მილიონის შესახებ"

ნიუ-იორკი, 16 მარტი. საბანკო წრეებისა და ავტორიტეტულ იურისტების საერთო აზრით, საფრანგეთის ბანკის განცხადება უსაფუძვლოა იურიდიულად. ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა გაცხოველებულ ინტერესს იწვევს საზოგადოებრივ წრეებში და პრესაში. გაზეთები ამ საკითხის შესახებ ყოველდღიურად ვრცელ წერილებსა და ცნობებს ბეჭდავენ, ამასთანავე არც ერთი გაზეთი არ ილაშქრებს მტრულად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საერთო აზრით, ამ საქმეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის ააშკარავებს ჩრ.-ამერიკ. შეერთებულ შტატების იმ პოლიტიკის არათანამიმდევრობას, რომელსაც ის ატარებს საბჭოთა კავშირის მიმართ,—ეს პოლიტიკა ცხადჰყოფს, თუ რამდენად ძნელია სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, როცა ეს უკანასკნელი არაა ცნობილი.

რუმინეთი უარს აცხადებს საბჭოთა ოქროზე

ვაშინგტონი, 15 მარტი. გარეშე საქმეთა მინისტრი და აგრეთვე რუმინეთის მისია ვაშინგტონში კატეგორიულად უარჰყოფენ პრესაში მოთავსებულ ცნობებს, ვითომც რუმინეთი აპირებდეს პრეტენზიის გამოცხადებას საბჭოთა ოქროზე, რომელიც ნიუ-იორკში დეპოზიტშია შეტანილი. რუმინეთის მისია აცხადებს, რომ მას ამის გამო არავითარი ინსტრუქციები არ მიუღია თავისი მთავრობისაგან.

ამხ. შეინმანი საფრანგეთის ბანკის პრეტენზიების შესახებ

მოსკოვი, 16 მარტი. საბჭოთა ოქროს გარშემო წამოჭრილი ინციდენტის შესახებ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. შეინმანმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„იმპორტი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებიდან საბჭოთა კავშირში სჭარბობს საბჭოთა კავშირის ექსპორტს შეერთებულ შტატებში და საგარეო ვაჭრობის ბალანსის წონასწორობის შექმნა მოითხოვს განსხვავების დაფარვას ნაღდი ფულით. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკსა და შეერთებულ შტატების ბანკებს შორის წარმოებულ ოპერაციების ასეთი პასიურობა იძულებულს ხდიდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკს გაეყიდა ოქრო ლონდონში ან პარიზში და მიღებული თანხა გადაეგზავნა შეერთებულ შტატებში. ანგარიშების ასეთი წესით გასწორება არ ეთანხმებოდა არც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის და არც მისი ამერიკული კორესპონდენტების ინტერესებს, რის გამო სახელმწიფო ბანკი შეეცადა მოეხდინა ანგარიშის უშუალოდ გასწორება ამერიკის ფულის ბაზართან. შეერთებულ შტატებს სახელმწიფო ორგანოების მოქმედება ამ ცდასთან დაკავშირებით ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეუწყობს ხელს ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებას, ვინაიდან თუ შეერთებული შტატები უმჯობესად სთვლის, რომ კავშირის სამეურნეო ორგანოებსა და შეერთებულ შტატების სავაჭრო ორგანიზაციებს შორის დადებულ გარიგებებზე ანგარიშების გასწორებას სახელმწიფო ბანკი ახდენდეს სხვა ქვეყნის საშუალებით, კერძოთ, ოქროს სხვა ქვეყნებში ექსპორტის გზით, უნდა ითქვას, რომ ანგარიშის ასე გასწორებით აუცილებლად მოიგებენ უცხოეთის ბანკები. მაგრამ საეჭვოა, რომ რაიმე სარგებელი მიიღონ ამერიკის ფირმებმა.

მას შემდეგ, რაც შეერთებულ შტატების მთავრობამ უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანა დეპოზიტში საბჭოთა ოქროს მიღების საკითხში, გერმანიის „გარანტი კრედიტ ბანკმა", რომლის საშუალებით გაიგზავნა ოქრო ამერიკაში, წინადადება მისცა ამერიკის ბანკებს გადაეტანათ ეს ოქრო უკან გერმანიაში. მაგრამ ამერიკის ბანკებს ვერ გადაუწყვეტიათ შეასრულონ თუ არა ეს მოთხოვნილება, რადგან საფრანგეთის ბანკმა შეერთებულ შტატების ფედერალურ სასამართლოს წარუდგინა სარჩელი ამ ოქროს მისთვის გადაცემის შესახებ. ეს სარჩელი სრულებით უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან ოქრო, რომელიც არის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკში, მის მიერ ნაყიდია კერძო პირებისაგან. ოქროს მომპოვებელ ტრესტებისაგან და საზღვარ-გარეთაც. კერძოთ, რაც შეეხება ოქროს ამ პარტიას—ოქროზე დასმულ დაღიდან აშკარად სჩანს, რომ ის ამოღებულია 1925—1926 წლებში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ძველი სახელმწიფო ბანკის მემკვიდრეთ. ამჟამად საბჭოთა კავშირში მოქმედი სახელმწიფო ბანკი დაარსდა 1921 წლის ოქტომბერში. წინანდელ სახელმწიფო ბანკისაგან და ყოფილ კერძო, შემდეგ ნაციონალიზაციაქმნილ ბანკებისაგან მას არ მიუღია არც აქტივი, არც პასივი და არც არავითარი არქივი, რის გამო ის პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ გაცემულ ვალდებულებებზე. საფრანგეთის ბანკის მიერ სრულებით დაუსაბუთებელი სარჩელის წარდგენა შეგვიძლია ავხსნათ მხოლოდ იმით, რომ ხსენებულ ბანკს უნდა ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ურთიერთობის განვითარებას და განმტკიცებას სხვა ქვეყნების ბანკებთან, კერძოთ, შეერთებულ შტატების ბანკებთან. მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ეს ცდა აღაშფოთებს შეერთებულ შტატების საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ამ აქტში დაინახავს საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის არსებულ დავის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გადატანის ცდას, რაც საფრთხეში აყენებს ორივე ქვეყნის სავაჭრო და საკრედიტო ურთიერთობების შემდგომ განვითარებას და განმტკიცებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკის სასამართლოები მათთვის ჩვეულ სამართლიანობის გრძნობით და სურვილით, რომ არ შეიქმნას დაბრკოლებები სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის, უარჰყოფენ საფრანგეთის ბანკის დაუსაბუთებელ სარჩელს". (ადს).

რადიოს მეგობართა საზ-ბის ცენტ. საბჭ. მიმართვა

მოსკოვი, 16 მარტი. 15 მარტს 15 საათზე მოსკოვის დროით, მოსკოვიდან გამოფრინდა თავდაცვა-ავიაქიმის აეროსტატი, რომელზედაც კავშირის ისტორიაში პირველად დაიდგა მოკლე რადიო-ტალღების მიმღებ-გადამცემი რადიო-სადგური მიწასთან მუდმივი კავშირის დაჭერის მიზნით. აეროსტატზე პილოტათაა ამხ. სმოლოვი და ოპერატორად რადიო-მოყვარული ამხ. ლიპმანოვი.

რადიოს მეგობართა საზოგადოების ცენტრალური საბჭო და მოკლე რადიო-ტალღების სექცია მიმართავს, რადიოს მეგობართა საზოგადოების ყველა ორგანიზაციებს, რადიო-მოყვარულებს და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეებს, მოწოდებით, რათა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ აღნიშნული გადაფრენის მონაწილეებს და თვალყური ადევნონ აეროსტატის რადიო-სადგურის მუშაობას (გამოსაწვევი ნიშანი—„ც. ს. ქ. 3.", ტალღა 40 მეტრის დიაპაზონით) და იქონიონ მასთან მუდმივი რადიო კავშირი.

მოკლე რადიო-ტალღოვანი სადგურებზე შემოღებულ უნდა იქნას განუწყვეტელი მორიგეობა. თუ რომელიმე სადგურმა მიიღოს, აეროსტატის ოპერატორიდან საფრთხეში ჩავარდნის ნიშნები „ც. ს. ქ. 3." (ცესკავე)— ვსთხოვთ ყველა რადიო სადგურებს დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ აეროსტატს შესაფერი დახმარება მთავრობის უახლოესი ორგანოებისათვის აეროსტატის ადგილმდებარეობის ცნობის მიცემის მხრივ და სასწრაფოდ, ტელეგრაფით შეგვატყობინონ მოსკოვში ამის შესახებ. აეროსტატიდან მიღებული ყოველგვარი ცნობები დაუყოვნებლივ უნდა იგზავნებოდეს მოსკოვში საბჭოთა კავშირის რადიოს მეგობართა საზოგადოება მოკლე რადიო-ტალღების ცენტრალურ საბჭოს სახელზე (ადს).

ა.-კ. ცაკის სესია ბაქოში

სესიის საზეიმო სხდომა

ამ.-კავკ. ფედერაციის 6 წლის თავის გამო

ბაქო, 15 მარტი. 15 მარტს, საღამოთი, ამხ. ცხაკაიას თავმჯდომარეობით გაიმართა ამიერ-კავკასიის ცაკის სესიის საზეიმო სხდომა ბაქოს საბჭოს, ბაქოს რაიონულ საბჭოების და აგრეთვე მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით. საზეიმო კრება მიძღვნილი იყო ამიერ-კავკასიის ფედერაციის 6 წლის თავისადმი.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

საზეიმო სხდომას ხსნის ამხ. მიხა ცხაკაია, რომელიც ამბობს:

„დღეს ვზეიმობთ ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური გაერთიანების 6 წლის თავს.

6 წლის წინედ, ამიერ-კავკასიის სამი ძირითადი რესპუბლიკის—აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნა. გაერთიანების ამ სისტემამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. ჩვენ არა მარტო საბოლოოდ მოვსპეთ ძველი ეროვნული უთანხმოება, შუღლი, არამედ აღვადგინეთ ჩვენი ქვეყანა ნგრევისაგან და წარმატებით ვაშენებთ სოციალიზმს.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ ერთობას!

გაუმარჯოს ბაქოს რევოლიუციონურ პროლეტარიატს—საბჭოთა ხელისუფლების პირველ მშენებელს და ინიციატორს ამიერ-კავკასიაში.

ამხ. ალამალი ოღლის სიტყვა

შემდეგ სიტყვა თურქულ ენაზე წარმოსთქვა აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ალამალი-ოღლიმ, რომელმაც აღნიშნა ამ.-კავკ. ფედერაციის უდიდესი მნიშვნელობა და რომელიც სესიას მიესალმა აზერბეიჯანის პროლეტარიატის სახელით.

ამხ. მუსაბეკოვის სიტყვა

სხდომის მონაწილენი მხურვალე ტაშით ხვდებიან აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს და საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. მუსაბეკოვს.

„ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობის 6 წელი, —ამბობს ამხ. მუსაბეკოვი,—არის 6 ბასრი მახვილის ჩაცემა ძველი დროის მემკვიდრეობის—ეროვნული შუღლის მოსასპობად. ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნაში, უეჭველია, უმთავრესი როლი ითამაშა ბაქოს სახელოვანმა პროლეტარიატმა, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ექვსი წლის თავს, ისე, როგორც ამიერ კავკასიის ფედერაციის შექმნას 1922 წელში, ჩვენ ვატარებთ ამიერ-კავკასიის პროლეტარულ ცენტრში—ბაქოში. ამიტომ ჩვენი პირველი ლოზუნგი უნდა იყოს: „გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის მტკიცე დასაყრდენს—ბაქოს სახელოვან პროლეტარიატს". (ტაში).

ეროვნული მშვიდობიანობის გარდა, —განაგრძობს ამხ. მუსაბეკოვი,—რომელიც მიღწეულ იქნა 6 წლის განმავლობაში, ამიერ კავკასიის მშრომელთ დღევანდელ საზეიმო დღეს შეუძლიათ იამაყონ თავისი ეკონომიური მიღწევებითაც. ამიერ-კავკასია, რომელიც 6 წლის წინედ წარმოადგენდა ეროვნული შუღლის ასპარეზს, დღეს არის სამაგალითო, აყვავებული ქვეყანა. ჩვენი კლასიური მტრებიც კი—მუსავატელებს, მენშევიკებს და დაშნაკელების ბანაკიდან, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამიერ-კავკასიას არ შეუძლია იარსებოს გაერთიანების გარეშე და პარიზში გამოაცხადეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია. მართალია, ეს გაერთიანება მოხდა უტერიტორიოდ და მოსახლეობის გარეშე, მაგრამ ალბად ასეთია ყველა ემიგრანტების ბედი, რომ მათთვის უფრო ადვილია გაერთიანების მოხდენა უტერიტორიოდ და მოსახლეობის გარეშე, ვიდრე ტერიტორიით და მოსახლეობით. ეს მტრები პრინციპიალურად არ ილაშქრებენ ამიერ-კავკასიის ხალხთა გაერთიანების წინააღმდეგ, მაგრამ მაინც არ მოსწონთ ჩვენი ფედერაცია.

დაშნაკცუტიუნის ორგანო თეირანში სწერს: „იმ დროს, როდესაც საბჭოთა სომხეთს არა ფერი აუშენებია, სომხეთის მეზობელი—საბჭოთა საქართველო თამამად იღებს დიდძალ თანხებს საბჭოთა საერთო ბიუჯეტიდან, და განუწყვეტლივ აშენებს და ავითარებს თავის მრეწველობას და ინდუსტრიას. ამავე დროს აზერბეიჯანის საბჭოთა მთავრობა მოხერხებულად სარგებლობს საერთო-საკავშირო რესურსებით და უდიდეს საამშენებლო მუშაობას აწარმოებს განჯაში და ბაქოში, სალიანის რაიონში, და დღეს თვალთმაქცურად ცაკის სესიის მორიგი სხდომა გადააქვს ჩამორჩენილ ლენქორანში, რათა გამოიყენოს იგი საამშენებლო პროექტების შესადგენად".

დაშნაკელები ბინძური მეთოდების საშუალებით სცდილობენ ამიერ-კავკასიის ერთი რესპუბლიკა მიუსიხიანონ მეორეს, გამოიწვიონ მათ შორის მტრობა და შუღლი. მაგრამ ძალიან დამახასიათებელია, რომ იგივე დაშნაკური პრესა სულ ერთი თვის შემდეგ, უკვე არა თეირანში, არამედ სტამბოლში, აღიარებს, რომ არა ნაკლები ეკონომიური მიღწევებია სომხეთშიაც.

დაშნაკელების ორგანო სტამბოლში „აზდარარი" აცხადებს, რომ „საამშენებლო მუშაობა სომხეთში ფართოდ სწარმოებს. ხალხი თითქმის ყველგან ეწევა მშენებლობას და ყოველ წლობით აუმჯობესებს თავის ცხოვრებას. სომხეთის ეკონომიური აღორძინება უდავო ფაქტია". მაშასადამე ჩვენს მოსისხლე მტრებსაც კი არ შეუძლიათ უარჰყონ ის მიღწევები, რომლებიც გვაქვს სამეურნეო ფრონტზე წარსული ხუთი წლის განმავლობაში. მაგრამ ისინი სცდილობენ კონფლიქტის შექმნით მოსწყვიტონ ამიერ-კავკასია ჩვენს დიდ კავშირს და კვლავ დაიბრუნონ წინანდელი ბატონობა. ამაზე ამიერ-კავკასიის მშრომელებმა ხმამაღლა უნდა განაცხადონ, რომ ეს ზრახვები ვერ იქნება მოყვანილი სისრულეში, ვინაიდან მშრომელები შესძლებენ სათანადო წინააღმდეგობა გაუწიონ მათ და დაიცვან თავისი სოციალისტური სამშობლო. (ტაში).

ლენინი ამიერ-კავკასიის კომუნისტებისადმი გაგზავნილ წერილში სწერდა: „კავკასიის რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი შექმნის ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს, რომელიც წარმოუდგენელია ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელია ბურჟუაზიულ წყობილებაში".

დღეს ჩვენ თამამად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ბელადის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები განვახორციელეთ და მომავალში მთელი ძალ-ღონით უნდა შევეცადოთ, რომ კვლავ ძლევამოსილად წავიდეთ წინ სოციალისტური მშენებლობის გზაზე (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ბაქოს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კონუშკინმა და დაღესტანის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. სამურსკიმ, რომელიც ამიერ-კავკასიის მშრომელთ მიესალმა დაღესტანის მთიელთა სახელით.

მუშათა დელეგაციების მისალმება

ამხ. სამურსკის შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს მუშების, გლეხების, წითელარმიელების და მშრომელი ინტელიგენციის დელეგატებმა. სესიის საზეიმო სხდომაზე მოვიდნენ მუშათა ყველა რაიონის, ყველა დიდი ფაბრიკისა და ქარხნის დელეგაციები. გამოსულმა ამხანაგებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციამ მთლიანად გაამართლა თავისი არსებობა.

სხდომა მქუხარე ტაშით შეეგება ბიბი-ეიბათელი მბურღავის ამხ. ხაჩატუროვის განცხადებას, რომელმაც სესიას საჩუქრად მიართვა ბურღი და სთქვა: „თუ ახლა ჩვენ ქებს ვბურღავთ და ამოგვაქვს ძვირფასი ნავთი, დაე ჩვენი მტრები ნუ დაივიწყებენ, რომ ჩვენ ყოველ წუთს მზად ვართ გავბურღოთ მათი თავი".

გულთბილად შეხვდა სესია ილიჩის სახელობის ბაილოვის ნავთსადგურის მუშას ამხ. ბადაევს. ბადაევი მოხუცია. „მე ძალიან მოხარული ვარ,—ამბობს ის,—რომ მოხუცებულობის მომენტში საშუალება მაქვს ამ ტრიბუნიდან ვილაპარაკო მშრომელთა წარმომადგენლების წინაშე. დავიცვათ მუშისა და გლეხის კავშირი. თუ ასე მოვიქცევით, მაშინ ვერავითარი მტერი ვერ დაგვძლევს".

სტეპინსკის დივიზიის მეომარმა იაკოვლევმა განაცხადა: ნუ დაგვავიწყდებათ, ამხანაგებო, რომ ჩვენ დავამარცხეთ მტერი, მაგრამ კი არ გაგვინადგურებია. როცა საჭირო იქნება, არმია მზად არის ეს ამოცანაც შეასრულოს".

ბევრი დელეგაცია, კერძოდ, ექიმთა დელეგაცია შეეხო კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულებას დონბასის ოლქში.

„ჩვენ არა მარტო სამარცხვინო ბოძზე ვაკრავთ და ვიმიჯნებით ამ ჯგუფისაგან, რომელიც მშრომელი ინტელიგენციის მთელ მასასთან შედარებით პატარა ჯგუფია, არამედ აღთქმას ვდებთ, რომ ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, რათა ამიერიდან ასეთ მახინჯ მოვლენას ადგილი აღარა ჰქონდეს".

სესიამ მუშებისაგან ბევრი საჩუქარი მიიღო. ყველა დელეგაციას საპასუხო მისასალმებელი სიტყვა უთხრა ამხ. მამია ორახელაშვილმა, რომელსაც სხდომა შეეგება ხანგრძლივი მქუხარე ტაშით.

ამხ. მამია ორახელაშვილის სიტყვა

ამხანაგებო, ამ სასიხარულო, ჩვეულებრივად საზეიმო დღეს მაგონდება ის შავ-ბნელი დრო, როდესაც ამიერ-კავკასიის მშრომელები „მათს" ფედერაციაში იყვნენ, როდესაც მენშევიკურ-მუსავატისტურ-დაშნაკურ ბოსელს წარწერილი ჰქონდა „ამიერ-კავკასიის სეიმი". რატომ მოხდა, რომ მათმა ფედერაციამ მხოლოდ ორმოცდაათიოდე დღეს გასძლო, ჩვენმა ფედერაციამ კი თავის არსებობის მეშვიდე წელიწადში შესდგა ფეხი და გვიჩვენებს შემდგომი ჯანსაღი განვითარების ნიშნებს? მათი ფედერაცია უდღეური აღმოჩნდა იმიტომ, რომ ისინი იყვნენ ბურჟუაზიისა და მემამულეთა კლასის კერძო საკუთრების მოციქულნი, სისხლში შეღებილნი რაინდები. ჩვენი ფედერაცია სულ სხვა საფუძველზე გაიზარდა. ჩვენს ფედერაციას ასაზრდოებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი მაცოცხლებელი ნოყიერება. ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, ჩვენ კოლექტივისტები ვართ, ე. ი. საზოგადოებრივი კოლექტიური საკუთრების რაინდები და ეს გვმატებს ძალ-ღონეს, რომელიც უფრო და უფრო აძლიერებს ამიერ-კავკასიისა და მთელი საბჭოთა ქვეყნის ერთა კავშირს. ჩვენი მუშურ-გლეხური ფედერაცია, იმიტომ გამოდგა დღეგრძელი, რომ დარაზმულნი ვართ იმ დროშის ქვეშ, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინათ ააფრიალეს პროლეტარიატის მასწავლებლებმა მარქსმა და ენგელსმა და ესოდენ მაღლა აღმართეს მათმა მოწაფემ ლენინმა და ლენინურმა პარტიამ. აქ არის იმ წყაროს სათავე, რომელიც სიცოცხლის ძალას აპკურებს და ასაზრდოებს პროლეტარული ოქტომბრის პირმშოს—ჩვენს ფედერაციას. ოქტომბრის რევოლიუცია სწორედ იმ პროლეტარიატის რევოლიუცია იყო, რომელმაც გაიყოლია მშრომელი გლეხობა და დამონებული ერები, ფართოდ გაუღო მათ თვითმპყრობელობისა და დროებითი მთავრობის სატუსაღოს ალაყაფის კარი. თუ ვერ ვიტყვით იმას, რომ ჩვენში გლეხთა საკითხი მთლიანად შეესაბამებოდეს ეროვნულ საკითხს, სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეროვნული საკითხი ბევრ რამეში არის გლეხთა საკითხი. იმ პარტიას, იმ მოძღვრებას, რომელიც სცდილობს გლეხთა საკითხის გადაჭრას, ე. ი. პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების საკითხის გადაჭრას იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ჯერ კიდევ გაპროლეტარებული არაა, ამ პარტიას, ამ მოძღვრებას თავის არსენალში უნდა ჰქონდეს ეროვნული საკითხის გადასაჭრელად საჭირო იარაღი. ჩვენ პარტიას, ლენინურ პარტიას ჰქონდა ეს პროგრამა, ჰქონდა გლეხთა მოძრაობის, გლეხთა რევოლიუციონური ინტერესებისა და პროლეტარიატის ინტერესების შეხამების პროგრამა და ამასთანავე ერთად მას ჰქონდა ეროვნული საკითხის გადაჭრის პროგრამა როგორც გლეხთა საკითხებთან, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფართო საკითხთან დაკავშირებით, ისე ზოგად პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების საკითხთან დაკავშირებით. ამით ჩვენმა პარტიამ მოახერხა იმ საკითხების გადაჭრა, ურომლისოდაც ოქტომბერში მარტო პოლიტიკური დამარცხება ბურჟუაზიისა სრული და მკვიდრი არ იქნებოდა. ოქტომბრის რევოლიუცია ძლევამოსილი გამოვიდა ყველა მიმართულებით. ამას ჩვენ ვხედავთ ამიერ-კავკასიაშიც, სადაც ჩვენ გადავჭერით არა მარტო ზოგადპოლიტიკური საკითხები—ძალა-უფლება გამოვგლიჯეთ ხელიდან ბურჟუაზიას და მემამულეებს—არამედ, ამასთანავე ერთად, გადავჭერით მწვავე ეროვნული საკითხებიც.

პროლეტარიატის კლასობრივმა რევოლიუციამ გზადაგზა ეროვნული საკითხებიც გადაჭრა. ახლა, ჩვენ ვხედავთ ისტორიის სანაგვეზე გარიყული ნაციონალისტ - ემიგრანტების ფართხალს, ჩვენ ვკითხულობთ მათ „ბრძნულ" ლათაიებს, რომლებიც აქ ამხ. მუსაბეკოვმა გაგვაცნო და რომელთა გამოც ჩვენ შეგვიძლია გულდამშვიდებით გავიღიმოთ.

ეს არის მათი უკანასკნელი აღმოკვნესა, იმ წვრილი ბურჟუაზიის ლეშად ქცეულ ბელადთა აღმოკვნესა, რომელსაც სურდა „რიგიან ხალხში", დარბაისელ ბურჟუებში გარეულიყო, მაგრამ პროლეტარული რევოლიუციის გრიგალის წყალობით ეს ვერ მოახერხა. ამიტომ ისინი ახლა ხავსს ებღაუჭებიან, რომელიც, რასაკვირველია, ოქტომბრის ქექა-ქუხილს ვერ გადაარჩენს. მაგრამ მათ რომ სერიოზულადაც შეეკითხოთ: მაინც რაში ხედავთ თქვენი გამარჯვების თუნდაც სულ მცირე იმედს,—ერთად-ერთი რამ არის, რაზედაც სიტყვის ჩამოგდება შეუძლიათ— ესაა ეროვნული საკითხი. მაგრამ საბჭოთა ამიერ-კავკასიაში ეროვნულ წინააღმდეგობაზე იმედის დამყარება იმ მიზნით, რომ საბჭოთა ისტორიის ჩარხი უკუღმა შეატრიალონ, ეს იმის თქმას ნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიაში საბჭოთა გადატრიალებამდე არსებული ეროვნული წინააღმდეგობის საფუძველი უცვლელადაა დარჩენილი და ამიერ-კავკასიის ოქტომბრიზაციის შემდეგაც არსებობს. მაგრამ ამის თქმა ხომ საშინელი უმეცრების გამომჟღავნებას ნიშნავს როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში. რა იდო საფუძვლად სომეხ-ქართველთა და თურქ-სომეხთა იმ ეგრედწოდებულ ანტაგონიზმს, რომელსაც ამწვავებდენ ბურჟუაზიისა და მემამულეთა ზედაფენები? რასაკვირველია, საკუთრება და ამიერ-კავკასიის ეკონომიკაში ბურჟუაზიული პოზიციებისათვის ბრძოლა. სომხური კაპიტალი, რომელმაც უფრო ადრე განვლო ეგრედწოდებული თავდაპირველი დაგროვების პერიოდი, ძლიერი იყო ქართველ და თურქ კონკურენტებთან შედარებით. სომხურ კაპიტალს უპირატესობა ჰქონდა მრეწველობაში, მეტადრე კი ვაჭრობაში. რა იყო ამ უპირატესობის გამომხატველი? უმთავრესად, დიდი სახლები ამიერ-კავკასიის ცენტრებში და მსხვილი ვაჭრობა. და აი, თუ თვალს გადავავლებთ საბჭოთა ამიერ-კავკასიას—სადღაა სომხური კაპიტალის ეს უპირატესობა? ნუ თუ ბაქოს, თბილისის და ბათომის სახლების მფლობელობაში ან ნუ თუ სომხური კაპიტალის უპირატესობა აზერბეიჯანის, ან საქართველოს ან იმავე სომხეთის [illegible] ვაჭრობაშია? მაგრამ მტერთა სავალალოდ საბჭოთა რესპუბლიკებში ყველგან სახლებისა და შენობების ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაცია გატარებულია, ყველგან ვაჭრობაში სჭარბობს სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალი! აქ ისეთი აღარაფერია დარჩენილი, რომ დააკმაყოფილოს თუნდაც ბურჟუაზიულად მოაზროვნე ნაციონალისტების გონება— საბჭოთა რევოლიუციამ ყველა მფლობელი

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ჯამში მოაქცია. მაგრამ ბევრი ეროვნული ცრუმორწმუნეობაა დარჩენილი და აი ჩვენი მოწინააღმდეგენი ამ ცრუმორწმუნოებებს ებღაუჭებიან, მათ მიმართავენ. ეს ცრუმორწმუნეობა არც თუ ისე უმნიშვნელოა. ისინი ხალხის მასების, ზოგჯერ პროლეტარიატის ზოგიერთი ფენების ფსიხოლოგიაში თვალსაჩინო როლს თამაშობდენ. მათთან ბრძოლა და დაძლევა ძნელი და ამავე დროს ადვილი ამოცანაა, რამდენადაც ამ ყალბ შეხედულებებს უკვე აღარა აქვთ მკვიდრი ეკონომიური საფუძველი. ამას ჩვენ სრული წარმატებით ვასრულებთ. რომელ ყალბ შეხედულებას ეტრფიან ჩვენი მტრები? რას იყენებენ იარაღად? ეს არის დამოუკიდებლობის საკითხი; იგი თავ-გზას უბნევს ბევრ ახალგაზრდას, რომელიც საკმაოდ არ მოურჯულებია ჩვენს იდეოლოგიას. დამოუკიდებლობა! ბოლშევიკურმა პარტიამ გამოაცხადა ერთა თვითგამორკვევის უფლება, ცალკე სახელმწიფოს შექმნის უფლებაც კი. და აი ამ პოლიტიკით ჩვენს მტრებს სურთ წინააღმდეგობაში დაგვიჭირონ, ვითომც ჩვენ დავარღვიეთ ეს გამოცხადებული უფლება, ვითომც ჩვენი რესპუბლიკების დამოუკიდებლობა არ არსებობს. ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ ასეთი იერიშებისა არც უნდა გვრცხვენოდეს, არც უნდა გვეშინოდეს. ჩვენ ბრავის არასოდეს არ დავპირებივართ, რომ დამოუკიდებლობა ჩვენ ისე წარმოგვიდგენია, როგორც დამოუკიდებლობა პროლეტარული რევოლუციისაგან, რომ ჩვენთვის დამოუკიდებლობა იმისათვის იყოს საჭირო, რათა აქეთ-იქით გავიფანტოთ, დავიქსაქსოთ და ამის წყალობით იმპერიალიზმმა ხელახლა გადაგვყლაპოს, რათა ხელახლა შეგვყარონ იმ ბურჟუაზიულ და მემამულეთა ბოხლში, საიდანაც ჩვენ ოქტომბრის რევოლუციამ გამოგვიყვანა. დამოუკიდებლობა იმიტომ გვინდა, რომ გავაძლიეროთ ჩვენი პოლიტიკური, სამეურნეო და სამხედრო ძალ-ღონე სოციალიზმის საკეთილდღეოდ. პროლეტარული რევოლუცია მტკიცედ გვიკარნახებს გაერთიანებას, როგორც იმ დამოკიდებულების დაცვის საშუალებას, რომელიც მიიღეს ყველა ქვეყნის მშრომელებმა და იმ ერებმა, ვინც გამოვგლიჯეთ კაპიტალიზმის მიერ აგებულ ხატუსალოდან. საბჭოთა დამოუკიდებლობა, პროლეტარული დამოუკიდებლობა—ეს არის დამოუკიდებლობა რევოლუციონურ ბრძოლაში, მისწრაფება, რომ დავეწიოთ წინ წასულ ერებს, მისწრაფება, რომ გავაძლიეროთ მეურნეობა და კულტურა, ამ ისტორიულ მუშაობაში, უმეცრებასა და ჩამორჩენილობასთან ბრძოლაში უნდა ვისარგებლოთ უფრო ძლიერი საბჭოთა მეზობლის, კულტურულად უფრო წინ წასული პროლეტარიატის დახმარებით, ვეცადოთ მის დონემდე ავიწიოთ და შეერთებული ძალ-ღონით მოვიგერიოთ იმპერიალიზმის იერიში, გავიკაფოთ გზა საბოლოო გამარჯვებისაკენ. ჩვენი მოწინააღმდეგეებისათვის დამოუკიდებლობა ნიშნავს საზღვრების შემოფარგვლას, ამ საზღვრების შემოვლებას მავთულის სანგრებით, თავისი ელჩების ყოლას ევროპის მეფეებისა და პრეზიდენტების ყველა კართან, აგრეთვე მათი წარმომადგენლების ყოლას თავისთან, ისეთი წარმომადგენლებისა, რომლებიც, თუ საჭირო იქნება, მაგიდაზე მუშტს დაარტყამენ „დამოუკიდებელი პრეზიდენტის" ცხვირწინ და მათი გამომგზავნელი კაპიტალის ნებისყოფას თავს მოახვევენ. რასაკვირველია, ჩვენ ასეთი დამოუკიდებლობა არ გვინდა. ის ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ (ტაში). ჩვენ გვინდა ის დამოუკიდებლობა, რომელიც მშვიდობისა და მყუდროებას ანიჭებს ჩამორჩენილ აზერბეიჯანელ, ქართველ და სომეხ გლეხობას, აძლევს მას ისტორიული შესვენების საშუალებას, რათა განიკურნოს წინა რეჟიმისაგან მიყენებული წყლული, რათა გააძლიეროს თავისი მეურნეობა და კულტურა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით და თავისი სოციალისტური მომავლის შეგნებული მშენებელი იყოს.

სხვა ყალბი შეხედულება, რომელსაც ებღაუჭებიან ჩვენი მტრები, არის წარმოდგენა იმის შესახებ, ვითომც, რაკი ჩვენ, კომუნისტები ვაცხადებთ ძმობას, ვაცხადებთ კოლექტივიზმს, ყველაფერი ჩვენში თანაბრად უნდა გაიყოს. ამაზე ჩვენ უნდა უპასუხოთ, რომ არ გვესაჭიროება არითმეტიკული თანასწორობა და არითმეტიკული ძმობა, არამედ უნდა გავამაგროთ ჩვენი კავშირი იმ პუნქტებში, სადაც სუსტი ადგილები გვაქვს, რომლებიც ყველაზე ნაკლებადაა დაცული ჩვენი საერთო მტრის იერიშებისაგან. ჩვენ გვესაჭიროება ადგილობრივი მშენებლობა, მაგრამ, ამასთანავე, გვესაჭიროება საერთო საკავშირო გრანდიოზული სამეურნეო მშენებლობა, ისეთი, რომელიც შესძლებს საბჭოთა რესპუბლიკების მთელ ოჯახს მიანიჭოს სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა ბურჟუაზიულ უცხოეთისაგან.

აი ამ თვალსაზრისით და ამ საერთო გეგმის მიხედვით შეუდგებით ჩვენ მშენებლობას ამა თუ იმ რესპუბლიკაში ან რესპუბლიკის ამა თუ იმ რაიონში.

ამიტომ ამჟამად დაშნაკების ცდა, რომელთა ნაწერებიდანაც დღეს მოიყვანეს აქ ციტატები, ცდა გადაჰკიდონ „თავის" კომუნისტებს იქავე სომხეთის მშრომელები, წარმოადგენს იმ წყალწაღებულის ცდას, რომელსაც ერთი წუთის სიცოცხლე-ღა დარჩენია. ყოველი პროლეტარი და ყოველი გლეხი გაერკვევა ასეთ სულელურ მახინაციებში. და მართლაც, დღეს თქვენ გეცანით ამონაწერებს დაშნაკური გაზეთიდან, მაგრამ შეიძლებოდა მრავალი ციტატის მოყვანა ქართველ მენშევიკებისა და აზერბეიჯანელ მუსავატელების გაზეთებიდან, მათაც აქვთ „სიმპატიები" თავის კომუნისტებისადმი. რეზულზადე მამედ-ემინ-რასულ-ზადესათვის არ არსებობს იმაზე უბოროტესი კომუნისტი, როგორიც, ვთქვათ, ამხ. კარაევია. ქართველ მენშევიკებისათვის არ არსებობს უფრო საზიზღარი და თავისი სამშობლოს მოძულე, ვიდრე მაგალითად, ამხ. ცხაკაია, მახარაძე და სხვებია. ასევე რუსეთის თეთრგვარდიელ ემიგრაციისათვის რუს კომუნისტებზე უფრო უარესი არავინაა. თვითეული მათგანი ამტკიცებს, რომ სხვა ქვეყნის კომუნისტები ყველაფერს აკეთებდენ იმისათვის, რომ თავის ქვეყანაში შეექმნათ სამოთხე—იქ იზრდება მრეწველობა, ირიგაცია პირველ ადგილზეა, იქ მთელი სახალხო მეურნეობა მეტად სწრაფად იზრდება, ხოლო „ჩვენი" ქვეყნის კომუნისტები კი გამცემლები და ქვეყნის დამნგრევნი არიანო, ამრიგად საკმაოდ სწორი სურათი გამოდის,—რამდენადაც ჩვენ ცალ-ცალკე გვაგინებენ ჩვენი მტრები, რამდენადაც ქართველი ემიგრანტები აგინებენ ქართველ კომუნისტებს და აქებენ სხვებს, დაშნაკები აგინებენ სომეხ კომუნისტებს და ცათამდე აჰყავთ ქართველი და აზერბეიჯანელი კომუნისტები და სხ., გამოდის, რომ საბოლოო ანგარიშით ჩვენ კარგი ბიჭები ვყოფილვართ. გამოდის, რომ ჩვენ ყველაზე მეტად ვაწყენინეთ ჩვენს ბურჟუაზიას, აქაურ მენშევიკებს, დაშნაკებს და ბურჟუაზიას. გამოდის, რომ ჩვენ ვაკეთებდით ჩვენ საქმეს, რომელსაც გვიკარნახებს ჩვენი პროგრამა და ჩვენი ისტორიული ამოცანა. რა თქმა უნდა, ჩვენ გვქონდა და შეიძლება ჩვენც გვქონდეს შეცდომები, მაგრამ საერთოდ ჩვენ ვაკეთებთ იმ საქმეს, რაც უნდა გავაკეთოთ. როგორც კომუნისტებმა, როგორც იმ პარტიის წევრებმა, რომელმაც თავის დროშას წააწერა მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია. დიახ, ჩვენ მივდივართ ამ მიზნისაკენ, მივდივართ წარმატებით და ის ფედერაცია, ის სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც ჩვენ უკვე მეშვიდე წელიწადია გვაქვს, ეს ფედერაცია ერთი მხრით წარმოადგენს ოქტომბრის რევოლუციის ნაწილობრივ შედეგს და ამასთანავე ერთად იმ იარაღს, რომელიც ხელს უწყობს ოქტომბრის რევოლუციას განვითარდეს როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით, ამიერ-კავკასიის ხალხების სოციალისტური განვითარების გზა ამარცხებს ბურჟუაზიული განვითარების გზას. ამ წინსვლის გზაზე ჩვენ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში დავამყარეთ ეროვნული მშვიდობიანობა, რომელიც აუცილებელია მშენებლობისათვის, მისი სოციალისტური გზით წარმართვისათვის. თუ ჩვენმა ფედერაციამ უზრუნველყო მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობა და ყველა საწარმოო ძალების განვითარების პირობები,—ამით მან სავსებით გაამართლა თავისი თავი. რომ მან ამ ექვსი წლის განმავლობაში გაამართლა თავისი თავი, ეს ამხანაგებო, ყველა ჩვენგანმა იცის და ამისთვის ბევრი მაგალითის მოყვანა არაა საჭირო. ყოველივე ჩვენგანი გრძნობს, მაგრამ ყველას არ შეუძლია გამოთქვას, როგორც ეს დღეს თამბაქოს ფაბრიკის მუშა-ქალმა სთქვა: „როგორ გამოვხატო"-ო, ყოველივე ის კარგი, რაც ჩვენმა ფედერაციამ შეიტანა ხალხების ურთიერთობაში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციამ განახორციელა ძმობის იდეა, ეროვნული მშვიდობიანობის იდეა და უზრუნველყო მეურნეობის სოციალისტური განვითარების პირობები. ყოველივე ჩვენგანი გრძნობს ინსტიქტიურად, რომ უამისოდ განვითარება არ წავიდოდა ისე შეუფერხებლად, როგორც ამჟამად მიდის, არ იქნებოდა ძალების ის შეერთება, რომელიც ჩვენ დიდათ გვაძლიერებს და აადვილებს ჩვენს წინსვლას საბოლოო გამარჯვებისაკენ უფრო პირდაპირ, მოკლე და მომჭირნეობითი გზით.

ამხანაგებო, ამიერ-კავკასიის ფედერაცია არის ოქტომბრის რევოლუციის პირმშო, მაგრამ ამავე დროს ის ატარებს ბაქოს პროლეტარიატის სახელს. ეს საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენ იმედიანად შევყურებდეთ იმას, რომ ხვალინდელი დღე იქნება ამიერ-კავკასიის ფედერაციის კიდევ უფრო მეტად განმტკიცების დღე, რომ ამიერ-კავკასიის ხალხებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამ ფედერატიულ გზას არ დაფარავს ბალახბულახი, რომ ეს გზა სულ უფრო და უფრო გაფართოვდება და სულ უფრო და უფრო პირდაპირ წაიყვანს ამიერ-კავკასიის ხალხებს კომუნიზმისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს ფედერაციას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის ინიციატორს—ბაქოს პროლეტარიატს! (მქუხარე ტაში).

პარტიული ცხოვრება

ღარიბთა ჯგუფების დაქსაქსულობის წინააღმდეგ

საქართველოს კომპარტიის ცეკამ გამოიტანა დადგენილება ღარიბი გლეხკაცობის თათბირებისა და კრებების მოწყობის შესახებ.

მე-15 პარტყრილობამ აღნიშნა ღარიბი გლეხობის ჯგუფთა მუშაობის სისუსტე და სხვათა შორის საჭიროდ სცნო ამ მუშაობის გაცხოველება ღარიბ გლეხობის ჯგუფთა, თათბირებისა და კონფერენციების მოწყობით. საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილებაც რეზოლიუციის ამ დებულების განვითარებას წარმოადგენს.

ღარიბი გლეხობის თათბირები შესდგება ამ თუ იმ თემში, ან სოფელში არსებულ ღარიბთა ჯგუფებისაგან. თათბირი წარმოადგენს ამ ჯგუფების საერთო კრებას. ღარიბთა ჯგუფების წარმომადგენელთა გაერთიანებული კრება კი იმართება ღარიბთა კონფერენციის სახით მაზრისა და ოლქის ფარგლებში. ასეთი კონფერენციები მოწვეულ უნდა იქნენ მხოლოდ საჭიროების მიხედვით.

მთავარი, რაც უნდა ახსოვდეს პარტიულ ორგანიზაციებს ღარიბთა თათბირებისა და კონფერენციების მოწყობის დროს, ესაა საკითხები, რომელნიც უნდა გაირჩეს ღარიბთა ამ კრებებზე. ასეთებია ღარიბ გლეხკაცობის პოლიტიკურად დარაზმვის, ეკონომიურად გამაგრების და კულტურულად დაწინაურების ამოცანები. თათბირი და კონფერენციები უნდა გამოყენებულ იქნან არა მარტო იმის საინფორმაციოთ, თუ რას აკეთებს ცენტრალური ხელისუფლება ღარიბთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არამედ იმისათვისაც, რომ ჯამი გაუკეთდეს ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ღარიბ გლეხკაცობის შორის ჩატარებულ მუშაობას. ამ მიზნით თათბირებზე უნდა შემოწმებულ იქნას სოფლის სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობის საკითხები ღარიბი გლეხკაცობისათვის სამეურნეო დახმარების აღმოსაჩენად. კონფერენციებს კი საადგილმამულო, საფინანსო, საკრედიტო ორგანოებმა, კოლექტიურ მეურნეობათა წარმომადგენლებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ მათ მიერ ღარიბთა შორის ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

დღემდი ღარიბთა ჯგუფები დაქსაქსული და განცალკევებული არიან. ეს ცუდ გავლენას ახდენს მათ მუშაობაზე. თათბირები და კონფერენციები აქ დაქსაქსულობის წინააღმდეგაა მიმართული. ეს ზომა მიზნათ ისახავს ღარიბთა შორის მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავებას და გაფართოებას. ადგილობრივ ორგანიზაციებმა ამ საკითხს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ.

დ. მ—ი.

მორიგეობითი თავჯდომარეობა უჯრედის კრებებზე

(წინადადების სახით)

ბევრგან, როგორც სისტემა შემოღებულია კომუჯრედების სხდომებზე მორიგეობითი თავმჯდომარეობა და მდივნობა. ეს ხდება უმთავრესად იმ მოსაზრებით, რომ ყველას შეხვდეს თავმჯდომარეობა და რიგის წევრები გააქტივებულ იქნან.

უნდა ითქვას, რომ ეს მოტივი არადამაკმაყოფილებელია და მორიგეობითი თავმჯდომარეობის სისტემა მიუღებელი.

ყველასათვის უდაოა, რომ კრების ნაყოფიერად წარმართვა ბევრადაა დამოკიდებული თავმჯდომარის ცოდნასა და უნარიანობაზე; იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა გამოუცდელი თავმჯდომარის მეოხებით კრება მიმდინარეობს არანორმალურად. გასაკვირი არაა თუ ისევ არანორმალურ პირობებში გამოაქვთ არა სწორი დადგენილებები ამა თუ იმ საკითხის გარშემო, კრება რამოდენიმე საათობით გრძელდება, რაც ზედმეტად ღლის კრების მონაწილეთ და იწვევს მათში პასიურობას.

მეორეს მხრივ მორიგეობითი თავმჯდომარეობა, როცა უჯრედის მდივანი აცხადებს, დღეს რიგის მიხედვით თავმჯდომარეობს და მდივნობს ესა და ეს ამხანაგიო, ერთგვარ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ზოგიერთ დასახელებულ ამხანაგებსაც; არის ისეთი შემთხვევაც, როცა დასახელებული უარს აცხადებს მოვალეობის შესრულებაზე. ამას გარდა მორიგეობითი თავმჯდომარეობა არ ესაბამება შინაპარტიულ დემოკრატიის განვითარებას.

ამ მოსაზრებათა გამო და მასთან იმის გამოც, რომ ჩვენ მოგვეპოვება უფრო იოლი და მისაღები ფორმები უჯრედის წევრების გასააქტივებლად, მათი ცოდნის ასამაღლებლად (სხვადასხვა წრეები; თათბირები, პოლიტსკოლები და სხვა). მორიგეობითი თავმჯდომარეობის სისტემა მიუღებლად უნდა ჩაითვალოს.

მ. ბარამია.

ქალთა შორის მუშაობა წალკის რაიონში

ამ რაიონში ითვლება 45 სოფელი. 7 სოფელში არის დაარსებული სადელეგატო პუნქტები (4 ბერძნული და 3 სომხური), რომლებშიაც ითვლება 228 ქალი. მათ შორის 125 ბერძენი და 103 სომეხი. სოციალური მდგომარეობით—222 გლეხი ქალი, 2 მუშა და 4 მოსამსახურე—მასწავლებელი ქალი.

დელეგატ ქალებში არის 5 წევრი და 2 კანდიდატი კ. პ. და 7 ა.ლ.კ.კ. წევრი.

სადელეგატო კრებების ხელმძღვანელები არიან კ. პ. წევრები და კანდიდატები, რომლებიც აგრეთვე არიან გამოყოფილნი უჯრედების მიერ ქალ-ორგანიზატორებათ.

ადგილობრივი ინტელიგენცია არის ჩაბმული კულტურულ მუშაობაში: აკეთებს მოხსენებებს დელეგატთა კრებებზე და ეხმარება ქალთა ორგანიზაციებს.

მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად და პროგრამის მიხედვით. ქალები ხალისით უსმენენ ექიმის და აგრონომის ლექციებს.

რაიონში არის ერთი კლუბი და 4 სამკითხველო. გახსნილია აგრეთვე 3 ლიკ.-პუნქტი, რომლებშიაც ირიცხება 94 დელეგატი-ქალი. დელეგატები არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივ მუშაობაში: საბჭოში არის 37 დელეგატი, გლეხკომში—1 და ადგილკომში—1.

ამ ორგანიზაციებში ქალები მუშაობენ დამაკმაყოფილებლად.

ქალ-ორგანიზაციებს აქვთ ცოცხალი კავშირი თემკომთან. თემკომი უხელმძღვანელებს დ.—კრებებს და ქალ-ორგანიზატორების საკითხებს სვამს თემკომის სხდომებზე.

სხვა ორგანიზაციები ხელს უწყობენ სადელეგატო პუნქტების მუშაობას.

ა.

„ეკონომიური კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ

საქ. ს. მ. უ. ს. ინჟინერ-სპეციალისტთა კრება

გუშინ საღამოს შესდგა ს. მ. უ. ს. ტრესტებსა და წარმოებებში მომუშავე ინჟინერ-ტეხნიკოსთა, ეკონომისტთა და სპეციალისტთა საერთო კრება, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი შახტის ოლქში აღმოჩენილ კონტრ-რევოლუციონურ შეთქმულების შესახებ. კრების თავმჯდომარე ინჟ. მარკაროვმა მოკლედ დაახასიათა შეთქმულების მომწყობთა მოღვაწეობა, მათი ზრახვები და აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეთერთმეტე წელში ასეთი საქციელი უნდა ჩაითვალოს უდიდეს დანაშაულად არა მარტო ხელისუფლების მიმართ, არამედ საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ერების მიმართაც.

კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ინჟ. ტერ-დავიდოვმა, ინჟ. ბორკოვმა, ნ. ელიავამ, ალ. დევდარიანმა, ვ. დამბაშიძემ, ინჟ. ხარაჯიშვილმა და სხ.. ორატორები ერთხმად გმობდენ შახტის შეთქმულებაში მონაწილე ინჟინერ-სპეციალისტებს და მოითხოვდენ მათ მიმართ სასტიკ სასჯელს.

დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ს. მ. უ. ს. ტრესტებსა და წარმოებებში მომუშავე ინჟენერ-ტეხნიკოსები, ეკონომისტები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და პასუხისმგებელი მუშაკები, თავის ღრმას აღშფოთებას გამოსთქვამენ მოღალატე კონტრ-რევოლუციონერთა ჯგუფის მიმართ, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული დაენგრია და გაენადგურებია ჩვენი მრეწველობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი და შეეფერხებია საერთოდ სოციალისტური აღმშენებლობის საქმე. კრება ერთხელ კიდევ ადასტურებს თავის კატეგორიულ გადაწყვეტილებას, რომ მთელის ენერგიით, ცოდნით და გამოცდილებით ხელს შეუწყობს მსოფლიოში პირველ მუშათა სახელმწიფოს აღმშენებლობას და მის ეკონომიურ განმტკიცებას.

ყოველგვარი ცდა—ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობას, საქართველოს ს. მ. უ. ს., მის ტრესტებსა და წარმოებებში მომუშავე სპეციალისტების მხრიდან შეხვდება სასტიკ და ერთსულოვან წინააღმდეგობას. ჩვენ მოუწოდებთ ყველა პატიოსან სპეციალისტებს და ინჟინერ-ტეხნიკოსებს გაერთიანებულის ძალით შეებრძოლონ საბოტაჟის ყოველგვარ გამოსახულებას და კონტრ-რევოლუციონურ ზრახვათა ოდნავ გამომჟღავნებასაც კი. საქართველოს ს. მ. უ. ს. ტრესტებსა და წარმოებებში მომუშავე სპეციალისტები ერთხელ და საბოლოოდ უკავშირებენ თავიანთ ბედს მუშათა კლასის მომავალს და საბოლოოდ დარჩებიან თავიანთ სასახელო პოსტზე საბჭოთა სახელმწიფოს ასაყვავებლად და გასამაგრებლად".

საგაზაფხულო თესვის კამპანიის წინ

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს, საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს

ჯერ კიდევ ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობამ აღნიშნა, რომ ჩვენი სასოფლო-მეურნეობის განვითარების ტემპი საკმარისი არ არის.

ამ მოვლენის ძირითად მიზეზებათ ყრილობამ აღიარა სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის, ჩვენი გლეხობის კულტურული განვითარების დაბალი დონე და სასოფლო მეურნეობის დაქსაქსულობა და გაფანტულობა.

ამასთან ერთად ყრილობამ აღნიშნა ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს საბჭ. კავშირში სასოფლო მეურნეობას, როგორც მრავალმილიონიანი გლეხური მასის საარსებო წყაროს, როგორც ჩვენი სამრეწველო ცენტრების საკვებ წყაროს, როგორც ჩვენი მრეწველობის ნედლეულის ძირითად ბაზას და როგორც ჩვენი ექსპორტის მთავარი კონტიგენტების მიმწოდებელს.

ეს გარემოებანი და გარდა ამისა შარშანდელი მოუსავლობა საქართველოში, აიძულებენ ჩვენ პარტიას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჩვენ სასოფლო მეურნეობის მდგომარეობას და მის შემდგომ განვითარებას.

სასოფლო მეურნეობის მიმართ ჩვენმა პარტიამ მიზნად უნდა დაისახოს იმ მიზეზების აღმოფხვრა, რომელნიც აბრკოლებენ მის სწრაფ განვითარებას. პარტიის ყურადღება უნდა გაძლიერდეს განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გაჩაღების პერიოდში— გაზაფხულსა და შემოდგომაზე,— მაშინ, როცა დგება საგაზაფხულო და საშემოდგომო თესვის სეზონი.

აქედან გამომდინარეობს მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების აუცილებელი საჭიროება.

მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიას უნდა მიეცეს ფართო და ღრმა ხასიათი. კამპანია უნდა ჩატარდეს მე-15 ყრილობის მიერ სასოფლო მეურნეობის შესახებ გამოტანილ დადგენილებათა განხორციელების ნიშნის ქვეშ. ამ კამპანიაში პარტიის წინაშე დასმული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1) სასოფლო მეურნეობის მარცვლეულობის ბაზის გაფართოება სათესი არეს გაფართოებით და მოსავლიანობის გადიდებით.

2) ტეხნიკურ და ძვირფას კულტურის მოყვანის გაფართოება.

3) სასოფლო მეურნეობის ტეხნიკური ბაზის გაძლიერება და გაუმჯობესება.

4) მესაქონლეობის გაუმჯობესება ჯიშიანი საქონლის გავრცელებით და ბალახეულობის თესვის შემოღებით.

5) სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ხელის შეწყობა და ყოველ მხრივ დახმარება.

6) ღარიბ და [illegible] მეურნეობისათვის ყოველგვარი დახმარების გაწევა სათესლე მასალის და გასაქირავებელ მანქანების მიწოდებით, კრედიტის გახსნით, ცოცხალ და მკვდარ ინვენტარის შესაძენად და ფართო საზოგადოებრივ დახმარების აღმოჩენა ყანების დათესვის დროს.

7) გლეხობის ფართო ფენების ცოდნის ამაღლება სოფლის მეურნეობის დარგში.

კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებები გლეხობისათვის, განსაკუთრებით მის შეუძლო ნაწილისათვის ნივთიერი დახმარების აღმოსაჩენად. (სათესლე მასალის, იარაღების, მანქანების მიწოდება, გასაქირავებელი პუნქტების გაფართოება, სესხის გადიდება და სხვ.) კამპანიის სრული წარმატებისათვის საკმარისი არ არის მარტო მატერიალური ხასიათის ღონისძიებები. აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რამდენად გაიგებს გლეხი თესვის კამპანიის მნიშვნელობას და რამდენად შეგნებულად მოეკიდება მას.

ამიტომ წინადადება გეძლევათ:

1) გააჩაღოთ ფართო საგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გლეხებს შორის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით.

2) საგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა შეუთანხმეთ და დაუკავშირეთ მთავრობის სამეურნეო ღონისძიებებს.

3) კამპანიის პერიოდში მუშაობის ცენტრში დააყენეთ გლეხების სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ამაღლება, ახსნა-განმარტება სასოფლო-მეურნეობის კოლექტივიზაციის, სამანქანო-სამელიორაციო და სხვა ამხანაგობებში გლეხობის გაერთიანების, მიწის გაერთიანებული ძალებით დამუშავების, მუშა-საქონლის საერთო შეძენის მნიშვნელობისა. ფართო საზოგადოებრივი დახმარების ორგანიზაცია (ნადი და სხვა). ქვრივ-ობლებისა, წითელ არმიელებისა და ღარიბ გლეხობისათვის დახმარების აღმოსაჩენად და სხვა.

4) კამპანიის ჩასატარებლად გამოიყენეთ თეატრები, კლუბები, სახალხო სახლები, კინოები, სამკითხველოები, რადიო, გლეხთა სახლები, გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებანი, გლეხთა კოოპერატიული გაერთიანებანი, ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლები, განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობის სკოლები, სასოფლო-სამეურნეო სკოლები და ტეხნიკუმები, საბჭოთა პარტ. სკოლები, პოლიტცოდნის სტაციონალური და მოძრავი სკოლები, წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო პუნქტები, ქალთა სადელეგატო კრებები, ყოველგვარი კურსები და წრეები, ტერიტორიალური ნაწილები, ყოველგვარი კონფერენციები კრებები, თათბირები და სხვა.

აქ მოხსენებულ დაწესებულებებში მოაწყეთ სისტემატიური მოხსენებები, ლექციები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, აგრონომიული გასამართლება, მხატვრული წარმოდგენები და სხვა.

5) კამპანიის ჩასატარებლად მოიწვიეთ პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციები, სოფლის საშუალო შეძლებისა და ღარიბი გლეხების აქტივი, დელეგატი ქალები, მასწავლებლები, აგრონომები, მიწა-ტყის მუშაკები, კოლექტიურ-მეურნეობათა საბჭოთა მეურნეობათა მუშაკები კოოპერატიული მუშაკები, ექიმები, სამკითხველოს გამგეები, კულტურული მოღვაწე გლეხები, სასოფლო-სამეურნეო და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების უფროს ჯგუფების მოწაფეები ქალაქიდან სოფელში დაბრუნებული და საგაზაფხულო არდადეგებზე მოსული მოსწავლე ახალგაზრდები, ტეხნიკოსები, შვებული წითელ არმიელები და სხვა.

6) ფართოდ გამოიყენეთ ცენტრალური და ადგილობრივი პრესა და კედლის გაზეთები, სისტემატიურად გააშუქეთ იქ კამპანიის მსვლელობა და მასში სხვადასხვა ორგანიზაციების მონაწილეობა.

7) ამ ცირკულიარის მიღებისთანავე სამაზრო-საოლქო ცენტრებში მოიწვიეთ თათბირი კომკავშირის, მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების, საადგილმამულო ორგანოების, განათლების განყოფილების, პოლიტგანათლების, მიწა-ტყის მუშების, განათლების მუშაკთა კავშირების და ყველა ადგილობრივ კოოპერატიულ გაერთიანებათა და გლეხკომების წარმომადგენელთა მონაწილეობით. თათბირზე ამ ცირკულიარისა და მთავრობის თესვის კამპანიის გეგმის მიხედვით დაამუშავეთ მასიურ საგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გეგმა ოლქებისა და მაზრებში საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად.

8) ასეთივე თათბირებში მოიწვიეთ სარაიონო და სათემო ცენტრებში კამპანიის გეგმის გამოსამუშავებლად რაიონებისა და თემებისათვის.

9) გამოჰყავით აგიტატორ-პროპაგანდისტები და მიამაგრეთ ისინი გარკვეულ რაიონებსა და თემებს ხელმძღვანელობის გასაწევად.

10) პირველად ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარეთ პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციების ღია კრებებზე საბჭოების სხდომებზე, რომლებზედაც მოწვეული უნდა იქნენ საშუალო შეძლებისა და ღარიბი გლეხობის აქტივი, დელეგატი ქალები, შვებული წითელ არმიელები, ადგილობრივი ინტელიგენცია და სხვა. შემდეგ ასეთივე მუშაობა ჩაატარეთ გლეხთა საერთო კრებებზე თემებსა და სოფლებში.

11) საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა უნდა სწარმოებდეს სისტემატიურად, თესვის კამპანიის დამთავრებამდე.

12) კამპანიის მსვლელობის შესახებ თვეში ორჯერ ცნობები მიაწოდეთ ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას.

დაწვრილებითი დირექტივები სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციების კამპანიაში მონაწილეობის შესახებ დაგზავნილი იქნება სათანადო ცენტრების მიერ. (მიწადმოქმედების სახკომისარიატის, სოფლის კავშირის, გლეხკომის, განათლების სახ. კომისარიატის, მიწა-ტყის მუშათა კავშირის, ცენტრალურ გამგეობის, კომკავშირის ცეკას და სხ. მიერ).

ლოზუნგები, ლიტერატურის მაჩვენებელი და მასალები მოხსენებებისათვის გამოქვეყნებული იქნება დამატებით.

ცეკა აღნიშნავს, რომ ადგილობრივ პარტორგანიზაციების საგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა შეფასებული იქნება იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება წარმატება ნათესების გაფართოების და გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი **შ. კახიანი.**

ცეკას საგ.-საპ. განყოფილების გამგე **ს. მამულია.**

რა უნდა გააკეთონ რესპუბლიკანურმა რწმუნებულებმა

გუშინ, ამიერ-კავკასიაში საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების ხელმძღვანელ ამხ. **ბაზიროვის** თავმჯდომარეობით შესდგა სპეციალური კომისიის სხდომა, რომელზედაც გამომუშავებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებები საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

კომისიამ აღნიშნა, რომ საქართველოსა და აზერბეიჯანში საგაზაფხულო თესვის კამპანიაში ჩასატარებელი მუშაობა მიმდინარეობს სუსტად.

კომისია საჭიროდ სცნობს დაუყოვნებლივ იქნას გატარებული ცხოვრებაში შემდეგი წინადადებები:

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა ორგანოებმა ენერგიულად ადევნონ თვალყური მათ მიერ მიცემულ დირექტივების შესრულებას ადგილებზე და მოახდინონ თესვის კამპანიის პერიოდული გამოკვლევა.

წინადადება მიეცეს აზერბეიჯანისა და საქართველოს რწმუნებულებს დაჩქარებით ჩაატარონ საგაზაფხულო თესვის კამპანიის ხელის შემწყობ სამეულების მოწყობა მაზრებში და თემებში.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს წინადადება მიეცეს დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ოფიციალური ცნობები იმის შესახებ, თუ რა კრედიტებია გახსნილი, ან როდის ა.-კ. რესპუბლიკების სასოფლო მეურნეობისათვის და ამავე დროს წინადადება მიეცეს ცალკე რესპუბლიკების წარმომადგენლებს შეამოწმონ ეს ცნობები.

წინადადება მიეცეს რესპუბლიკებს დაჩქარებით გადასინჯონ თავიანთი მოთხოვნილებები სამელიორაციო კრედიტებზე და დაამუშაონ გეგმები აღნიშნული კრედიტების ადგილებისათვის სწრაფად დანაწილების შესახებ.

ყველა ღონისძიებები ნიადაგის გასანოყიერებლად შესრულებულ უნდა იქნეს სრული ასი პროცენტით; სომხეთში საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების რწმუნებულის საქმიანობა ამ მხრივ ცნობილ იქნეს არა დამაკმაყოფილებლად და წინადადება მიეცეს მას, საჩქაროდ გამოასწოროს ამ მხრივ შენიშნული ყველა დეფექტები.

დაუყოვნებლივ იქნეს დამუშავებული სათესლე მასალათა შესაძენი კრედიტების განაწილების გეგმა იმ ვარაუდით, რომ საერთოდ გაცემული 200.000 მან. კრედიტიდან სომხეთს მიეცეს 100.000 მანეთი, საქართველოს 70.000 მანეთი და აზერბეიჯანს 30.000 მანეთი.

ცალკე რესპუბლიკებში საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების რწმუნებულებს მიენდოს დაამუშაონ პირველი ცნობები კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად მიღებულ ზომების შედეგების შესახებ და აღნიშნულ მუშაობაში დაიხმარონ ა.-კ. საგეგმო კომისიის წარმომადგენლები იმ მიზნით, რომ აღნიშნული ცნობები მოკლე ხნის განმავლობაში გადაეგზავნოს მოსკოვში ამხ. ს. **ორჯონიკიძეს.**

ა.-კ. სახალხო კომიტეტის წარმომადგენელს ამხ. **ბირიუშევს**, აზერბეიჯანის წარმომადგენელს **შაბანოვს**, საქართველოს წარმომადგენელს **ჟამანაშვილს**, სომხეთის წარმომადგენელს **ერზინკიანს** და ა.-კ. საგეგმო კომისიის წარმომადგენლებს დაევალოს დაწვრილებით დაამუშაონ საკითხი კანაფის, თამბაქოს და სხვა ტეხნიკური კულტურების კონტრაქტაციის შესახებ.

გაფრთხილებულ იქნენ ყველა ის ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთაც პირდაპირ ან არაპირდაპირი კავშირი აქვთ საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებასთან, რომ ყოველგვარი დაგვიანება ან გულგრილობის გამოჩენა კამპანიასთან დაკავშირებულ ღონისძიებების გატარებაში, გამოიწვევს სათანადო რეპრესიულ ზომების მიღებას.

აღნიშნულ წინადადებებს ხელს აწერს საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებაში საგანგებო რწმუნებულათ დანიშნული ამხ. **ბაზიროვი.**

რემედასის ხუთი წლის თავი და პარიზის კომუნის მე-57 წლის თავი

(თეზისები მომხსენებელთათვის)

1. პარიზის კომუნის მე-57 წლის თავს საერთაშორისო პროლეტარიატი ხვდება კლასიური ბრძოლის არაჩვეულებრივად გამწვავების პირობებში კაპიტალიზმის დაშლის პროცესის გაძლიერების ნიადაგზე.

უშუალო საფრთხე ახალი ომისა დედამიწის ხელმეორედ განაწილებისათვის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, კოლონიალური პრობლემის, ბაზრების პრობლემის გამწვავება, კაპიტალისტური მსოფლიოს წინააღმდეგობათა გამწვავება საბჭოთა კავშირთან, რომელიც საერთაშორისო პროლეტარიატის გამარევოლუციონერებელ ფაქტორს წარმოადგენს, და ამასთან დაკავშირებით მუშათა კლასის შევიწროება ყველგან—აი, ამ დაშლის ძირითადი ნიშნები.

2. საბჭოთა კავშირი—უშუალო მემკვიდრე იმ დიდი საქმისა, რომელიც პარიზის პროლეტარიატმა დაიწყო 57 წლის წინედ საზოგადოების გარდაქმნისათვის სოციალისტურ ნიადაგზე, თავისი არსებობის მე-11 წელში შედის.

თუ პარიზის კომუნამ, როგორც სწერდა ლენინი, „მიუხედავად თავისი ხანმოკლე არსებობისა, შესძლო მიეღო რამოდენიმე ზომა, რომელნიც საკმაოდ ახასიათებს მის ნამდვილ აზრს და მიზნებს", სამაგიეროდ პროლეტარული დიქტატურის 10 წელმა საბჭოთა კავშირში, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებამ იმპერიალიზმის [illegible] განვითარების პირობებში, ნათლად უჩვენა მთელ საერთაშორისო პროლეტარიატს იმ სახელმწიფო ფორმის აზრი და მნიშვნელობა, რომელიც ერთად ერთი საშუალებაა ბურჟუაზიის ნამდვილად დამხობისათვის.

3. პარიზის კომუნა მსოფლიო ისტორიაში პირველი გმირული ცდა იყო ექსპლოატატორთა დამხობის და მშრომელთა მიერ ძალა-უფლების ხელთ ჩაგდების. პარიზის კომუნამ თავის 72 დღის არსების განმავლობაში გამოსცა რიცხვით მცირე, მაგრამ ბურჟუაზიული წყობილების ძირიან-ფესვიანად შემცვლელი დეკრეტები, რომლებიც მოასწავებდა მშრომელთა არსებობის ახალი ხანის დაწყებას: ღამის შრომის გაუქმება პურის მცხობელთათვის და ზრუნვა უმუშევრებისათვის, ჯარიმების გაუქმება, „რეკრუტჩინას" გაუქმება, საბინაო გადასახადის გაუქმება, მოხელეების საარჩევნო წესით დაყენება თანამდებობაზე, კომუნის მოსამსახურეთა ჯამაგირის რაოდენობის აყვანა მუშათა საშუალო ხელფასის რაოდენობამდე, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, და ეკლესიის ქონების ნაციონალიზაცია და, დაბოლოს, შემუშავება იმ გეგმისა, რომლის მიხედვითაც მუშათა კოოპერატიული ამხანაგობების საშუალებით უნდა აემუშავებიათ შეჩერებული ფაბრიკები და ეს ამხანაგობანი უნდა გაეერთიანებია მთლიან კავშირში,—აი პარიზის ღარიბთა ძირითადი მონაპოვარი კომუნის ბატონობის დღეებში.

4. საბჭოთა კავშირის ძლევამოსილმა პროლეტარიატმა არ გაიმეორა კომუნის შეცდომები, ბოლშევიკების პარტიის ფოლადოსებური რიგების ხელმძღვანელობით, რევოლუციონური გლეხობასთან მჭიდრო კავშირის ნიადაგზე 10 წლის წინად ბურჟუაზიას და მის ლაქიებს გამოსტაცა ხელიდან მახვილი, და გამოიყენა რა კომუნის გაკვეთილები, საბოლოოდ მოსპო ექსპლოატატორთა ბატონობა. რევოლუციონური მოძრაობის განვითარებაში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის წლები—პროლეტარული ხელისუფლების წლები ძლევამოსილმა პროლეტარიატმა აღნიშნა მუშათა კლასისა და გლეხობის უდიდესი მონაპოვართ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე. მიწის ნაციონალიზაცია, ფაბრიკების, ქარხნების, ბანკების და მრეწველობის ნაციონალიზაცია, 8 საათის სამუშაო დღე და სხვა მონაპოვარი, რომელთა საშუალებით რუსეთი საერთაშორისო ჟანდარმიდან გადაიქცა სოციალიზმის მშენებელ ქვეყნად,—არა მარტო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის პროლეტართა ათი წლის მუშაობით, არამედ პროლეტარულმა ხელისუფლებამ შორს გადადგა ნაბიჯი წინ ამ მიმართულებით: საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-11 წელში გაიზარდა კავშირის მშრომელთა კლასების ნივთიერი დონე. სწარმოებს 8 საათის სამუშაო დღიდან 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, გლეხობის ძირითად მასასთან ძმური კავშირის განმტკიცება, მტკიცე დასაყრდენის შექმნით სოფლად კულაკის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ ათი წლის თავზე სავსებით გაანთავისუფლა გადასახადებისაგან სოფლის ღარიბი გლეხობა და მცირე შეძლების გლეხობის ნაწილი, შემოიღო მოსუცებულ ღარიბების გლეხთა სოციალური დაზღვევა და სხვ.

საბჭოთა კავშირი, არ ივიწყებს რა ისტორიულ მისიას, რომელიც წილად ხვდა მსოფლიოში პირველ მუშურ სახელმწიფოს, და სწავლობს რა პარიზის კომუნის შეცდომებზე, ყოველგვარი საშუალებით ამაგრებს პროლეტარული რევოლუციის ზურგს, ყოველგვარ ზომებს იღებს საერთაშორისო პროლეტარიატთან და გლეხობასთან კავშირის განსამტკიცებლად.

პარიზის კომუნამ სულ იარსება 72 დღე, მაგრამ თავისი არაჩვეულებრივი მაგალითის ნათელი სხივით გააშუქა შრომის კაპიტალთან რევოლუციონური ბრძოლის ათეული წლები და დასახა ერთად-ერთი სწორი გზა პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებისათვის. კომუნის დაცემა აუცილებელი იყო მთელი რიგი მიზეზების გამო. პარიზის პროლეტარიატმა, რომელმაც ადვილად, ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება ბურჟუაზიის [illegible] გაბრუნების მომენტში, ვერ მოასწრო ძლიერი ავანგარდის (პარტიის) შექმნა, ვერ უზრუნველყო მხარის დაჭერა გლეხობის მხრივ, ვერ შექმნა რევოლუციის მტკიცე ზურგი საფრანგეთის მოსაზღვრე ქვეყნებში და „ზედმეტი სულგრძელობა" (ლენინი) გამოიჩინა ბურჟუაზიის მიმართ: არ წამოაყენა ექსპლოატატორთა ექსპროპრიაციის ლოზუნგი, ნაციონალიზაცია არ მოუხდენია ბანკებს და სხ. ამ სულგრძელობით ისარგებლა გამეცებულმა ბურჟუაზიამ და სისხლში ჩაახრჩო ამბოხებული პროლეტარიატი: მოკლულ იქნა 30.000 კომუნარი. დაპატიმრებულ იქნა 45.000, რომელთაგან ბევრი დახოცეს: პარიზმა იმ დღეებში სულ დაჰკარგა 100.000 მეტი საუკეთესო შვილი. კომუნის მებრძოლებმა გაანაყოფიერეს საერთაშორისო რევოლუციონური მოძრაობის ჯეჯილი. ბურჟუაზიის იმედი, რომ „ეხლა სოციალიზმის საქმე დიდი ხნით არის განადგურებული" (ტიერი), ამაო გამოდგა. პარიზის კომუნის დამარცხების დროიდან ეხლანდელ ხანამდე ყოველ წლობით იზრდება საერთაშორისო რევოლუციონური მოძრაობა და სულ უფრო და უფრო მძლავრად არყევს კაპიტალისტური მსოფლიოს საძირკველს.

5. პარიზის კომუნის მე-57 წლის თავი ეხლა ხვდება გარდატეხის მომენტს საერთაშორისო რევოლუციონურ მოძრაობაში. განვლილი 1927 წელში ჩვენ გვაქვს მრავალი მაგალითი, რომლებიც მოწმობენ რევოლუციონური მოძრაობის გაფართოებას, მშრომელთა მტრების დაღუპვის მოახლოებას. ვენის აჯანყება წარსული წლის ივლისში, მსოფლიო მშრომელთა შორის სიმპატიების ზრდა საბჭოთა კავშირისადმი, რევოლუციის გაღრმავება ჩინეთში და გმირული აჯანყება კანტონში, აჯანყება ინდონეზიაში, რევოლუციის განვითარება ინდოეთში, კომუნისტების საარჩევნო გამარჯვებანი გერმანიაში, ჩეხო-სლოვაკიაში და პოლონეთში, ყვითელი და ფაშისტური პროფკავშირების დამარცხებანი ფაბრიკა-ქარხნების არჩევნებში — ნათლად მოწმობს მსოფლიო კაპიტალის დაღუპვის მოახლოებას.

6. ამჟამად, როცა მტკიცდება პროლეტარიატისა და რევოლუციონური გლეხობის ოქტომბრის მონაპოვარნი დედა-მიწის ერთ მეექვსედ ნაწილში—საბჭოთა კავშირში, რომელიც საერთაშორისო პროლეტარიატის დასაყრდენია თანამედროვე ბისმარკისა და ტიერების წინააღმდეგ ბრძოლაში,—მსოფლიო ბურჟუაზია გააფთრებულ შეტევას აწარმოებს მუშათა კლასის წინააღმდეგ. პროლეტარიატის ახალი ჯალათები, ახსოვთ რა მათ ტიერის ცნობილი ფრაზა მაისის კვირის შემდეგ: „სოციალიზმის საქმე განადგურებულია დიდი ხნით", ცდილობენ რევოლუციონური მოძრაობა ჩაახრჩონ სამუდამოდ. ბურჟუაზიის ლაქიები, ყველა ქვეყნების სოციალ-გამცემლები, რომლებიც ეხლა აშკარად გამოდიან პროლეტარიატის წინააღმდეგ, ბურჟუაზიის დასაცავად, იმპერიალისტების საძაგელ, მუხანათურ ზრახვებს ფარავენ ყალბი ფრაზებით იმის შესახებ, რომ შესაძლოა საყოველთაო განიარაღება, რომ მშვიდობიანი გზით შეიძლება გადაწყდეს კაპიტალისტური სისტემის ნიადაგზე წარმოშობილი მძიმე კრიზისი.

7. სხვადასხვა ქვეყნების ტრესტებში შეკავშირებული კაპიტალი, ამზადებს რა ახალ ომს ჩვენი დროის კომუნის წინააღმდეგ, სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამაგრებს თავის ზურგს, ხელფეხს უბორკავს „თავის" მუშათა კლასს და „თავის" გლეხობას, და ყოველგვარი საშუალებით აათკეცებს მშრომელთა მასების ექსპლოატაციას: წარმოების რაციონალიზაციას ახდენს მუშათა მდგომარეობის გაუარესების გზით, ადიდებს სამუშაო დღეს, ამცირებს ხელფასს, მკვეცავს პროფკავშირთა უფლებებს, [illegible] გაფიცვების თავისუფლებას, ადიდებს გადასახადებს და აძლიერებს თეთრ ტერორს, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მეგობართა წინააღმდეგ.

8. გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ მაისის კვირით უპასუხა პარიზის პროლეტარიატის გმირულ აჯანყებას.—თანამედროვე გალიფეები და ტიერები სისხლიანი წლებით უპასუხებენ მუშებსა და რევოლუციონურ გლეხობას რევოლუციონურ მოძრაობაზე, რომელიც ყოველ წლობით იზრდება. კაპიტალისტური მტაცებლები, ცდილობენ რა გადააჭარბონ პარიზის კომუნის ჯალათებს, ისწრაფვიან სისხლში ჩაახრჩონ მუშათა კლასი, რომელიც მსოფლიო კომუნის შესაქმნელად იბრძვის. თეთრი ტერორი განუწყვეტლივ იზრდება. ციფრები ლაპარაკობენ ამაზე: ტერორი ფაშისტურ და ეგრედწოდებულ დემოკრატიულ ქვეყნებში მსხვერპლად იწირავს ასი ათასობით მსხვერპლს: მხოლოდ 1927 წლის 11 თვის განმავლობაში მოკლული იქნა 47.559 კაცი, და დაჭრილი იქნა 29.407. სიკვდილით დასჯა მოუსაჯიათ 10.879 კაცს.

9. ციხეებში, გადასახლებაში და კატორღაში მყოფი და დაღუპული რევოლუციონერების ოჯახთა მდგომარეობა ყოველ წლობით სულ უფრო და უფრო მძიმე ხდება, ვინაიდან შურის მაძიებელთა რეპრესიები მათ წინააღმდეგაც არის მიმართული: სამუშაოდან ითხოვენ იმ მუშებს, რომელთაც ვინმე ახლობელი ჰყავთ ციხეში, სკოლებიდან ითხოვენ რევოლუციონერთა ბავშვებს და სხვა ამგვარ რეპრესიებს მიმართავენ საშინელ გაჭირვებაში მყოფი რევოლუციონერ მებრძოლთა ოჯახების წევრების წინააღმდეგ.

10. თავისი მუშაობის ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც მიმართული იყო მსოფლიო რევოლუციის ზურგის გამაგრებისაკენ, მსოფლიოს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის გამოსაშკარავებისა და თეთრი ტერორის მსხვერპლთათვის დახმარების გაძლიერების დღედ, მოწმე იყო მუშათა კლასის უდიდეს გამარჯვებათა და დამარცხებათა, მოწმე იყო ფაშისტური ტერორის უმაგალითო ფაქტებისა და ამავე დროს იყო ბურჟუაზიის „მართლმსაჯულების" მსხვერპლთა აქტიური დამცველი. რემედასის მუშაობის პირველი წლები (1923—24 წ.) აღნიშნულ იქნა რევოლუციონური პროლეტარიატის უდიდესი ბრძოლებით გერმანიაში, გლეხთა გმირული აჯანყებებით ბესარაბიაში (ტატარ-ბუნარი), სექტემბრის აჯანყებით ბულგარეთში, ამ აჯანყებათა დამარცხებით და თეთრი ტერორის გააფთრებული შეტევით რევოლუციის ბელადთა და რევოლუციონურ მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ გერმანიის ეგრედწოდებული სოციალ-დემოკრატიული მთავრობის და ბულგარეთის და რუმინეთის აშკარა ფაშისტური ხელისუფლების მხრივ. რემედასის ნივთიერი დახმარება თეთრი ტერორის მსხვერპლთათვის ამ წლების განმავლობაში გამოიხატა: 1923 წელში—279.286 მან., 1924 წელში—1293.322 მანეთი., 1926 წ. ინგლისში ადგილი ჰქონდა გიგანტიურ, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გაფიცვას, რომელმაც მკაცრი რეპრესიები გამოიწვია გაფიცვის მეთაურთა, აქტიურ მონაწილე და კერძოდ კომუნისტების წინააღმდეგ. რემედასი აქაც გამოვიდა საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინა გაფიცვის აქტიურ მოღვაწეებს, რომლებიც ციხეში დაამწყვდიეს, და მათ ოჯახებს. უკანასკნელი 1927 წელში განვითარდა და გაღრმავდა ჩინეთის რევოლუცია. ჩინეთის რევოლუციის დროებითი დამარცხება შანხაიში, ხანკოუში, სვატოუში, და მარცხება კანტონში, აჯანყების ჩაქრობა ვენაში, საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯა,—აი, ძირითადი მომენტები, რომლებმაც განსაზღვრეს რემედასის მოქმედება. რემედასმა 1927 წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნების თეთრი ტერორისაგან დაზარალებულ რევოლუციონერებს დახმარება აღმოუჩინა 1.132.728 მან. რაოდენობით ეს ციფრები მოწმობს იმას, რომ რემედასი შრომასთან კაპიტალის ბრძოლის ყველა ეტაპებზე გამოდიოდა როგორც მებრძოლი პროლეტარიატის ერთგული დარაჯი და დამცველი. რემედასმა მობილიზაცია მოუხდინა მთელი თავის ძალებს კაპიტალის ტყვეთა და მათი ოჯახების დახმარებისათვის, მოაწყო მრავალი ასი ათასი დემონსტრაცია, საპროტესტო მიტინგები სიკვდილით დასჯისა და სხვადასხვა პოლიტიკური პროცესების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირში მიიღო და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინა ბურჟუაზიის „მართლმსაჯულებისაგან" გამოქცეულ პოლიტემიგრანტებს, დახმარება გაუწია დაღუპულ რევოლუციონერთა მრავალ ობოლ ბავშვს.

11. რემედასმა, რომელიც ერთგულად იცავს პარიზის კომუნის ანდერძს, თავისი მოქმედების ხუთი წლის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა თავისი რიგების გამაგრებისა და ყველა ქვეყნის მრავალ მილიონ მშრომელთა შორის თავისი გავლენის გავრცელებისათვის.

თავის არსებობის ხუთი წლის თავზე რემედასს აქვს 44 სექცია მსოფლიოს 44 ქვეყანაში, ჰყავს 8.000.000 წევრი და 4 მილიონი თანაგრძნობი. მეტად ძნელი იყო გზა, რომელიც რემედასმა განვლო საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც ფაშისტური ტერორის თარეშში მრავალგვარ დაბრკოლებას ქმნის რემედასის მუშაობისათვის: ისინი დევნიან და შლიან რემედასის ორგანიზაციებს, აპატიმრებენ, ასახლებენ და ხშირად სიკვდილით სჯიან რემედასის მუშაობის მონაწილეთ. რემედასი არალეგალურად მუშაობს 20 ქვეყანაში (ისპანია, პორტუგალია, ბულგარეთი, ჩინეთი, ბრაზილია, კორეა, ესტონეთი, საბერძნეთი, ინდოეთი, იტალია, ჩილი, კუბა, სპარსეთი, იაპონია, რუმინეთი; თურქეთი, ლატვია და სხვა). იმ ქვეყნებში კი, სადაც რემედასი ლეგალურ პირობებში მუშაობს, მისი აქტიური მუშაკების წინააღმდეგ მიმართავენ სხვადასხვაგვარ რეპრესიებს. მიუხედავად ამისა, ძლიერდება რემედასის გავლენა მასებში და განუწყვეტლივ იზრდება მის წევრთა რიცხვი.

12. რემედასის საკავშირო სექციამ, რომელიც თავის მუშაობას ანვითარებს თავისუფლად საბჭოთა კავშირში, ისეთ პირობებში, როცა მას საბჭოთა კავშირის ყველა პროლეტარული ორგანიზაციები მუდმივ დახმარებას უწევენ, თავისი არსებობის 5 წლის განმავლობაში შეაგროვა 4.000.000 წევრი, აღზარდა მრავალი ათი ათასი აქტივისტი (ორგანიზატორები და აგიტატორები). შეაგროვა 8.178.860 მანეთი საზღვარგარეთ რევოლუციის მებრძოლთა და მათი ოჯახების დასახმარებლად.

13. 18 მარტის დღეს, საუკეთესო გვირგვინი მშრომელთა განთავისუფლების დიადი იდეის განხორციელებისათვის დაღუპულ მებრძოლთა საფლავზე იქნება რემედასის დახმარების გაძლიერება თეთრი ტერორის მსხვერპლთათვის, პროლეტარიატის ახალი ჯალათების მსხვერპლთათვის. თეთრი ტერორის გაძლიერება აუცილებლად მოითხოვს ჩვენგან რემედასის მთელი მუშაობის გაუმჯობესებას და მშრომელთა ახალი კადრების ჩაბმას მათ რიგებში. განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს რემედასის რიგები გლეხობისა და ქალაქის შეუკავშირებელი ფენების ხარჯზე. ყოველი გლეხი, გლეხი ქალი, შინამრეწველი, დიასახლისი და მუშა-ქალი, თუ მათ სურთ შრომის გამარჯვება კაპიტალზე, აქტიურად უნდა დაეხმარონ რევოლუციის მებრძოლებს. 18 მარტის დღეს რემედასის ყოველმა ორგანიზაციამ ამოცანად უნდა დაისახოს რემედასის ფინანსიური ბაზის განმტკიცება, საწევრო გადასახადის სრულიად შეკრება და უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები ნებაყოფლობითი შემოწირულებების შესაგროვებლად.

14. რემედასის მრავალმილიონიანი არმია თავისი მუშაობის მეექვსე წელში მთელი მსოფლიოს მუშათა და გლეხთა ფართო მასებთან ერთად მოიგონებს პარიზის პროლეტართა გმირულ აჯანყებას, მის სახელოვან გამარჯვებებს და მძიმე დამარცხებებს, გადახედავს განვლილ გზას, ანალიზს გაუკეთებს თავისი მუშაობის მიღწევებს და ნაკლს, დასახავს მორიგ ამოცანებს მუშაობის გაფართოებისათვის საერთაშორისო რევოლუციის განსამტკიცებლად და კაპიტალის ტყვეთათვის დახმარების გასაძლიერებლად.

ბრძოლა საბჭოთა კავშირის დასაცავად და დახმარება მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის აქტიურ მებრძოლთ, ბრძოლა ჩინეთის რევოლუციის დასაცავად და დახმარება იმპერიალისტების მსხვერპლთ ჩინეთში, ბრძოლა აღმოსავლეთის ქვეყნების განსათავისუფლებლად იმპერიალისტების უღლისაგან და დახმარება კაპიტალის მსხვერპლთ კოლონიებში, მუშათა პოლიტპატიმართათვის დახმარების გასაძლიერებლად კაპიტალის ყველა ციხეებში,—აი, რემედასის უახლოესი მუშაობის ძირითადი ამოცანები. ის ამოცანები გადაწყდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რემედასის რიგებში ჩავაბამთ მუშათა და გლეხთა ახალ კადრებს, თუ რემედასის ყველა წევრები აქტიურ მუშაობას გააჩაღებენ ამ ისტორიულ ასპარეზზე.

მაქსიმ გორკის წერილი მუშკორებისადმი

მე მიხდება იმის განმეორება, რაც უკვე ვსთქვი მუშკორებისათვის გაგზავნილ მეორე წერილში, რომელიც დაიბეჭდა „რაბოჩაია გაზეტა"-ში:—არ ურჩევ მუშკორებს სწერონ მხოლოდ ის, რაც კარგია.

მაგრამ აი, ჟურნალ „რაბკორ პროლეტარი"-ს პირველ ნომერში ჟურნალის რედაქციამ მოათავსა მუშკორების კიდევ ხუთი პასუხი, რომლებსაც მისცა ასეთი სათაური: „მუშკორები ამბობენ: ჩვენ ნაკლულოვანებებზე წერის მომხრე ვართ" და ასეთი ქვესათაური: „განა შეიძლება დუმილი".

თითქოს მე ან სხვა ვინმე ურჩევდი მუშებს არაფერი არ დასწეროთ ნაკლულოვანებებზეთქო.

ეს ხუთი პასუხი დაწერილია 6 მუშკორის მიერ: ოთხ მათგანს ახასიათებს ისეთი პესიმიზმი, რომ ჩემთვის აშკარაა: სხვადასხვა წვრილმანების მტვერი და ნაგავი უჩინრად ხდის მათთვის მათი კლასის მუშაობის შედეგებს.

ულიანენკო გულისტკივილით ამბობს „ცუდს ვერსად გაექცევი"-ო.

მაგრამ თუ ასეთია, ამხანაგებო, თქვენი აზრი, მაშინ საერთოდ რაღა აზრი აქვს თქვენს მუშაობას?

საიდგან და როგორ წარმოიშვა ეს უიმედო პესიმიზმი?

მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი მიზეზია მუშკორების მეტად ვიწრო შეხედულება თავის თავზე და თავის საქმეზე. თავის თავს ისინი უყურებენ მხოლოდ, როგორც ნაგვის მწმენდელს, ხოლო თავის საქმეს განსაზღვრავენ იმ ფაბრიკის და ქარხნის ფარგლებით, რომელშიაც ისინი მუშაობენ, საიდანაც ჰგვიან მტვერს და ნაგავს. ასეთი შეხედულება ჩემის აზრით არის არა მარტო ვიწრო და შემცდარი, არამედ საზიანოც. საზიანოა იმიტომ, რომ მუშკორი არ არის მხოლოდ ნაგვის მწმენდელი, თუმცა მისი შრომა ცხოვრების გასაწმენდათ ტალახისა და სიბინძურისაგან, ძველი დროის სხვადასხვაგვარ საზიზღარ ნაშთებისაგან წაგავს სწორად ამ მუშაობას.

მიუხედავად ამისა, ეს არის მხოლოდ გარეგნული მსგავსება, არსებითად კი მუშკორი წარმომადგენელია იმ კლასის, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ წარმატებით ცდილობს დაეპატრონოს ქვეყნის მთელს სამეურნეო ცხოვრებას, რათა შექმნას არაკლასობრივი სახელმწიფო, ისეთი ხალხის სახელმწიფო, რომლებიც თავისუფლად მუშაობენ საკუთარ საქმისთვის. ეს დიადი მუშაობა სცილდება მის ქვეყნის საზღვრებს, ის მიზნად ისახავს მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლებას.

ასეთი თვალსაზრისით თვითეულ პოლიტიკურად შეგნებულ და გათვითცნობიერებულ მუშისთვის მისი შრომა, რა რიგ მცირეთ და უმნიშვნელოდ არ უნდა გვეჩვენებოდეს ის, მაინც არსებითად წარმოადგენს ახალი ცხოვრების შენების დიდ შრომას. ასეთმა თვალსაზრისმა უნდა გაადიდოს ერთეულების ენერგია, გააძლიეროს მათი ენერგია და გამბედაობა ადამიანთა ჩვეულებებთან დაკავშირებულ ხიზარმაცის, შრომისადმი უპატივცემლობის, ადამიანებისადმი მედიდური დამოკიდებულების, ლოთობის, გარყვნილობის და ცხოვრების სხვა ყოველგვარ სისაძაგლის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მუშკორისათვის საკუთარ საქმეს წარმოადგენს არა მარტო ფაბრიკა, სადაც ის მუშაობს, არა მარტო ის, რასაც მუშკორი აკეთებს, მისთვის საკუთარ საქმეს შეადგენს—მთელი საბჭოთა კავშირი, ყველაფერი რაც შექმნილია და იქმნება ამ სახელმწიფოში. ჩემი ოპონენტების უმრავლესობის ასეთი პესიმიზმი აიხსნება მით, რომ ისინი თავის ყურადღებას კარგსა და ცუდ მხარეებს აქცევენ მხოლოდ საკუთარი ფაბრიკის ფარგლებში, ავიწყდებათ ის კოლექტიური მუშაობა, რომელსაც მუშათა კლასი აწარმოებს საბჭოთა კავშირში.

ამხ. ეფიმენკოს მოჰყავს ასეთი ფაქტი: „ჩვენში ამხ. ტომსკის სახელობის ქარხანაში მუშკორები სწერდნენ მხოლოდ ნაკლულოვანებებზე. არაფერი კარგი ჩვენთან არ არისო—ამბობდნენ ისინი. წავედით ჩვენ სამქროში, დავათვალიერეთ,—არ გამოდგა მართალი. არის აგრეთვე კარგიც".

საჭიროა ვიცოდეთ აი რა: თვითეული პროფესია თავის ბეჭედს ასვამს ადამიანს, ისე როგორც თვითეული პროფესია იწვევს განსაზღვრულ ავადმყოფობას, მაგალითად ასოთამწყობები, ფეიქრები ადვილად ავადმყოფდებიან ტუბერკულიოზით. ტორფისა და თევზის ხარეწაოში მომუშავენი—რევმატიზმით, მტვირთავები—გულის ავადმყოფობით. ადამიანში შეიძლება განვითარდეს გადამახინჯებული მიდრეკილება მხოლოდ და მხოლოდ „ცუდის" აღნიშვნისაკენ. მე მყავდა მეგობარი პროფესიით ხარატი. ის მშვენივრად აკეთებდა ხის კორძებიდან სხვადასხვა წვრილმან საგნებს. ერთხელ მივდიოდით ფინეთში მურომის მახლობლად, ირგვლივ ატყორცნილია მშვენიერი ფიჭვები. და აი მეგობარი მეუბნება მე:

ლამაზი ხეებია, მაგრამ ჩემთვის მათ არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ.

როგორ? რატომ?

ამ ხეებს კორძები არა აქვს.

კორძები კი ხის ავადმყოფური სიმახინჯეა.

ასენიზატორი დარწმუნებულია, რომ თუ მან არ გაწმინდა სანაგვე ორმოები, ქალაქის მცხოვრებლები დაიხრჩობა ტალახში. ის თავისებურად მართალია და მართალია ხარატიც, მაგრამ ასეთ სიმართლეებზე ყურადღების განსაკუთრებით შეჩერება ძლიერ ხელს უშლის კოლექტიურ შრომის დიდ სიმართლის სისწორით შეფასებას. ადამიანი თავის მუშაობაზე უფრო მაღლა უნდა იდგეს. მაშინ იქნება მისი მუშაობა ნაყოფიერი. მუშაობას უნდა უყურებდეთ, როგორც მუსიკოსთა ორკესტრს: მუსიკოსები უკრავენ სხვადასხვა ინსტრუმენტებზე, გამოდის კი მშვენიერი მუსიკა. აი, ასეთი მუსიკალობისაკენ, ასეთი ერთსულოვნებისაკენ შრომაში უნდა მიისწრაფოდეს მუშათა კლასი.

ამხ. რიაბჩენკო დნეპროპეტროვსკიდან უკრავს დიდი ბანის ინსტრუმენტს. ის უკრავს მშვენივრად. მისი ვრცელი წერილი, რომელიც მე მივიღე, შესანიშნავი წერილია. მე ვფიქრობ, რომ ამხ. რიაბჩენკოს შეუძლია საუკეთესო ფელეტონების წერა, რომ ის ერთ-ერთი იმ მუშკორთაგანია, რომლებიც მომავალში საბჭოთა პრესის ხელოვანები გახდებიან. როგორც ხედავთ, არ შემიძლია არ აღვნიშნო „კარგი", სადაც და რაშიაც არ უნდა გამოიხატოს ის. მაგრამ არა მგონია, რომ ეს ისეთივე ავადმყოფობა იყვეს, როგორც ემართებათ მუშკორებს, რომლებიც გადაჭრით აცხადებენ: „ჩვენ ვწერთ მხოლოდ ცუდზე"-ო. მე ვფიქრობ, რომ ეს ჩემში „ბიოლოგიური" თვისებაა. ის გამომდინარეობს სულიერ სიჯანსაღიდგან და „ცუდისადმი" სიძულვილისგან, დაბოლოს, იქიდან, რომ მე ბევრი მინახავს „ცუდი" და მომაბეზრა მან თავი. და კიდევ იქიდან, რომ ვიცი: ადამიანი კარგია, მაგრამ ცხოვრობს და მუშაობს ცუდათ, იმიტომ, რომ მას არ აძლევდენ კარგათ მუშაობის საშუალებას.

მაშასადამე, მე ვამბობ: მშვენივრად უკრავს ამხ. რიაბჩენკო დიდი ბანის ინსტრუმენტს. მაგრამ თუ ჩვენში ყველანი დაუკრავენ დიდი ბანის ინსტრუმენტს, მაშინ რაღა მუსიკა გამოვა, ამხანაგებო. ბანის ინსტრუმენტები უკრავენ, დოლი ხმაურობს, ხოლო ვიოლინოს და ვიოლონჩელის ხმა არ ისმის. ყურს დაუგდებს ხალხი ამ უხეშ ღრიანცელს და დაეთანხმება ამხ. ულიანენკოს.

დიახ, ცუდს ვერსად გაექცევი.

ბოლოს და ბოლოს, რას მოვითხოვ მე? აი რას: მუშკორები და გლეხკორები როგორც მამაკაცები, ისე ქალები თავის თავს უნდა უყურებდნენ როგორც ხორის, რომელიც გამოხატავს მშრომელი მასის მთელს შიშს და სიხარულს, ყველა შეცდომებს და მიღწევებს, ყველა კულტურულ მოთხოვნილებებს, მისი ერთეულების ყოველგვარ გადახრას ძველი ნაგვისა და სიბინძურისაკენ, რომელიც ჯერ კიდევ ასე ბევრია ადამიანში და მის ირგვლივ. მე ვიცი, რომ მუშკორები და გლეხკორები უკვე კარგათ აკეთებენ ყველაფერ ამას, მაგრამ ვიცი აგრეთვე, რომ ამის გაკეთება შეიძლება გაცილებით უფრო კარგათ, თუ მუშკორები და გლეხკორები გააფართოვებენ თავის ცოდნას, როგორც საერთო ცოდნას, ისე სოციალურ ცოდნას. სოციალურ განვითარებას მე უწოდებ იმის ცოდნას, თუ რას მიაღწია და რას აკეთებს მოწინავე რევოლუციონური ქვეყნის მუშათა კლასი სახელმწიფოს ახალი ფორმების შექმნის გზაზე, აქ ბევრი რამ არის სასიხარულო. შეცდომები ბევრია, ამხანაგო რიაბჩენკო. შეცდომები აუცილებელია. გაკრიტიკება ადვილია, მუშაობა კი ძნელია, ეს თქვენ კარგათ იცით. საჭიროა ვიცოდეთ, რომ ქება უფრო მკურნავს ხალხს, ვინემ ძაგება. ხოლო თუ კაცს მხოლოდ დავტუქსავთ, როგორც ამას წინად „ხაზეინი" სჩადიოდა, ეს მას ეწყინება. ამავე დროს ძაგება ყოველთვის როდი ნიშნავს სწავლებას, ჩვენთვის სწორედ სწავლა და ერთი მეორის სწავლება არის საჭირო. არ კმარა თქმა—ნუ აკეთებ ასე. საჭიროა დაუმატოთ: აი ასე გააკეთეთქო.

ჩვენს დამოკიდებულებაში ადამიანები ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია ჩვეულებები, რომლებიც ჩვენ კლასობრივ საზოგადოებიდან მივიღეთ „ხაზეინს" ეშინოდა, რომ მუშაკი შეიქმნეთ არ გათამამებულიყო და არ მოეთხოვა მეტი გასამრჯელო, რაც რამოდენიმედ შეამცირებდა ხაზეინის მოგებას. სწორედ მოგების დაცვა, მისი გადიდება ყოველივე საშუალებებით წარმოადგენდა ხაზეინის ძირითად ამოცანას. უმთავრეს მისწრაფებას. როგორც თქვენ იცით, აქედან წარმოიშვა ცხოვრების ყოველი სისაძაგლე. ადამიანს ხაზეინი უყურებდა მხოლოდ, როგორც მონას, როგორც მისი ცხოვრების წყაროს, ესეც თქვენ კარგათ იცით.

ბუნებრივია, რომ მაშინ ხელსაყრელი იყო ადამიანის შეფასება, როგორც არამზადასი რომელიც უსასტიკესი კრიტიკის და ძაგების გარდა არაფრის ღირსი არ იყო [illegible] და ყოველგვარ სხვა მორალის თვალსაზრისით მაშინ ობივატელური, კაზიონური „კრიტიკული დამოკიდებულება სინამდვილისადმი" არსებითად ნიშნავდა კრიტიკულ დამოკიდებულებას ადამიანისადმი, რომელსაც ყოველმხრივ აკრძალული ჰქონდა სინამდვილის შეცვლა თავის სასარგებლოდ.

ეხლა კი მშრომელ ადამიანისადმი დამოკიდებულება გადაჭრით უნდა შეიცვალოს. ეხლა მორალი აგებული უნდა იქნეს პატივისცემაზე მისდამი, მის მუშაობისადმი. მუშკორებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ ამ მუშაობის მსვლელობაზე.

ამხ. ტერენტიევი სწერს: „კარგი ჩვენ ყველამ ვიცით". ვეჭვობ, რომ ეს ასე იყოს. და გარდა ამისა საკმარისი არაა ცოდნა. საჭიროა კიდევ გაგება და დახსომება. უნდა იცოდეთ, რომ ათი წლის განმავლობაში თქვენმა ამხანაგებმა საბჭოთა კავშირში ბევრი რამ შექმნეს ისეთი, რაც არ იყო და სხვაგან არ არის. მაგალითად: გლეხებისათვის შექმნილია საუკეთესო გაზეთები და ჟურნალები, პოპულარული სამეცნიერო ლიტერატურა „სასოფლო მეურნეობის და ყოფა-ცხოვრების ყველა საკითხებზე არასოდეს და არსად გლეხობას არ უნახავს ისეთი ზრუნვა მასზე, როგორც ამას ადგილი აქვს ჩვენში.

გლეხკორმა და სამკითხველოს მუშაკმა უნდა იცოდეს, რომ სოლიკამის მაზრაში აღმოჩენილია და ამუშავებენ კალიუმის მარილის (საუკეთესო სასუქი მასალა) უმდიდრეს მადნებს. მათ უნდა იცოდენ ყველაფერი, რაც კეთდება სოფლისათვის.

მუშკორმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მუშათა კლასმა თავის წრეებიდან გამოჰყო ათეული გამომგონებელი, მექანიკოსი, უმაღლესი განათლებით აღჭურვილი ხალხი, მწერლები და პოეტები. საბჭოთა კავშირის მეცნიერებმა, რომლებიც, მათი სიტყვით, მუშაობენ ისე ენერგიულად და ნაყოფიერად, როგორც წინად არ შეეძლოთ მუშაობა. მეცნიერებმა და ხალხს შესძინეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები და გამოგონებანი. მშვენიერად მუშაობენ მხარეთმცოდნეები, აწარმოებენ საბჭოთა ქვეყნის შესწავლას არსად სხვა ქვეყნებში ქალები არ ღებულობენ ისეთ აქტიურ მონაწილეობას საერთო-სახელმწიფოებრივ მუშაობაში, როგორც ჩვენში.

აი, აი კიდევ ერთი ფაქტი: 1905 წელში ჩუვაშების ტომი ცდილობდა გაზეთის შექმნას ეს გაზეთი არსებობდა ერთ წელიწადს ჰყავდა რა ათასი ხელისმომწერი ერთ მილიონ ჩუვაშზე. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩუვაშებმა შექმნეს ხუთი გაზეთი და ერთ-ერთ მათგანს უკვე ათი ათასი ხელისმომწერი ჰყავს, კორესპონდენტების რიცხვი გაიზარდა ათასამდე, არსებობს ჩუვაშთა წიგნის გამომცემლობა, ნაციონალური მუზეუმი, ბიბლიოთეკა, ორკესტრი და ხორო. რევოლუციამდე იყო 30 ჩუვაში უმაღლესი განათლებით, ეხლა მათი რიცხვი ექვსასამდე აღწევს.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია. ასევე იზრდებიან და ვითარდებიან კულტურულად და ეკონომიურად საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ტომები, აშენებენ ქალაქებს, თავს ანებებენ მომთაბარო ცხოვრებას და სხვა საბჭოთა კავშირის მთელს სივრცეზე, ყველა მის მივარდნილ კუთხეებში მუშათა კლასს მუშკორების და გლეხკორების სახით აქვს თავისი თვალები, თავისი ხმა; არასოდეს ჯერ, არც ერთ ქვეყანაში პრესას ასე ფართოდ, უკანასკნელ წვრილმანამდე არ გაუშუქებია ცხოვრება, როგორც ეს ხდება ჩვენში.

ცხოვრების ყველა დარგში ჩვენ „ვშორდებით ცუდს", და ხალხმა, რომელიც უიმედოთ და პესიმისტურად არის განწყობილი, როგორც მაგალითად ულიანენკო, ეს უნდა იცოდეს, რათა ენერგიული კოლექტიური მუშაობის ნაკადიდან მიიღონ სიმხნევე და ძალა, რათა თავი დააღწიონ უიმედო განწყობილებას და არ ილაპარაკონ: ცუდს ვერსად გაექცევიო.

ეს არ არის მართალი. ჩვენ ცუდს ვშორდებით. მხნედ ამხანაგებო! შეეცადეთ, რომ პატარა საქმის კეთების დროსაც დიდ კაცად იგრძნოთ თავი.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: საჭიროა გამოცემა ჟურნალის, „ჩვენი მიღწევები", ჟურნალის, რომელიც მოგვცემს ცხოვრების ახალი ფორმების შექმნისათვის წარმოებულ მუშაობის რაც შეიძლება სრულ სურათს.

საბჭოთა საქართველო

წერილები

მოაშორეთ ჩამორჩენილ კუთხეს

თიანეთი, თბილისის მაზრა

უდავო ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ ის აზრი, რომ დღეს კოოპერაცია, თუმცა ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც მიდის წინ და რომ მისი ზრდა ხდება კერძო ვაჭრობის ხარჯზე. მაგრამ რას ვხედავთ თიანეთში და მის რაიონში, სადაც შედის 4 თემი? აქ არა თუ მცირდება კერძო ვაჭრობა, არამედ პირიქით, იგი ამ უკანასკნელ დროს საგრძნობლად გაიზარდა. ორი სამი წლის წინად მთელს რაიონში ვერ ნახავდით ვერც ერთ სავაჭროს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ფეხზე მოვაჭრეთ. ახლა კი სავაჭროთა რიცხვი იმდენად გაიზარდა რომ ეს მოვლენა საშიში გახდა ჩვენი კოოპერაციისათვის.

ამას აქვს თავისი მიზეზი და ჩვენი რაიონისთვის ასეთ მიზეზათ შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: 1) მოსახლეობა ვერაა საკმარისად გარკვეული კოოპერაციის დანიშნულება-მნიშვნელობაში, 2) სუსტადაა დაყენებული კოოპერაციაში წევრთა მიზიდვის საქმე, 3) დიდი თავისუფლება აქვთ მიცემული კერძო ვაჭრებს და ფეხზე მოვაჭრეთ რაც იმაში გამოიხატება, რომ ბევრი მათგანი უპატენტოთ დათარეშობს და ერთგვარი მოხერხებით აწარმოებს ვაჭრობას. 4) და ბოლოს ამხანაგობათა შექმნით და ერთ პიროვნებაზე პატენტის აღებით გაურბიან კანონიერ სახელმწიფო და ადგილობრივ მნიშვნელობის გადასახადებს.

მესამე და მეოთხე მიზეზებით კერძო ვაჭრებს ყოველთვის შეუძლიანთ კოოპერაციისათვის კონკურენციის გაწევაც კი. ამით აიხსნება ის მოვლენა რომ თელავის ზოგიერთი მსხვილი ვაჭრები, რომელთაც იქ ჰქონდათ ღვინით და ფართლით სავაჭროები გადაბარგდენ სამუდამოთ თიანეთში და დიდი თანხის პატრონებმა ისე მოაჭახრაკეს საქმე, რომ დღეს საზოგადოებას ელინებიან „ნოქრებად"—ასეთი პატენტით არის ზოგიერთი მათგანი შემძვრალი ადგილობრივ სავაჭროებში.

ეს ვაჟბატონები არ ერიდებიან იმის ლაპარაკსაც კი, რომ აშკარად ემუქრებიან კოოპერატივს ამ 1—2 წელში დაკეტვით. ხალხის ნაოფლარით გასუქებულნი ოცნებობენ რაიონის ეკონომიურად ხელში ჩაგდებას. ისინი მედიდურად გაიძახიან: „მეორე ხითაროვები უნდა გავხდეთ რაიონში"-ო (აქ მხედველობაში ჰყავთ თბილისის ცნობილი მსხვილი ვაჭარი-მილიონერი, რომელიც გამდიდრდა თიანეთის რაიონში).

ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიაქცია ამას ყურადღება და ვფიქრობთ დაწყებულ საქმეს დაასრულებს ჯეროვნად.

ალ. დოლიაშვილი.

მიღწევებთან ერთად გვაქვს ნაკლიც

აცანის თემი, გურია

აცანის თემი თუმცა პატარაა, მაგრამ იგი მაზრაში კულტურის კერად ითვლება. ხსენებულ თემს არ აკლია არც ერთი საბჭოთა და კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულებანი, როგორიც არის: 7 წლიანი შრომის სკოლა, აფთიაქი, საექიმო პუნქტი, ფოსტა, კოოპერატივი, სამკითხველო სახალხო სახლი, საკრედიტო ამხანაგობა, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა, აგრო-ტეხნიკური პუნქტი, ჩაის ფაბრიკა და სხვა.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი დაწესებულებანი აგებულია ადგილობრივ ხელისუფლების ხელმძღვანელობით და გლეხობის თავდადებული შრომით.

ამრიგად საკმაოდ დიდი მიღწევები გვაქვს. მაგრამ ამასთან ერთად არის ნაკლიც, რაც მდგომარეობს სასოფლო გზების უვარგისობაში, სასწავლებელში სწავლის საქმის არანორმალურად მიმდინარეობა და აფთიაქის ნაკლოვანებანი. ჩვენი შვიდწლედის გამგე არ. ჩხაიძე არ შეეფერება თავის თანამდებობას. მას უყვარს კარტ-ნარდის თამაში, ღვინის სმა, ყურადღებას არ აქცევს სასწავლებელს და მასწავლებლების საქმიანობას. იყო შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი მასწავლებელი 4-ის მოწერის დაჯილდოებით პატარა ქალ-მოწაფეებთან სასწავლო ოთახში გაკვეთილების ახსნის ნაცვლად. ხვევნა-კოცნაში ატარებდა დროს. ხსენებულ გამგეს სიმთვრალის დროს უყვარს უწმაწური სიტყვების წამოსროლაც.

აფთიაქის საქმეც ვერ არის თავის დონეზე დაყენებული. აფთიაქს განაგებს ვინმე მიშა კოლუაშვილი, ის ნამდვილი ბიუროკრატია. აფთიაქში იშვიათად თუ ნახავთ და რომც ნახოთ, თუ კარგ ხასიათზე არ დარჩა სულერთია წამალს მაინც ვერ იღირსებით მისგან. ამის გამო გლეხების უმრავლესობას უხდება წასვლა წამლისათვის ნაგომარში ან ლანჩხუთში.

სახალხო სახლიც უნუგეშო მდგომარეობაშია და თუ დროზე არ მიექცა ყურადღება დანგრევა მოელის.

სათემო აღმასკომმა ზემოხსენებულ ნაკლთა გამოსწორებას უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

წყაროსუბნელი.

ვაშენებთ გლეხ. ახ. სკოლას

ღანირ-შაბანი, ქუთ. მაზრა

ჩვენი თემი ერთ-ერთი დაწინაურებული თემია როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურათ. სწარმოებს გაცხოველებული აღმშენებლობითი მუშაობა. ამ უკანასკნელ წლებში, მრავალი კულტურული დაწესებულებები შევქმენით. თემში გვაქვს: შვიდწლედი, ოთხწლედი, ფოსტა, კოოპერატივი, საექ. პუნქტი, აგურხანა, ეხლახან დავამთავრეთ ამხ. შ. ელიავას სახელობის სახ. სახლი და სხვა.

ამ უკანასკნელათ ვაშენებთ „ოქტომბრის რევოლ. 10 წ. თავი"-ს სახელობის გლეხ. ახ. სკოლას, რისთვისაც უკვე შემოკავებულია საეზოვე ადგილი. წელს აჭარისტანიდან ჩამოსულ მეცხვარეებზე ცხვრის ჯოგისათვის საბალახოთ გადახდილი ფულიდან ნაყიდია მთელი სკოლის სახურავი კრამიტი, აგრეთვე სკოლა უზრუნველყოფილია აგურის მასალით.

გლეხობა მეტად აღტაცებულია სოფლისათვის ასეთი მნიშვნელოვანი საქმის კეთებით, მას შემდეგ, რაც გაიგეს გლეხ. ახ. სკოლის როლი ახალი სოფლის შენებაში.

ვლასი გალდავა.

დროზე შეუდგით საქმეს

მუხური, ზუგდ. მაზრა

ეს თემი დაშორებულია სამაზრო ცენტრიდან 40 ვერსის მანძილზე. თემს შუაზე ჰყოფს მდ. ხობისწყალი, რომელზედაც ხიდის აგება მოთავდა გასულ წელს, თემში არსებობს კოხ. სამკითხველო, საფერშლო პუნქტი, სამომხმარებლო კოოპერატივის განყოფილება, შვიდწლიანი შრომის სკოლა და სხვა. მხოლოდ არა გვაქვს ჯერო-ჯეროვნით სახალხო დარბაზი—კლუბი.

მუხურის თემი მდებარეობს ისეთ ადგილას, სადაც ტაიხარე ხობისწყალი გამოდის და ითვლება საგარაკო კუთხეთ. ზაფხულობით აქ საკმაოდ მოდიან მოაგარაკენი. იმართება წარმოდგენები, ეწყობა სალიტერატურო გასამართლებანი და იკითხება მოხსენებები. მაგრამ ამას აქვს უფრო შემთხვევითი ხასიათი. ვინაიდან თემში არ მოიპოვება ისეთი შენობა, სადაც ყველაფერი ეს შესაფერისად იქნეს ჩატარებული.

ამისათვის საჭიროა საკლუბო შენობის აგების ინიციატივა იკისროს თემ-აღმასკომმა. ამ საქმეს დროზე უნდა შეუდგეთ.

ბ. ხაბალერი.

წერილებიდან

მისაბაძი მაგალითი

ხაშური

ხაშურის ქალაქის და თემაღმასკომების თანამშრომლებმა ერთხმად დაადგინეს ყველამ შეიძინოს სახალხო მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები 240 მანეთის ღირებულების. მიღებულ დადგენილებაში ისინი იწვევენ მიბაძონ მათ მაგალითს ბორჯომის, სურამის და გომის აღმასკომების თანამშრომლებმაც.

მახლობელი.

დროზე შეაკეთეთ

ყაზბეგი, დუშეთის მაზრა

ყაზბეგის სამკითხველოში 7-8 თვეა, რაც შესაკეთებლად ძევს როიალი. შეუკეთებლად კი მისი გამოყენება შეუძლებელია, როიალის გამოყენება შეიძლებოდა როგორც ადგილობრივ თეატრში, ისე კოხ-სამკითხველოშიაც. ნუ თუ თემაღმასკომს არ მოეპოვება საამისო თანხა? ნუ ვაფუჭებთ ტყვილად სახალხო ქონებას.

ელგუჯა.

რატომ არ იღებენ ზომებს?

ს. კასპი, გორის მაზრა

სოფელ კასპში ძმებ სანდრო და ზაქარია გზირიშვილებს აქვთ ფარული სამიკიტნო, სადაც შეყავთ გლეხები, ათრობენ და შემდეგ აუტეხენ ჩხუბს. ადგილობრივი ორგანოები ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მათ კარგად იციან. ნეტავ ვინ მიიღებს ზომებს მიკიტნების წინააღმდეგ?

მსროლელი.

დიდი ზარალი

საგარეჯო, გარე-კახეთი

28 თებერვალს, საგარეჯოს მინდვრიდან მომავალ მწყემსს ტიგრან აროუთინოვს, რომელიც მიერეკებოდა 800 სულ ცხვარს, გზაში მოუსწრო თოვლიანმა ნამქერმა და მთელი ცხვრის ფარა თოვლქვეშ მოიყოლა. ცხვარის გადარჩენა შეუძლებელი გახდა და ამოდენა სიმდიდრე მთლად დაიღუპა.

გ. თამაზაშვილი.

მუშათა ცხოვრება

რატომ გვიანდება დადგენილების სისრულეში მოყვანა

(პროფკავშირთა საბჭოს და დამზღვევ სალაროს საყურადღებოდ)

ძიროულის დამზღვევი პუნქტის (შორაპნის მაზრა) სამოქმედო რაიონი იწყება აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებიდან. მუშა-მოსამსახურეებს ძიროულაში ჩასვლა უხდებათ შემდეგი სადგურებიდან: ხარაგოულის, მარელისი, მოლითი და წიფა. ცხადია, რომ დამზღვევი პუნქტი ამ რაიონის ცენტრში უნდა ყოფილიყო მოთავსებული და არა პერიფერიაში, როგორიცაა ძიროულა.

დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეების ორი მესამედისათვის ძიროულაში სიარული მეტად მოუხერხებელია და ისინი მოითხოვენ ამ პუნქტის შესაფერ ადგილზე გადატანას, ან დამატებით ახალი პუნქტის გახსნას, თუ ფინანსიურად ეს შესაძლებელია. ამის შესახებ კითხვა იდგა შორაპნის მაზრის პროფკავშირთა და დამზღვევი სალაროს წარმომადგენელთა კრებაზე და, რამდენადაც ვიცით, სამაზრო პროფბიუროს დადგენილებით დამზღვევი პუნქტი უნდა გახსნილიყო დაბა ხარაგოულში, რომელიც უფრო მისაწვდომია მარელისის გროხის ავეჯეულობის 400 მუშა-მოსამსახურესათვის და აგრეთვე ძიროულის მუშა-მოსამსახურეთათვისაც.

დადგენილება კარგა ხანია გამოტანილია და გაღვებრია. რატომ გვიანდება მისი სისრულეში მოყვანა. ან ახალი დამზღვევი პუნქტი უნდა გაიხსნას ან და ძიროულის პუნქტი უნდა გადმოტანილი იქნას ხარაგოულში, სადაც არსებობს საავადმყოფო შესაფერი შტატით და მოწყობილობით. მუშა-მოსამსახურეების დიდი უმრავლესობისთვისაც ხარაგოულში უფრო ადვილია დაზღვევით სარგებლობა, ვიდრე ძიროულაში.

ველითელი.

სად უნდა აშენდეს მუშათა კლუბი

(ქუთაისი)

ქუთაისის რკინის გზის მუშათა კლუბი ძალიან ცუდ ადგილზე მდებარეობს. ამ გარემოების რკინის გზის სამმართველომ მიაქცია ყურადღება და დაადგინა კლუბის შენობა გაშენდეს სხვა, უკეთეს ადგილას. მაგრამ სად უნდა აშენდეს ამის შესახებ დადგენილებაში ბუნდოვნადაა ნათქვამი.

ამიტომ საჭიროა ამ თავიდანვე მივიღოთ ზომები, რათა კლუბი აშენებულ იქნას მუშათა უბანში. ასეთ უბნად კი ქუთაისში ითვლება ახალი თბილისის ქუჩა—საღორიის უბანი, რომელიც სადგურის ზედა გვერდით მდებარეობს. აქ არის ჩარეცხილი ყოფილი საკირე, რომლის დანგრევაც აღმასკომს უკვე გადაწყვეტილი აქვს. ჩვენის აზრით ეს ადგილი ერთი საუკეთესო ადგილთაგანია მუშათა კლუბისათვის. მით უმეტეს, რომ თითქმის ყველა რკინისგზელები ამ უბანში სცხოვრობენ.

სათანადო ორგანოებმა ანგარიში უნდა გაუწიონ მუშა-მოსამსახურეთა ბინადრობას და კლუბის შენობა აიგონ ისეთ ადგილას, სადაც უფრო მოსახერხებელი იქნება მუშებისათვის.

ქალ-ვარდი.

დადგენილება არ ხორციელდება

ამ ორი თვის წინად, სადგ. თბილისის კონდუქტორების საერთო კრებამ განიხილა საკითხი სადგ. ნავთლუღში მყოფ ოთხი მთავარი კონდუქტორის შესახებ. ნავთლუღში დანიშნული ოთხი კონდუქტორი, რომლების მოვალეობას შეადგენს გასინჯონ მატარებელი და გამოარკვიონ, თუ რამდენად სწორად არის გადაბმული რონოდები.

კრებაზე გამოირკვა, რომ ასეთი თანამდებობა სადგ. ნავთლუღში ზედმეტი ბარგია. ამიტომ კრებამ მოითხოვა მათი მოხსნა, ან კონდუქტორების რიგის მიხედვით დანიშვნა. მას შემდეგ ორმა თვემ განვლო, მაგრამ კრების დადგენილება ჯერაც არ არის სისრულეში მოყვანილი.

მოძრაობის დარგის ადგილკომო, მოაგვარე ეს საქმე.

ვენერა.

რწმუნებულების არჩევა

(პირველი სტამბა)

პირველ სტამბის კოოპერატივის წევრ მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებაზე მუშკოოპის გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხვედელიძემ მომხსენებელი ვრცლად შეეხო კოოპერატივის ორგანიზაციას და აღნიშნა გამგეობის მუშაობის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მომხსენებლის სიტყვით საანგარიშო ხნის განმავლობაში მუშკოოპს მრავალი მიღწევები აქვს: წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. მაღაზიებიც შედარებით წინადელთან უზრუნველყოფილია საქონლით.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში ამხანაგები მიუთითებდნენ მუშკოოპის გამგეობას ზოგიერთ ნაკლზე და მოითხოვდნენ მის გამოსწორებას. კრებამ მუშკოოპის გამგეობის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და მომავალში მუშაობის გასაცხოველებლად გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებებისა: კრებამ მოითხოვა, რათა მუშკოოპის წევრებს მიეცეთ მეტი უფლება საქონლის და პროდუქტის მიწოდების მხრივ, გაუქმებული იქნეს მოკლე ვადიანი სესხის ჩეკებზე საფასურის გადახდევინება და სხვა. დასასრულ კრებამ რწმუნებულებათ აირჩია: ამხ. ვ. ბოლქვაძე, ი. ხოსროშვილი და დ. დოლიძე. შემდეგ ამხ. ვ. დოლიძემ გამოაცხადა იმ მუშა-მოსამსახურეთა სია, რომლებმაც ბოროტად მოიხმარეს გრძელვადიანი სესხი და გაყიდეს ორდერები უცხო პირებზე. კრებამ ასეთ მუშებს გამოუცხადა საყვედური და დაადგინა ჩამოერთვათ მათ საწევრო წიგნაკები.

დამსწრე.

მუშკორთა წერილებიდან

ორი პატრონის სახლი. გლდანის ქ. სახ. № 2-ს ჰყავს ორი პატრონი: ვინმე მელიქ-ნუბაროვი და თბილისის აღმასკომი. ნამდვილად არც ერთი და არც მეორე ყურადღებას არ აქცევს სახლში არც კანალიზაციაა გაყვანილი და არც წყალი. გარდა ამისა, სახლს ესაჭიროება ძირითადი შეკეთება, წინააღმდეგ შემთხვევაში დანგრევა მოელის. ასეთ მდგომარეობაშია ორი პატრონის ხელში მყოფი სახლი.

მუშა.

რად მოხსნეს. რიონჰესის სააღმშენებლო უბნის სამექანიკო ნაწილის აღმრიცხველი მოქ. გრ. ჭირაქაძე სრულიად უმიზეზოდ მოხსნეს სამსახურიდან და მის ადგილზე მიიღეს სხვა თანამშრომელი. გრ. ჭირაქაძე პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ ადმინისტრაციამ ამას ანგარიში არ გაუწია. შრომის ინსპექტორო გამოარკვიე ეს საქმე.

მოწმე.

მძიმეს ვერ ავწევთ. რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს სამჭედლო საამქროს გამგე, ხშირად ძალიან მძიმე ტვირთს აწევინებს მუშებს. ამას წინად ოთხ მუშას აჰკიდა 25 ფუთი რკინა, რის გამოც ზოგი მათგანი გზაში წაიქცა კიდეც. შრომის დაცვის კომისია რას აკეთებს ნეტავ?

იკაური.

გაასუფთავეთ ქუჩა. კარგა ხანია, რაც შრომის ქუჩაზე გაიყვანეს კანალიზაცია, მაგრამ ამონათხარი მიწა დღესაც ხელუხლებელი ყრია კანალიზაციის პირზე. აღმასკომო, როდის გაასუფთავებ ამ ქუჩას?

ბ. გ—ძე.

გლეხებს ტყავს აძრობენ. მალაკნის მოედანზე არსებული სამიკიტნოები და ალაფები ტყავს აძრობენ სოფლიდან ჩამოსულ გლეხებს. ალაფი ქირდოვიანი, ხშირად წონაშიაც კი ატყუებს ხოლმე გლეხებს.

გლეხთა სახლის გამგევ, ყურადღება უნდა მიაქციო ამ რაიონს.

არაგვისპირელი.

შრომის კანონი ირღვევა. მალაკნის ქუჩაზე არსებული ფეხსაცმელების სახელოსნოებში, უსაზღვროდ ირღვევა შრომის კანონი. სახელოსნოების პატრონები მიხურავენ ხოლმე დარაბებს და შიგნით, ღამის 12—1 საათამდე მუშაობენ და ამუშავებენ თავიანთ შეგირდებსაც. შრომის ინსპექტორო, დაიცავი შეგირდების ინტერესები.

მაზვილი.

თათბირი წყალთა მეურნეობის საკითხებზე

პირველი სხდომა

გუშინ ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან გაიხსნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი ამიერ-კავკასიაში წყალთა მეურნეობის საკითხების მოსაწესრიგებლათ.

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

თათბირს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შ. ელიავამ.

— ამიერ-კავკასია—განაცხადა ამხ. ელიავამ,—დღემდე ითვლება აგრარულ ქვეყნად. ჩვენი მიზანია ამიერ-კავკასია აგრარული ქვეყნიდან გარდავქმნათ ინდუსტრიალურ ქვეყნად. თუ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს ამ მხრივ აქვთ ერთგვარი გამოცდილება და მემკვიდრეობა,—ამიერ-კავკასიის ქვეყნები ამ მხრივ ძალიან ჩამორჩენილი არიან, ვინაიდან როგორც ცნობილია, ძველი რეჟიმის დროს ჩვენში რაიმე მრეწველობის დამყნობას არ ექცეოდა ყურადღება. ჩვენში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა წყალთა მეურნეობის საკითხების მოწესრიგებას. ამიერ-კავკასიაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ფაქტორებთან, რომლებიც კავშირის სხვა რესპუბლიკებში არ არიან. ჩვენს რესპუბლიკებში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების სხვადასხვაობას, მოგვეპოვება დიდძალი სამთომადნო სიმდიდრე, გვაქვს წყლის, ანუ ე. წ. თეთრი ნახშირის აურაცხელი ენერგია და სხვა.

წყლის ენერგიის სათანადოთ გამოყენების საკითხს ამიერ-კავკასიაში ნაკლები ყურადღება ექცევა; მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ყველა ყრილობაზე ხშირად ვიმეორებთ, რომ საჭიროა წყალთა მეურნეობის საკითხებს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, მაინც ეს საქმე დღემდე მოკოჭლებს და წყალთა მეურნეობის დარგში ჩვენ ვერ გავშორებივართ მორწყვისა და დაშრობის პრობლემებს. ამავე დროს კი, ჩვენს პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს წყალთა ენერგეტიკას.

თქვენი თათბირის უპირველეს მიზანს,—განაგრძობს ამხ. ელიავა,—უნდა შეადგენდეს ამ საკითხის შესატყვისად მოგვარება. ამავე დროს არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ დაწყებული, თუ დასაწყები სამუშაოები უნდა იქნას ჩატარებული აბსოლიუტური სიზუსტით. ჩვენს პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე სახელმწიფო საშუალებათა ეკონომიას. ამ მხრივ ჩვენ სრული ნდობით ვეპყრობით სპეციალისტებს, რომელთა ხელშიაც არის ეს საქმე და ვფიქრობთ, რომ თქვენ შორის არ აღმოჩნდება არც ერთი ისეთი, რომელიც მიზნათ დაისახავს სახალხო ქონების მიზანშეუწონლათ ხარჯვას და საქმეს წარმართავს წინასწარვე განწირული გზით. მართალია, ასეთი შემთხვევა უკვე იყო, ამის შესახებ თქვენ ყველამ კარგათ იცით. კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულების აღმოჩენამ ჩრდილოეთ კავკასიაში ერთგვარი დადებითი პრაქტიკული შედეგი მოიტანა. თვითეული სპეციალისტი, თუ იგი თავის თავს თვლის საბჭოთა კავშირის მოქალაქეთ, დაგმობს მათ საქციელს და გულწრფელად შეეცდება ხელი შეუწყოს ახალ აღმშენებლობას.

შემდეგ, მომხსენებელი ეხება წყალთა მეურნეობაში დაწყებულ სამუშაოთა მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ჩვენში მკვიდრი საფუძველი ეყრება შრომისა და მეცნიერების დაახლოებას.

— მე ვფიქრობ, — აღნიშნავს იგი დასასრულ,—რომ ბევრი ამ თათბირის მონაწილე ამაყობს იმით, რომ აკეთებს პროლეტარულ სახელმწიფოს აღმშენებლობაში დიდ ისტორიულ საქმეს, რომელსაც საფუძველი დაუდო 1917 წლის ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ.

ამხ. ელიავას სიტყვა დაფარა მქუხარე ტაშმა.

შემდეგ სიტყვით გამოდის ინჟ. მიხაილოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ ყველა დარგის სპეციალისტებმა უკვე დაგმეს კონტრ-რევოლიუციონერთა ჯგუფის საქციელი. მას წინადადება შეაქვს, რომ თათბირმა ცალკე იქონიოს მათზე მსჯელობა და გამოიტანოს საპროტესტო რეზოლიუცია.

ამხ. ბაგიროვის სიტყვა

ამ.-კავკ. წყალთა მეურნ. სამმართველოს უფროსი ამხ. ბაგიროვი გამოდის ვრცელი მოხსენებით ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის მდგომარეობისა და თათბირის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის წყალთა საერთო ენერგია, სპეციალისტების გამოანგარიშებით, უდრის 10 მილიონამდე ცხენის ძალას, რაც უნდა ჩაითვალოს უდიდეს ფაქტორათ ა.-კ. რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში. მიუხედავათ უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეებისა და მრავალნაირ ეკონომიურ საშუალებებისა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, მომხსენებლის გადმოცემით, ჯერ კიდევ ნაკლებათაა შესწავლილი და არავინ იცის, თუ რა სჭარბობს ა.-კ. ეკონომიკაში: სასოფლო-მეურნეობა, მრეწველობა, თუ სხვა დარგები. მიუხედავათ ამისა, ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ ამიერ-კავკასია დღემდე წარმოადგენს უაღრესად ჩამორჩენილ გლეხური მეურნეობის ქვეყანას.

ყველა ობიექტიურ პირობებთან გაცნობის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ა.-კ. წყალთა მეურნეობის მოწესრიგებას. წყალთა მეურნეობის საკითხების მოგვარებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება: სათესი სივრცის გადიდებისა, გადასახლების საქმის განვითარებისა, სასოფლო-მეურნეობის აღორძინებისა, წყალდიდობასთან ბრძოლისა და სოციალურ სნეულებათა გავრცელების შემცირებისათვის (უმთავრესად მალარია).

შემდეგ მომხსენებელი გადადის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე ჩატარებულ საქმიანობის დახასიათებაზე და აღნიშნავს, რომ გასული 7 წლის განმავლობაში ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამუშაოებზე დახარჯულა 20.500.000 მანეთი სახელმწიფო საშუალებებიდან და 4.500.000 მანეთი მოსახლეობის თანხებიდან. გასული წლების საქმიანობაში ორატორი აღნიშნავს მთელ რიგ დეფექტებს, როგორიცაა სამუშაოთა გეგმების დაუმუშავებლობა, საკალენდრო გეგმების უქონლობა, ანგარიშიანობის საქმის მოუწესრიგებლობა და სხვა.

დასასრულ, ამხ. ბაგიროვი დაწვრილებით განმარტავს თათბირის მიზნებს და აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილებიდან მოსმენილ მოხსენებებს, რომ შემდეგ უფრო დაწვრილებით იქნეს დამუშავებული ის ღონისძიებანი, რომელთა გატარება ცხოვრებაში ხელს შეუწყობს წყალთა მეურნეობის საქმესთან დაკავშირებულ საკითხების მოგვარებას.

თათბირის 1-ლ სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ინჟ. იაკუბოვიჩის მოხსენება წყალთა მეურნეობის სამმართველოს ჩამოყალიბების შესახებ ამიერ-კავკასიაში.

მეორე სხდომა

თათბირის მეორე სხდომაზე მოსმენილი იქნა ყარაბაღის, ქურთისტანის, ყარაიას და ეჩმიაძინის წყალთა ოლქების წარმომადგენელთა მოხსენებები ჩატარებულ მუშაობის შესახებ. მოხსენებებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ ოლქებში სჭარბობს მორწყვის პრიმიტიული სისტემა, რომელსაც არ მოაქვს შესაფერისი ეფექტი, ხოლო აღნიშნული სისტემების დაცვა კი მოითხოვს დიდ ხარჯებს.

მომხსენებლებმა ფართოდ დაახასიათეს აგრეთვე სამელიორაციო ამხანაგობების მუშაობა. უკანასკნელ წლებში გლეხობა დიდის ნდობით ეპყრობა სამელიორაციო ამხანაგობებს. მათი რიცხვი თანდათან იზრდება.

შემდეგ თათბირმა მოისმინა სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენლის ინჟ. მანუჩარიანის მოხსენება წყალთა მეურნეობის საქმის მდგომარეობის შესახებ და აზერბეიჯანის წყალთა სამმართველოს საექსპლოატაციო განყოფილების უფროსის ინჟ. გავრილოვის მოხსენება ამავე საკითხზე.

საქართველოში წყალთა მეურნეობის საქმის მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ინჟ. კირინთელმა.

ანტისააღდგომო პროპაგანდის ჩატარების შესახებ

გუშინ, საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან არსებულ ანტირელიგიურ კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ორაგველიძის ინფორმაციული მოხსენება ანტისააღდგომო პროპაგანდის ჩატარების შესახებ.

ანტისააღდგომო პროპაგანდის ძირითადი ამოცანებია რელიგიურ ცრუმორწმუნეობის გამოაშკარავება, ბრძოლა სარწმუნოების გავლენასთან და ეკლესიის რეაქციონური მუშაობისათვის ფარდის ახდა.

ანტისააღდგომო პროპაგანდა უნდა ჩატარდეს წითელი კუთხეების, გლეხთა სახლების, სკოლების, ქოხსამკითხველოების და გაზეთების საშუალებით. პროპაგანდის ჩასატარებელ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნენ პარტიულები, კომკავშირელები და სოფლის კულტურული ძალები. თბილისში ამ მუშაობის ჩასატარებლად განზრახულია სამეცნიერო ძალთა გამოყენება. ანტირელიგიურ პროპაგანდის წარმატებით ჩატარებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს: რადიო, კითხვა-პასუხების საღამოები, მხატვრული დადგმები, ცოცხალი გაზეთი და პრესა.

გადაწყვეტილია აგრეთვე ანტისააღდგომო პროპაგანდის ჩატარებაში კინოს ფართედ გამოყენება და დიაპოზიტივებით დასურათებულ ლექციების გამართვა.

პროპაგანდის ჩატარება ფართედ იქნება გაშუქებული პრესაში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა ანტირელიგიურ საკითხის გარშემო მომხსენებელთა კადრის მომზადება, ეროვნულ უმცირესობათა შორის ანტი-სააღდგომო პროპაგანდის ორგანიზაციისათვის ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავე კომუნისტების სათანადო თათბირის მოწვევა და აგრეთვე პროპაგანდისათვის საჭირო ლიტერატურის გამოცემა.

წითელი ჯარის მეთაურთა საბინაო პირობების გაუმჯობესება

3.000.000 მანეთი მეთაურთათვის ბინების ასაშენებლად

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო ცაკის დადგენილების თანახმად წითელი არმიის ათი წლის თავზე მეთაურთათვის ბინების ასაშენებლად გადადებული იქნა 3.000.000 მანეთი.

სამხედრო-სააღმშენებლო სამმართველოს განზრახული აქვს ეს თანხა მოიხმაროს შემდეგნაირად: ნაწილი ამ თანხისა დაიხარჯება მეთაურთა შემადგენლობისათვის ბინების ასაგებათ ყაზარმებთან და სამხედრო უბნებში. ნაწილი თანხისა კი მოიხმარდება მეთაურთათვის საერთო საცხოვრებელ ბინების მშენებლობას.

კერძო მოქალაქეების გამოსახლება სამხედრო სახლებიდან და უბნებიდან

იმ მიზნით, რათა გაუმჯობესებულ იქნეს მეთაურთა შემადგენლობის საბინაო პირობები, საბჭოთა კავშირის ცაკმა და სახკომსაბჭომ დაადგინეს ნება დართონ სამხედრო უწყებას გამოასახლოს სამხედრო სახლებიდან და სამხედრო უბნებიდან ყველა ის პირები, რომლებიც არ მსახურობენ წითელი ჯარის რიგებში, გარდა რიგის შემადგენლობის სამხედრო მსახურისა, რომლებიც გადიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს წითელ ჯარში და საკადრო მეთაურებისა.

წინადადება მიეცა საკავშირო რესპუბლიკების ცაკებს ერთი თვის განმავლობაში გამოსცენ სათანადო დადგენილება. ამ დადგენილებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამხედრო სახლებიდან გამოსახლებულ მუშა-მოსამსახურეების დაკმაყოფილება სათანადო ბინებით.

ზემო-სვანეთი

ამ უკანასკნელ წლებში სვანეთი კვლევა-ძიების საგნად გადაიქცა. 1925 წლის ზაფხულში აქ მუშაობდნენ: ექიმთა ექსპედიცია პროფ. ასათიანის მეთაურობით სხვადასხვა სნეულებათა და უმთავრესად კი ჩიყვის გაჩენის მიზეზების გამოსარკვევად; „მეჟრაბპომ რუსის" კინო ექსპედიცია, რომელმაც გადაიღო სვანეთის ცხოვრებიდან კინო-სურათი „დინა ძაძუ", რომელშიაც მშვენივრად დასურათა სვანეთი ეთნოგრაფიული მხრივ; იმავე წელში სვანეთის მთები შემოიარა—გიორგი ნიკოლაძის ექსპედიციამ.

1926 წ. სვანეთში მთავრობის მიერ იქნა გამოგზავნილი მესანგრეთა ბათალიონი სვანეთისათვის დიდ მნიშვნელოვან გზის გასაკეთებლად.

წარსულ წელს ზაფხულშივე სვანეთში მუშაობდა უმაღ. სამ. საბჭოს მიერ სვანეთის მინერალურ სიმდიდრეების გამოსაკვლევად მივლინებული გეოლოგიური კომისია. იმავე ზაფხულში აქ მუშაობდა „ელექტრო-სელსტროის" მიერ გამოგზავნილი ინჟინერები ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებ ადგილის გამოსაკვლევად, საჭირო ხარჯთაღრიცხვისა და გეგმის შესადგენად, რომელმაც თავისი მუშაობა დაამთავრა და სვანეთში მდ. ფუშყვერზე ელსადგურის აგება შეტანილია ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმაში.

მრავალი ექსკურსანტები სვანეთს ეწვია ამ უკანასკნელ წლებში რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან.

ეს ზღაპრული სილამაზის სანახაობანი, თავისი იშვიათი ბუნებრივი თვისებებით ადამიანის მომაჯადოებელი კუთხე, ყველას ყურადღებას იპყრობს სამართლიანად აღნიშნავდნენ ევროპიელები, რომ „ვინც სვანეთში არ ყოფილა, მას არ შეუძლია სთქვას კავკასიაში ვიყავიო, ჭეშმარიტად ეს კუთხე წარმოადგენს კავკასიის შვეიცარიას" და სხვა.

ამნაირ შეხედულებას გამოთქვამს სვანეთზე ამხ. ფილიპე მახარაძეც, რომელმაც შემოიარა ეს კუთხე, გაეცნო სვანეთის ხალხს, მის ყოფა-ცხოვრებას, პირ-ვარამს, ადგილ აქაურ მდგომარეობას და აღწერა ეს მხარე მის მიერ გამოცემულ წიგნში „სვანეთი".

ამხ. ფილიპე აღტაცებაში მოიყვანა არა მარტო სვანეთის ბუნებამ, არამედ თვით სვანეთის ხალხის ბუნებრივმა ნიჭმაც.

ის, ეს მშვენიერი, უხსოვარ დროიდან დღემდე ისტორიულ და გეოგრაფიულ პირობებით ყველასაგან ქვეყნიერებას მოწყვეტილი, კულტურულ და ეკონომიურ წინსვლას მოკლებული მისი მკვიდრი განაგრძობენ ცხოვრებას პირველყოფილ და ეკონომიურად მძიმე პირობებში არსებობას, ძველი ტრადიციების და შურისძიების ინსტიქტების თაყვანისმცემლობას.

მიწის სივიწროვისა და მოუსავლიანობის გამო ხალხი ნახევრად მშიერი, ჩაუცმელი, მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებისა და აღებ-მიცემობისათვის საშუალებას მოკლებული, ანტი-სანიტარული და ანტი-ჰიგიენური პირობებით წელმოწყვეტილი, ბუნებრივი სიმკაცრესთან მუდმივი ბრძოლით დაქანცული, განაგრძობს ასეთ სიცოცხლეს დახმარებისა და ასეთი მდგომარეობიდან გამოყვანის მოლოდინში.

ეს გარემოება დიდ მზრუნველობას აკისრებს ხელისუფლებას, რომელსაც წილად ხვდა სვანეთის მშრომელი ხალხის მოვლა და პატრონობა.

მართალია, გასაბჭოების შემდეგ დიდი ნაბიჯია გადადგმული სვანეთის მშრომელი ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბევრი ახალი და ღირსშესანიშნავია გაკეთებული. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ის, რაც დღემდეა გაკეთებული, წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც არის გასაკეთებელი.

შემდეგში მე ვეცდები გავაშუქო, თუ რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება სვანეთის ზემოდ აღწერილ მდგომარეობიდან გამოყვანის საკითხში და სვანეთის მშრომელ ხალხის სახელით გამოვსთქვამ იმედს, რომ საბჭოთა ხელისუფლება შექმნის სვანეთის ისტორიაში ახალ ხანას მის კულტურულად და ეკონომიურად აღორძინებისათვის.

მ. გაბლიანი.

შთაბეჭდილებები ევროპიდან

(საუბარი ამხ. არჩილ მიქაძესთან)

საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენა უცხოეთში

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად და საბჭოთა რესპუბლიკების მიღწევების ფართო მასებისათვის გასაცნობათ უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებამ ევროპის და ამერიკის დიდ ქალაქებში მოაწყო საბჭოთა მიღწევების გამოფენა.

გერმანიაში (ბერლინში) გამოფენის მოსაწყობათ საქართველოდან გაგზავნილი იყო ამხ. არჩილ მიქაძე, რომელიც უკვე დაბრუნდა თბილისში.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ა. მიქაძემ განაცხადა:

— საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენა ბერლინში მოეწყო შემდეგი სახელწოდებით: „საბჭოთა კავშირის მეურნეობა და კულტურა ერთი თვალის გადავლებით". აღნიშნული გამოფენის შესახებ ევროპის ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა მრავალი წერილი და რეცენზია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამოფენას გამოეხმაურა არა მარტო სოციალისტური და მემარცხენე პარტიათა ორგანოები, არამედ ბურჟუაზიული პრესაც.

გამოფენის პოპულიარიზაციას დიდათ შეუწყო ხელი გერმანულმა საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებამ თავისი ფართო აგიტაციით.

გამოფენაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ფაიფურიდან ჩამოსხმულმა საბჭოთა კავშირის ეროვნებათა წარმომადგენლების ჯგუფებმა. აღნიშნული ექსპონატის სურათი დაიბეჭდა ევროპის ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში.

საბჭოთა კავშირის თეატრალურ ხელოვნებიდან დიდი ყურადღება მიიქცია ქართული თეატრის დეკორატიულმა მაკეტებმა „აბესალომ და ეთერი"-დან და „მალშტრემი"-დან.

ყურადღებას იქცევდა აგრეთვე საქართველოდან გაგზავნილი ფოტო-სურათები. გამოფენის წარმატებით ჩატარებას ხელი შეუშალა მისმა დაგვიანებით გახსნამ. გამოფენა გაიხსნა შობა-ახალ წლის დღეებში; ამ დღეებს გერმანიაში დიდი დღესასწაულის ხასიათი აქვს. გარდა ამისა, თვით გამოფენაც ვერ იყო სათანადოთ მოწყობილი (სჭარბობდა ციფრობრივი მასალა).

ამასთან ერთად გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ ამავე ხანებში „კარლ ლიბკნეხტ ჰაუზში" მოაწყო გამოფენა, სადაც დაპირისპირებული იყო საბჭოთა კავშირის და გერმანიის მიღწევები რევოლიუციის შემდეგ.

ეს გამოფენა მოწყობილი იყო გაცილებით მარტივათ და უფრო მისაწვდომათ მუშათა მასებისათვის; ყველაფერი მოცემული იყო მაკეტებში; გამოფენაზე არ იყო არც ერთი დიაგრამა. ეს გამოფენა ერთი კვირის განმავლობაში ნახა 25.000-ზე მეტ მუშამ.

ბერლინიდან ჩვენი გამოფენა გადატანილი იქნა ვენაში, საიდანაც შემდეგ გადატანილი იქნება პრაღაში.

ჩვენი სტუდენტობა უცხოეთში

ჩვენი სტუდენტობა ევროპაში საქმიან ცხოვრებას ეწევა. ისინი შეკავშირებული არიან საბჭოთა კავშირის სტუდენტობასთან და საბჭოთა საქართველოს კოლონიაში. უცხოეთის მემარცხენე სტუდენტობის კავშირს ხელმძღვანელობენ ქართველი სტუდენტები.

აპრილში უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებს ბერლინში 22 კაცი. ამათგან დიდი უმეტესობა სპეციალისტი—ინჟინრები არიან. ისინი სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდებიან საქართველოში.

ჩვენი მეცნიერები უცხოეთში

ამჟამად ევროპაში მუშაობს რამოდენიმე ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი, რომელთაც იქ დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და განაგრძობენ მუშაობას გამოჩენილ მეცნიერების ხელმძღვანელობით.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მივლინებულ მეცნიერთა შორის ევროპის მეცნიერების ყურადღებას იპყრობს პროფესორი ჩუბინაშვილი და დოცენტი ნიკოლაძე. პირველმა გააკეთა მრავალი მოხსენება ქართული ხელოვნების შესახებ, რითაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პროფ. ჩუბინაშვილი აპირებს წიგნის გამოცემას ქართული ხელოვნების შესახებ.

დოცენტმა ნიკოლაძემ თავისი გამოგონებით (საანგარიშო მანქანა) დიდი პოპულიარობა მოიხვეჭა, მან შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. რათა მას ნება დართონ აწარმოოს მოლაპარაკება თავისი გამოგონების მოდელის დამზადების შესახებ ევროპის სხვადასხვა ფირმებთან.

ხელოვნების მუშაკები უცხოეთში

ევროპის კინო ხელოვნებაში დიდ ყურადღებას იპყრობს მოქ. აბხაზი, რომელსაც მოხვეჭილი აქვს დიდი სპეციალისტის სახელი კინო-ეკონომიკის დარგში.

მემარცხენე თეატრის საუკეთესო ხელმძღვანელათ ითვლება რეჟისორი ქუსიტაშვილი, რომელიც მუშაობს პარიზის მემარცხენე თეატრ „ატელიე"-ში.

ემიგრაცია

მკითხველმა საზოგადოებამ იცის, განაცხადა დასასრულ ამხ. ა. მიქაძემ, რომ ემიგრაციაში დიდი ხანია განხეთქილება მოხდა. ეს განხეთქილება თანდათან ღრმავდება. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ერთმანეთს ებრძვიან ნოე ჟორდანიის და ირაკლი წერეთლის ჯგუფები; ნაციონალ-დემოკრატების პარტია გაყოფილია ორ ბანაკად: გვაზავა—შ. ამირაჯიბის და კედია—ასათიანის ბანაკები. ამ ჯგუფებს შორის სწარმოებს სასტიკი ბრძოლა.

მკითხველებმა იციან აგრეთვე, რომ გერმანიის პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ჩერვონცების დამამზადებელთა ორგანიზაცია; ყალბი ფულის დამზადებაში ბრალს სდებენ ნოე ჟორდანიას „მთავრობას". ამ გარემოებამ სრულიად დასცა ქართული ემიგრაციის პრესტიჟი. ქართული ემიგრაცია ამჟამად განიცდის უკიდურეს პოლიტიკურ კრიზისს, შინაგან გახრწნას და უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებას. ემიგრაციის უმეტესობას ოცნებათ აქვს გადაქცეული საბჭოთა კავშირში დაბრუნება.

მასწავლებელთა ხელფასის გადიდება

რკინისგზებზე

საბჭოთა კავშირის ყველა რკინის გზების საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებულია მასწავლებელთა ხელფასის რეფორმა.

მთელი კავშირის სარკინიგზო ქსელი დაყოფილია ხუთ სატარიფო ზოლად. პირველი მაღალი ზოლის პირველი საფეხურის სკოლების მუშაკებისათვის თვიური ხელფასი დაწესებულია 62 მანეთის რაოდენობით, ხოლო მეორე საფეხურის სკოლის მუშაკებისათვის—80 მანეთის რაოდენობით.

აღნიშნული რეფორმა ა.-კ. რკინის გზებზე ჯერ არ გატარებულა. ამას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ დღემდე, ტრანსპორტის სკოლების მუშაკთა ხელფასი შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ხელფასთან, რომელიც შემოღებულია ამ.-კავკასიის განათლების სახ. კომისარიატების მიერ არა სატრანსპორტო სკოლებში.

საქართველოს განათლების სახ. კომისარიატი თანახმაა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სატრანსპორტო სკოლებში შემოღებულ იქნეს ისეთი ჯამაგირები, რომელიც დაწესებულია განათლების ცენტრალურ სამმართველოს მიერ სხვა დანარჩენ გზებისათვის.

ამ.-კავკ. დანარჩენ რესპუბლიკებიდან პასუხი ჯერ არ არის მიღებული, მაგრამ ფიქრობენ, რომ მასწავლებლების გადიდებული ხელფასი შემოღებული იქნება ა.-კ. რკინის გზებზე არსებულ ყველა სკოლებში.

აღსანიშნავია, რომ განათლების მუშაკთა კავშირის და გზათა კომისარიატს შორის უკვე დადებულია ახალი კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ტრანსპორტის სკოლების მუშაკთა ხელფასის გადიდებას.

მატყლის დამზადების გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა მეცხვარეობის და მატყლის დამზადების გამოკვლევა ამიერ-კავკასიაში. გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ აღნიშნა, რომ „სოფლის კავშირი" სავსებით უძლევა მასზე დაკისრებულ საქმეს—მატყლის დამზადებას საქართველოს ფარგლებში. ამიტომ კოლეგიამ სრულიად შესაძლებლად სცნო, რომ „სოფლის კავშირმა" მატყლი მრეწველობას უშუალოდ ჩააბაროს ნევინომისკაიაში, სადაც სწარმოებს მატყლის დახარისხება, გარეცხვა და განაწილება ფაბრიკებს შორის; ეს ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლის გაძლიერებას მატყლის დამზადებაში და ზედმეტი საფეხურების გაუქმებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასა და მრეწველობას შორის.

ამასთანავე მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაავალა ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს საზ-ბა „მატყლის" და „სოფლის კავშირის" წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშაოს მატყლის კალკულიაცია, რომ გამოირკვეს მრეწველობასა და „სოფლის კავშირს" შორის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა; მატყლის კალკულიაციის გამომუშავების დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ შეუძლებელია მატყლის გაძვირება მრეწველობისათვის, ამავე დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საკმაო სტიმული „სოფლის კავშირის" მატყლის დამზადების ოპერაციებისათვის.

ამასთანავე კოლეგიის მიერ მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს მეცხვარეობის განვითარებას და განმტკიცებას ამიერ-კავკასიაში.

ნაოსნობის განვითარებისათვის

მოსკოვიდან დაბრუნდა ა.-კ. ნავთსადგურთა და შინა წყლებზე მიმოსვლის სამმართველოს უფროსი ინჟინერი ნ. ჟუკოვსკი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გზათა სახ. კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო-ტეხნიკურ კომიტეტის მიერ ფოთის ნავთსადგურის ჩრდილოეთ-ზღუდის პროექტის განხილვაში. პროექტი წარმდგენილი იყო ა.-კ. ნავთსადგურთა სამმართველოს მიერ.

ინჟ. ჟუკოვსკიმ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა, რომ აღნიშნული პროექტი კომიტეტმა დაამტკიცა. დღემდე ფოთის ნავთსადგურის ჩრდილოეთ-ზღუდე უკვე აშენებულია 100 მეტრის მანძილზე; წელს კომიტეტის დასკვნით, პირველ რიგში უნდა იქნეს წარმოებული მუშაობა კიდევ 120 მეტრის მანძილის ასაშენებლად.

ამასთან ერთად გზათა კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო-ტეხნიკურმა კომიტეტმა დაამტკიცა ამ ზღუდის რაიონში კვლევა-ძიების წარმოების პროგრამა იმის გამოსარკვევად, თუ როგორ გავლენას ახდენს ზღვის წყალი ნაპირებზე.

ჩრდილოეთ-ზღუდის აშენებით საგრძნობლად გაადვილდება გემების შესვლა ფოთის ნავთსადგურში და საფუძველი ჩაეყრება ამ ნავთსადგურის გაფართოებას.

ინჟ. ჟუკოვსკიმ მოსკოვში ყოფნის დროს მოხსენება გააკეთა საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოში ბათომის ნავთსადგურში ნავთის ზღუდის გაგრძელების პროექტის შესახებ. საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალურმა სამმართველომ ეს პროექტი საბოლოოდ დაამტკიცა.

შუა წყლებზე მიმოსვლის დარგში შინა წყლებზე მიმოსვლის ცენტრალურ სამმართველოს მიერ დამტკიცებულია მდ. მტკვარის (პეტროპავლოვსკთან) ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოების პროექტი და მუშაობა დაიწყება ამ დღეებში.

ამასთანავე შინა წყლებზე მიმოსვლის ცენტრალურ სამმართველოს მიერ გაცემულია კრედიტი მსწრაფლმავალი ახალი კატერის ასაშენებლად. ეს კატერი იმუშავებს მდ. მტკვარზე. კატერის აგება დაკვეთილი აქვს იაროსლავის ხომალდების სააღმშენებლო ქარხანას. კატერი მზად იქნება მიმდინარე სანაოსნო სეზონში.

კერამიკული ჭურჭლეულობის ქარხანა

თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ გადაწყვიტა მცხეთაში აგოს კერამიკული წარმოებათა დამამზადებელი ახალი ქარხანა. ახალი ქარხნის აგება გამოწვეულია კერამიკულ ჭურჭლეულობაზე მოთხოვნილების გადიდებით.

გეგმის მიხედვით ქარხანა დაამზადებს წითელ ჭურჭლეულობას, როგორიცაა ჯამები, თეფშები, დოქები, კოკები, ჩაფები და სხ.; ქიმიურ მრეწველობისათვის საჭირო და მჟავებადის გამძლე ჭურჭლეულობას; საგანგებო ჭურჭლეულობას სხვადასხვა წარმოებებისათვის, ორნამენტებს და სხ.

საქართველოში და ამიერ-კავკასიაში ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა განსაკუთრებით საოჯახო ჭურჭლეულობაზე. კერამიკული თეთრი ჭურჭლეული საქართველოში შემოდის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, მაგრამ საკმაოდ ძვირია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თბილისის შინა-მრეწველობის კერამიკული ჭურჭლეულობა, მიუხედავათ დაბალი ხარისხისა, ფართოდ ვრცელდება. გარდა ამისა საერთოდ თეთრ ჭურჭელზე უფრო მეტი გასავალი აქვს წითელ ჭურჭლეულობას, რომლის მომხმარებელია უმთავრესად სოფელი.

ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების ცნობით მცხეთის მიდამოების თიხა საუკეთესოა კერამიკულ წარმოებისათვის. ახალი ქარხანა დაამზადებს როგორც თეთრ, ისე წითელ ჭურჭლეულობას.

კონკურსი საუკეთესო ფოსტის დამტარებელზე

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო კავშირის თბილისის კანტორის მუშათა კომიტეტმა ადმინისტრაციასთან შეთანხმებით პირველი მარტიდან გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო ფოსტის დამტარებელზე. კონკურსის ჩასატარებლად გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელსაც ევალება შეკრიბოს ყოველგვარი ცნობები ფოსტის დამტარებლებზე და ამ ცნობების მიხედვით გამოარკვიოს, თუ ვის უნდა მიეკუთვნოს ფოსტის საუკეთესო დამტარებლის სახელი.

საკონკურსო კომისიის მოვალეობას შეადგენს გამოარკვიოს: როგორი სისწრაფით არიგებს თვითეული დამტარებელი ნორმით განსაზღვრულ კორესპონდენციებს, ქონდა თუ არა ადგილი კლიენტების საჩივარს, წერილების გვიან ჩაბარებაზე ან არ ჩაბარებაზე. და ცუდ მოპყრობაზე კლიენტებისადმი კონკურსის განმავლობაში და სხვა.

პრემიები მიეცემათ 5 საუკეთესო ცნობილ დამტარებელს.

პირველ პრემიად დაწესებულია 25 მანეთი, მეორედ—ფოსტის დამტარებლების კოსტიუმი და დამატებით კიდევ 5 მანეთი, მესამე პრემიათ—20 მანეთი, მეოთხე—კოსტიუმი და მეხუთე პრემიათ—ათი მანეთი.

კონკურსი დამთავრდება ა. წ. პირველ ივნისს.

მოსახლეობის მოძრაობის [illegible] აღრიცხვისათვის

საქ. ცაკის ცირკულიარული წერილი

საქართველოს ცაკმა ავტონომიურ რესპუბლიკების ცაკებს და სამაზრო აღმასკომებს დაუგზავნა ცირკულიარული მითითებები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აღრიცხვის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენების შესახებ.

ცირკულიარში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობის პროცესების აღრიცხვას თავის დროზე და სისტემატიურად. დაბადებისა და სიკვდილიანობის შემთხვევათა აღრიცხვას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რომ შესაძლებელი გახდეს სამეურნეო მშენებლობის დარგში სწორი პერსპექტიული გეგმების შედგენა და ქვეყნის საჭიროებათა უნაკლოდ გათვალისწინება.

დღემდე მოსახლეობის მოძრაობის პროცესების აღნუსხვა-შესწავლა არ არის შესაფერ დონეზე დაყენებული, ამის მიზეზათ კი უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოება:

მიუხედავათ სამოქალაქო აქტების ჩამწერი ორგანოების (მმაჩის) არსებობისა, მოსახლეობის უმრავლესობა არ აწარმოებენ მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების აღრიცხვას მმაჩში.

მოსახლეობის მოძრაობის სწორი აღრიცხვისადმი გულგრილობას იჩენს, როგორც მოსახლეობა, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად ვერ შეუგნია სამოქალაქო აქტების აღრიცხვის მნიშვნელობა, ისე თვით მმაჩის ორგანოები.

მმაჩის ორგანოები ვერ იჩენენ შესაფერ ენერგიას თავიანთი მუშაობის გასაცხოველებლად და მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობის რეგულიარულად აღსარიცხავად.

ამიტომ საქართველოს ცაკი წინადადებას აძლევს დაუყოვნებლივ მიღებული იქნეს ისეთი ზომები, რომლებიც სავსებით უზრუნველყოფს დაბადების და სიკვდილიანობის შემთხვევათა სისწრაფით აღრიცხვას. ამ მიზნით ადგილებზე ჩატარებული უნდა იქნეს ფართო კამპანია—აგიტაცია, რომლის დროსაც მცხოვრებლებს უნდა განემარტოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის დაბადების და სიკვდილიანობის შემთხვევათა სწორ და თავის დროზე აღრიცხვას. ამასთან ერთად მიღებული იქნეს ზომები მმაჩის ორგანოების მუშაობის გამოსაცოცხლებლად და გასაჯანსაღებლად. აგრეთვე მტკიცეთ უნდა იქნეს გატარებული მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობის აღსარიცხავად გამოცემული კანონები.

დიდი თოვლისა და ნამქერების შედეგები

საქონლის საკვები

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს მიერ საგაზაფხულო თესვის კამპანიის სახელმძღვანელოთ დანიშნულ რწმუნებულის ამხ. ბაგიროვის წინადადებით, 16 მარტს შესდგა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატების წარმომადგენელთა სასწრაფო თათბირი საქონლის საკვები მასალის დამზადების შესახებ.

საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის წარმომადგენელთა მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საკვები მასალის უქონლობით ყველა რესპუბლიკებს საქონელს მოელის დიდი საფრთხე. არაჩვეულებრივ ხანგრძლივმა და სასტიკმა ზამთარმა გამოიწვია საქონლის საკვების დიდი მოთხოვნილება, რისთვისაც გლეხობა სრულიად არ იყო მომზადებული. მთელ რიგ რაიონებში ზამთრობით საქონელი იკვებება საძოვრებზე. ამ რაიონებში საქონლის საკვების მარაგი სრულიათ არ მოიპოვებოდა და საქონელი წყდება დიდი რაოდენობით.

თათბირმა გამოარკვია საკვები მასალის მინიმალური რაოდენობა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს რესპუბლიკებს საქონლის გაწყვეტის თავიდან ასაცილებლათ. თათბირის დადგენილებით, აუცილებლად საჭიროა სომხეთისათვის თივა, ბზე, ქატო და სხ. 262.000 ფუთის რაოდენობით, აზერბეიჯანისთვის—380.000 ფუთის და საქართველოსთვის—255 ათასი ფუთის რაოდენობით. ნაწილი საკვებისა რესპუბლიკებს გადაეცემათ უახლოეს დღეებში, ხოლო დანარჩენ რაოდენობაზე აღძრულია სასწრაფო შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე.

სტიქიური უბედურებანი სამხრეთ-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთში მომხდარ სტიქიურ უბედურებათა გამო, სამხრეთ ოსეთის ცაკმა ტელეგრაფით მიმართა საქართველოს სახკომსაბჭოს და სთხოვა სასწრაფო დახმარება.

სამხრეთ-ოსეთში სოფლები ერთი მეორეს სრულებით მოწყვეტილნი არიან თოვლი ნამქერებით. საკვები მასალა გამოილია და საქონელი წყდება. განუწყვეტელმა თოვლის ზვავებმა გლეხობას დიდი ზარალი მიაყენა. 14 მარტს დილით სოფელ ჩელიათში (როკის რაიონი) თოვლის ზვავმა დაანგრია რამოდენიმე სახლი, სადაც მოთავსებული იყო საქონელი, ხორბალი და საკვები მასალის მარაგი. ყველაფერი ეს დაიღუპა. შენობების ჩამოქცევის დროს დაიჭრა რამოდენიმე გლეხი. ნათესობა, ვენახები და ბაღები მოქცეულია დიდი თოვლის ქვეშ.

შემოდგომაზე დათესილია სათესი სივრცის მხოლოდ 20 პროცენტი.

მეწყერი ქვემო-იმერეთში

ქუთაისიდან მიღებული ცნობებით, მკაცრი ზამთრის შედეგებმა უკვე იჩინა თავი. უკანასკნელ კვირეებში თბილი ამინდი დადგომის გამო თოვლმა სწრაფად იწყო დნობა. ნიადაგი წყლით იჟღინთება და იქ, სადაც თიხნარია, ადგილი აქვს მთელი მიდამოების დამეწყვრას. თებერვლის დამლევს სოფ. ობჩაში მიწის ზედაპირის დაძვრის გამო დაინგრა რვა მოსახლის კარმიდამო. ამავე სოფელში მეწყერმა გაანადგურა ვენახები და ბაღები. დამეწყრილია აგრეთვე ფუტურის, გორისა და წითელხევის თემების სოფლები. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის განკარგულებით, დამეწყრილ ადგილებიდან მცხოვრებლები გადასახლებული არიან უფრო უშიშარ ადგილას. დაზარალებულთ მიეცათ დახმარება. შესდგა საგანგებო კომისია, რომელიც იკვლევს ზარალს. ადგილების დამეწყვრა ზემოხსენებულ რაიონებში გრძელდება და წინასწარი ღონისძიებებით შეუძლებელი ხდება მისი შეჩერება.

ქუთაისი

აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების მუშაობა

აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა შეუდგეს შემდეგი კამპანიების ჩატარებას: ა) მოხსენება აღმასკომის საქმიანობის შესახებ (რომელიც უბნებში უნდა იქნას გაკეთებული); ბ) საუკეთესო სექციის კონკურსი და გ) სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

ინვალიდთა არტელი „განთიადი"

სამ. აღმასკომმა დაამტკიცა სამტრედიის ინვალიდთა ნადის (არტელის) „განთიადის" წესდება.

სიმინდის სესხის ჩამოწერა

ცენტრის განკარგულებით, ქუთაისის მაზრის ღარიბ გლეხობას ჩამოეწერა 1921—24 წლებში მოუსავლობის გამო სახელმწიფო ფონდიდან სესხად მიცემული სიმინდის ღირებულება, სულ 52 210 მან.

ახალი აღმშენებლობის უბანი

სამაზრო აღმასკომმა სასურველად სცნო მუშათა ბინების ახალი აღმშენებლობა წარმოებულ იქნას ქალაქის სამრეწველო-საწარმოო რაიონებში; და თუ ეს შეუძლებელი იქნება, იმ შემთხვევაში სახლების ასაგებად საჭირო მიწის ნაკვეთები დაეთმოთ საბინაო-მშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობებს წყალგამა უბანში (1 სამილიციო უბანში).

ერთი გაუგებრობის გამო

4 მარტს გაზეთ „კომუნისტში" ქუთაისიდან მოთავსებულ კორესპონდენციის საპასუხოდ ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი: მართალია, ქ. ქუთაისის მომხმარებელთა საზოგადოება შედის ცეკავშირის სისტემაში და ამ კოოპერატივში საინსტრუქტორო მუშაობას აწარმოებს ცეკავშირის ინსტრუქტორთა კოლეგიის ერთ-ერთი წევრი, მაგრამ უკანასკნელ კოოპერატივის გამგეობისათვის არ მიუწოდებია არავითარი ცრუ ცნობები ვალების შესახებ და არც პასუხისგებაში მიცემულნი 7 უდანაშაულო თანამშრომელი.

ასეთი ცნობა მისცა გამგეობას არა ხსენებულმა ინსტრუქტორმა, არამედ კოოპერატივის ერთ-ერთ თანამშრომელმა, რომელიც ასრულებდა კონტროლიორის მოვალეობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, კოოპერატივის გამგეობას, როდესაც მან გადასწყვიტა თანამშრომლების მოხსნა და პასუხისგებაში მიცემა, არ მოუსურვებია მიელო წინასწარ ცეკავშირის ინსტრუქტორის დასკვნა ამ საქმის შესახებ, რის გამო ადგილი დაუჩნა გაუგებრობას და 7 თანამშრომელი უდანაშაულოთ იქნენ დაპატიმრებული.

ცეკავშირის საორგ. განყოფილება.

კინო

ნამდვილი აღმოსავლეთი ეკრანზე

(„ხაზ-პუში", სომხეთის კინო-მრეწველობა. რეჟ. ამო ბეკ-ნაზაროვი)

ჯერ ჩვენ არ გვინახავს ნამდვილი აღმოსავლური კინო-სურათი. ყველაფერი რაც იყო ამ მხრივ გაკეთებული აუცილებლად დასაგმობი და დასაწყევია. ჩვენი კინემატოგრაფისტების წარმოდგენა ოქროვ მისრის „წამებათა ბალი"-ს აღმოსავლეთის გაგებას ვერ გასცილდა. იქ კი აღმოსავლეთი მოცემულია, როგორც ერთი მხრით საშინელი და, მეორე მხრით ეგზოტიურად ტურფა ქვეყანა. შესაძლებელია, რომ ასეთ შეხედულებას აღმოსავლეთზე გასამართლებელი საბუთებიც მოეძებნოთ.

აღმოსავლური კულტურის ათასი წლების ტრადიციების ნალექით საზრდოობს ჩვენი წარმოდგენა მასზე ამ კულტურის გამძლეობა იმოდენ დიდი არის, რომ განსაკუთრებულ თვალთა ხედვით მისი წარმოდგენა ვერ შესცვალა ბევრმა საზოგადოებრივმა მნიშვნელოვან პროცესებმა. აღმოსავლეთს იცნობენ

ხაზ-პუშების ხელმძღვანელი (მსახიობი აივაზიანი)

მხოლოდ წარსულში, ისტორიის სახელმძღვანელოებიდან, რომელშიაც აწერილია ექსპლოატატორ კლასების თვალთახედვით მისი დიდი კულტურა, სადაც ადგილი არ აქვთ კლასიურ უთანხმოებას და არის დიდი ისტორიულ ღირებულების მატარებელი. ეს მაგარი ხერხემლიანი კულტურა. ამ კონცეპციის აღმოსავლეთის გაგებისა თან ერთვის დასავლეთ ბურჟუაზიულ კულტურის დეკადანსით გამოწვეული ხედვა აღმოსავლეთისაკენ. სადაც დეკადენტურ ბურჟუაზიულ დასავლეთს სურს ჰპოვოს შველა.

ამ თავისებურ იდეოლოგიის რეციდივი იყო ჩვენი კინემატოგრაფისტების მიერ აღმოსავლეთის გაგება. თუ დასავლეთ ქვეყნების შესახებ ათასი წერილები, შენიშვნები, თუ გამოკვლევები იწერება, დღევანდელ აღმოსავლეთის შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. განსაკუთრებით ისეთ ქვეყნების შესახებ, როგორიც არის დღევანდელი ოსმალეთი. სპარსეთი, თუ ავღანისტანი. ეს დიდი ნაკლია, რომელსაც გამოსწორება სჭირდება. ამ ნაკლის შევსება, რასაკვირველია, კინემატოგრაფიასაც შეუძლია. მაგრამ რამაც ის აქამდე გვარწმუნებდა, სჯობდა სულ არ ყოფილიყო ნანახი, რადგან ჩვენი კინო ვერ გასცილდა აღმოსავლეთის შაბლონურ ბურჟუაზიულ გაგებას.

ამ ტრადიციების დამრღვევის როლში გამოდის რეჟ. ამო ბეკ-ნაზაროვი მშვენიერი სურათით „ხაზ პუში". ეს სურათი სწორედ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ აქ სრულებით მოსპობილია ეს ძველი ხედვა აღმოსავლეთისა, რომელიც მასში ყაჩაღებისა, ლამაზ ქალებისა და რახათ-ლუკუმების მეტს ვერას ამჩნევდა. „ხაზ პუში" არღვევს „ნათელი სხივის" წარმოდგენას გარემულ სპარსეთზე, სადაც ყველაფერი როგზეა, სცხოვრობენ ლამაზი ქალები არა ნაკლებ მშვენიერ შაჰის მეუღლეთ სასახლეებში. „ხაზ პუში" ჩვენ პირველად ვხედავთ ეკრანიდან ნამდვილ აღმოსავლეთს, ისე როგორც ის სინამდვილეში იყო, ნაწილობრივ ეხლაც არის.

ნაზაროვმა უარყო რომანტიული ფაბულა, როგორც ერთად-ერთი საშუალება კინოსურათის შექმნისათვის. წინააღმდეგ მან ყურადღების ცენტრი გადაიტანა სოციალ ჯგუფების ურთიერთ დამოკიდებულებაზე ყოფა-ცხოვრების დეტალებზე ფანტასტიურ ფანტაზიის მაგივრად. სხვათა შორის, ეს ტენდენციები მას „ხარებში" და „ნამუსშიაც" ეტყობოდა. ნაზაროვი თავს არიდებს პირობითნ დრამატიულ კოლიზიებს და მოძრაობაში მოჰყავს საზოგადოებრივი ჯგუფები. ამ მხრითაც მეტად საინტერესოა „ხაზ პუში". გადაღებულ მასალად აღებულია კაჯართა დინასტიის შაჰ ნასრ-ედ-დინის დროის მომხდარი ამბავი. ინგლისის უშუალო ზეგავლენით შაჰმა თამბაქოს ყიდვა-გაყიდვის მონოპოლია გადასცა ერთ-ერთ ინგლისის კომპანიას. შაჰის ფერმანს (ბრძანებას) წინააღმდეგ იყო რუსეთის ელჩი, რადგანაც ეს ავნებდა რუსეთის იმპერიის ეკონომიურ ინტერესებს. რათა შაჰი აეძულებინა უარი ეთქვა მონოპოლიის გაცემაზე რუსეთმა შეუწყვიტა სპარსეთში პურის მოზიდვა. აი ის საერთო მდგომარეობა, რომელშიაც ვითარდება სურათი. ფერმანმა ყველაზე მეტად აგრძნო სპარსეთის მშრომელ გლეხობას, რომლის არსებობის ერთ-ერთი საშუალება თამბაქოს გაყიდვა იყო. არა ნაკლებად შეილახა სპარსულ ვაჭრების და სამღვდელოების ინტერესები, რომელთაც დიდი თამბაქოს პლანტაციები ჰქონდათ. სოფლის ღარიბი გლეხობა საშინელ მდგომარეობას განიცდის. პური აღარ იშოვება. მევაჭრე-მეფახშეები პურის ვაჭრობით მდიდრდებიან. ხალხში მღელვარება იწყება. ქალაქში ხაზ-პუშები, ლუმპენ-პროლეტარები ყველაზე უფრო ძლიერ განიცდიან უპურობას. მდიდრები და სამღვდელოება ხალხის მღელვარებას სათავეში უდგება და წარმართავს მას მონოპოლიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ხაზ-პუშების პირველი აჯანყება საშინელი სისასტიკით იქნა ჩაქრობილი. მაგრამ ქვეყნით მათ კვლავ სათავეში უდგება მდიდარი სეიდი და მუშტაიდის (სამღვდელო პირის) მოციქულნი. ხაზ-პუშებს ემხრობიან გლეხებიც. აჯანყებულები არბევენ ინგლისის საკონსულოს და ეცემიან შაჰის სასახლეს. ნასრ-ედ-დინი იძულებულია უარჰყოს ფერმანი თამბაქოს მონოპოლიის გადაცემის შესახებ. ამით კმაყოფილია ვაჭრების ინტერესები და კმაყოფილებულია. ხაზ-პუშები მოტყუებულნი დარჩნენ. ისინი მოითხოვდნენ სამართლიანობას და პურს, მაგრამ სეიდი, რომელიც ეხლა შაჰის მხარეზე გადადგა, პურის მაგივრად მათ ტყვიებით უმასპინძლდება ხაზ-პუშები დამარცხდნენ. „ჩვენ კიდევ დავბრუნდებით"—ეუბნება შაჰს მოხუცი ხაზ-პუში, რომელსაც მოაქვს მოკლულ ხაზ-პუშთა მეთაურის გვამი.

მეტად დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს ეს სურათი მაყურებელზე. საკვირველი სიძლიერით არის ის გაკეთებული. უბედური, გაღატაკებული სპარსეთი, რომელიც იბრძვის ინგლისელების (ასე ეძახიან სპარსელები ინგლისელებს) და კაჯართა დინასტიის წინააღმდეგ. შესაძლებელია სურათს მეტი მოეგო, რომ ის გაკეთებული ყოფილიყო უფრო ახალი კინემატოგრაფიულ ხერხებით. მაგრამ ისედაც, როგორც ის არის ნაჩვენები ეკრანზე, საინტერესო მოვლენაა ახალ აღმოსავლეთის კინოს შექმნის პროცესში.

შ. მ—ლი.

ქრონიკა

უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდის განაწილება

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა შრომის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი 1927—28 წ. მეორე კვარტალში უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდიდან გაღებული 80.0000 მან. განაწილების შესახებ.

ამასთანავე წინადადება ეძლევა გორის, ოზურგეთის და რაჭის სამაზრო აღმასკომებს წარმოადგინონ, შრომის სახალხო კომისარიატის მეშვეობით, ცნობები მათ განკარგულებაში გაღებული თანხის დახარჯვისა და აგრეთვე უმუშევრობასთან ბრძოლის სფეროში მათ მიერ მიღებული შედეგების შესახებ.

ებრაელთა მიწათმოწყობის ლატარია

მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის საზოგადოება საკავშირო სახკომსაბჭოს ნებართვით მართავს ლატარიას. გამოშვებული იქნება 1.000.000 ბილეთი 50 კაპ. ღირებულებით თითო. ლატარიის ბილეთების რეალიზაცია უნდა დამთავრდეს 25 აპრილისთვის. გათამაშებული იქნება 2017 მოგება 63.000 მან. ღირებულებით. მოგებათა შორის გათამაშებული იქნება სხვადასხვა მოგზაურობა, სას. სამ. იარაღ-მანქანები, სხვადასხვა სახელოსნოების მოწყობილობა, სხვადასხვა სესხების ობლიგაციები და ერთი სახლი 3 ოთახიანი ბინით საბჭ. კავშირის ერთ ერთ პუნქტში მომგების არჩევით.

ლატარიის წმინდა შემოსავალი მოხმარდება მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის საქმეს.

თბილისის აღმასკომში

◆ **სამკურნალო მცენარეები.** აღმასკომის პრეზიდიუმმა ამხ. ივანოვ-კავკასიელს და მამულიას დაავალა უხელმძღვანელონ თბ. მაზრაში სამკურნალო მცენარეების გაშენების საქმეს.

◆ **სტიქიურ უბედურებისაგან** დაზარალებულ გლეხებისათვის დახმარების გასაწევათ აღმასკომმა შეიძინა 20.000 ფუთი თივა.

◆ საქციო საზ-ბა „მკერავი“-ს მუშაობის გასაფართოებლად, აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს საზ-ბის აქციები 25.000 მ რაოდენობით.

◆ **მოსალოდნელ წყალდიდობის** წინააღმდეგ ზომების მისაღებათ აღმასკომმა გამოყო კომისია ამხ. მესხის, ქურდიანის და ხმალაძის შემადგენლობით.

მიწსახკომში

◆ **საბეითლო საქმეზე.** მიწსახკომის ცნობით წელს დაიხარჯება 1.721.269 მანეთი.

◆ **მოძრავი ამბულატორიები.** საბეითლო საქმის სამმართველომ გადასწყვიტა მოაწყოს რამდენიმე მოძრავი საბეითლო ამბულატორია იალაღებზე და მესაქონლეობის რაიონებში დასაგზავნათ.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **სახ. უნივერსიტეტის** 10 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ა.-კ. სახკომსაბჭომ გადასდო 30.000 მანეთი.

◆ **მუშფაკებიდან** უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებზე წელს სულ ჩარიცხული იქნა 400 კაცი.

საბინაო მშენებლობა

◆ **გადაწყდა** თბ. საფაბრიკო-საქარხნო სკოლისათვის აგებული იქნეს ახალი სახლი, რომელთაც მოეწყობა ინტერნატი 120 კაცისათვის.

◆ **მუშათა საბინაო მშენებლობის** კოოპერაციამ ქუთაისის მაუდის ქარხნის მუშებისათვის სახლის ასაგებათ გადასდო 5.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ **8 მარტის აღსანიშნავად** განათლების კომისარიატმა სოფ. ქვემო ჭალაში (გორის მაზრა), გახსნა ჭრა-კერვის სკოლა.

◆ **ებრაელების მიწათმომწყობმა** საზ-ბამ სოხუმში დაარსა თავის განყოფილება.

◆ **ნადირობის აკრძალვა.** ზაჰესის მიდამოებში აკრძალულია როგორც ცხოველებზე, ისე ფრინველებზე ნადირობა.

ხელოვნების ქრონიკა

გ. წერეთლის დაუბეჭდავი რომანი

დღეს, საღამოს 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში ვარლამ ხუროძე წაიკითხავს მოხსენებას გ. წერეთლის დაუბეჭდავ რომანის „გულქანა“-ს შესახებ. ამ რომანის დაბეჭდვა აკრძალა მეფის ცენზურამ 1896 წელს და რომანის ხელთნაწერები თებერვლის რევოლუციამდე ინახებოდა იმავე ცენზურის არქივში. განსვენებულის მეუღლემ—ანასტასია თუმანიშვილმა რევოლ. პირველ დღეებშივე შესძლო „გულქანა“-ს ხელთნაწერის არქივიდან გამოტანა.

სახკინმრეწვში

◆ **სასცენარო სახელოსნოში.** 21 მარტს შესდგება სახკინმრეწვის სასცენარო სახელოსნოს მორიგი კრება, რომელზედაც ბ. ზორიჩი წაიკითხავს მოხსენებას: „წარწერა, მისი როლი და მნიშვნელობა კინო-სურათში“.

◆ **„ცხრა ძმა“.** რეჟისორი შ. ბერიშვილი შეუდგა ახალი სურათის „ცხრა ძმა“-ს დადგმას. თემა აღებულია 1905 წელს რკინის გზის თბილისის სახელოსნოებში გაფიცულ მუშების ცხოვრებიდან.

◆ **„პირველი კორნეტი სტრეშნევი“.** სახკინმრეწვმა მიიღო დასადგმელად სცენარი „პირველი კორნეტი სტრეშნევი“, რომელიც გამოხატავს მეფის ჯარის გახრწნას და ოქტომბრის გავლენას ფრონტებზე. სურათს სდგამენ: მ. ჭიაურელი და ე. ძიგანი.

◆ **მწერალთა ფედერაციის** ახალი საბჭოს პირველი სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 7 ს. ხელოვანთა სასახლეში.

◆ **ირმა იაუნზემის კონცერტი.** დღეს კონსერვატორიაში გაიმართება ირმა იაუნზემის კონცერტი.

◆ **მომღერალ ქაშაკაშვილის კონცერტი.** 24 მარტს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მომღერალ ქაშაკაშვილის კონცერტი.

◆ **წითელარმიელთა კლუბში** დღეს გაიმართება სმირნოვ-სოკოლსკის საღამო ნ. მესხიშვილის მონაწილეობით.

◆ **მუშათა კრიტიკის საღამო,** კარ. კალაძის შემოქმედების შესახებ, რომელიც უნდა შემდგარიყო დღეს ამხ. მ. კახიანის სახელობის, მუშფაკში, გადადებულია შემდეგი შაბათისათვის.

სასამართლო

მოსაპყრიანებელი ექიმი

გვაქვს სურვილი გაგაცნოთ დუშეთელი ექიმი, გვარად შახტინაროვი.

დუშეთელი დაზღვეულები კარგად იცნობენ შახტინაროვს, მაგრამ ეს არ კმარა. შახტინაროვი ისეთი პიროვნებაა, რომელსაც ყველა დაზღვეული მუშა-მოსამსახურე უნდა იცნობდეს.

დუშეთის დამზღვევ სალაროს ექიმი გახლდათ ის. ქვემოდ დავინახავთ, როგორ ზრუნავდა შახტინაროვი დაზღვეულთა ჯანმრთელობაზე.

— როგორ არის თქვენი ავადმყოფი? რა სთქვა ექიმმა?—ეკითხება მეზობელი მეზობელს.

— ცუდათ, ჩემო ბატონო! ძალიან ცუდათ. ექიმი ჯერ არ მოსულა. თითონაც „შეუძლოთ“ ყოფილა. რა მეშველება, თუ არ მოიკეთა, ხომ დამირჩა ავადმყოფი უწამლოდ,—ნაღვლიანად უპასუხებს მეზობელი.

შახტინაროვს არაფერიც არ სტკივა. „ბუღასავით“ არის. ლომს დაეჭიდება.

გადის რამდენიმე დღე. ავადმყოფის ჭირისუფალს ხელში უჭირავს ჯანმრთელობის განყოფილებაში აღებული ორდერი და დადის ყოველდღე ექიმის „სანახავად“, მაშინ, როცა ექიმი უნდა დადიოდეს ავადმყოფის სანახავად.

მეოთხე-მეხუთე დღეს ექიმმა ინება ავადმყოფის ნახვა. ავადმყოფი კი უკვე მორჩა. კარგი მოვლით, შახტინაროვი ნერვიულობს.

— ტყუილად რას მეძახდით! სული ამომართვით, ქლექი გამიჩინეთ, გავცივდი თქვენი კულისთვის (ჩაახველებს ყასიდით ექიმი), თქვენ კი არაფერი არ გტკივათ...

— თქვენ დაგლოცვილო, ავად ვიყავი და მორჩი. ეს თქვენ უნდა გიხაროდეს, მეორედ მოსვლა აღარ დაგჭირდებათ,—უპასუხებს მორჩენილი ავადმყოფი.

აფაფხურდება ექიმი და გავარდება გარეთ. პირიქით ეჯავრება შახტინაროვს დაზღვეულები. „სარფა“ არ არის მათში.

ადგილობრივი მილიციის თანამშრომელს ცოლი უკვდება. მილიციელს სასწრაფოდ აქვევენ ექიმის ორდერს ჯანმრთელობის განყოფილებაში.

— ექიმი სახლში ბრძანდება?—კითხულობს მილიციელი.

— რა გინდა!—გამოდის თვითონ შახტინაროვი.

— ბატონო, ვიღუპები ცოლი უკანასკნელ დღეშია... მიშველეთ, თუ შეიძლება წამყევით ახლა. ფეხით თუ გიჭირთ, ცხენს მოგართმევთ.—ემუდარება მილიციელი.

— დღეს არ შემიძლია! თბილ წყალში უნდა ვიბანაო.—უპასუხებს შახტინაროვი და გაიკეტავს კარებს.

თუ წავა, წყალი გაუცივდება ექიმს! ხუმრობა საქმეა? მეორე ჯერ როდი შეიძლება წყალის გათბობა!

გამობრუნდა გულნატკენი მილიციელი. გავიდა რამდენიმე დღე. ავადმყოფმა მოიკეთა და როცა შახტინაროვმა ინება ნახვა, ავადმყოფი თავისუფლად დადიოდა თავისი ფეხით.

ასეთი მაგალითები აუარებელია. დაზღვეულებმა დაჰკარგეს მოთმინება და საჩივარი აღძრეს სათანადო ორგანოების წინაშე.

საქმეს რომ მსვლელობა მიეცა, არ დარჩენილა არც ერთი დაზღვეული, რომელსაც საჩივარი არ შეეტანოს.

შახტინაროვი მოხსნილია თანამდებობიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

ახლო მომავალში დაინიშნება საჩვენებელი პროცესი „შახტინაროვების“ საქმეზე მოსაყვანად.

„ქვრივები“

ბარბარე ილურიძე და გალინა ხირბილაძე „პატიოსანი ქვრივები“ არიან, მათი სიტყვით. კატეგორიულად აცხადებენ, რომ მათ გარყვნილების ბუდე არ მოუწყვიათ თავის სახლში. თაკილობენ კიდეც ამ სიტყვას.

— მართალია, ჩვენ ერთად ვცხოვრობდით დიდუბეში, მაგრამ „პატიოსანი“ შრომით თავსაც ვინახავდით და სხვასაც —ლაპარაკობენ „ქვრივები“.

სასამართლო ძიება ადასტურებს, რომ მათი ბინა წარმოადგენდა საროსკიპოს.

სასამართლო ადგენს: მიესაჯოს თვითეულს თითო წლით თავისუფლების აღკვეთა.

გაფლანგა, თუ მოპარეს!

საბრალდებლო სკამზე ზის „მიასოტორგ“-ის ყოფილი მოლარე ისაი ხოსიანცი.

გასულ წელს, ივლისში, კვირა დილით „მიასოტორგ“-ის სალარო ნახეს „გაუბედურებული“.

შესავალი კარებიც ღია იყო, სალაროც პირდაღებული იყო, საბუთები მიყრილ მოყრილი, ერთი სიტყვით შთაბეჭდილება იყო ისეთი, რომ ბოროტგამზრახველს მორგებული გასაღებით გაუტანია ფული.

სალაროს აკლდა **2.298 მან. და 98 კაპეიკი** ბევრი დააპატიმრეს ეჭვით, დაიწყო ძიება და მოლარე ხოსიანცი გაება მახეში.

როგორც საბრალდებლო დასკვნა ლაპარაკობს, ხოსიანცის ოინებია სალაროს გაძარცვის მოწყობა. ეს იყო ერთგვარი სიმულიაცია, ბოროტმოქმედების კვალის დასაკარგავად. ფული კი ხოსიანცმა ჩაიწყო ჯიბეში.

საინტერესოა ერთი დეტალი.

გაძარცვის წინა დღით, ესე იგი შაბათს, ავანსი უთხოვია იმავე დაწესებულების დირექტორს, რომელიც მივლინებაში იყო.

ფულის მისაღებათ მინდობილობა მიუტანია დირექტორის ცოლს. დაწესებულებაში მეშამბა თავდებოდა. ნაშუადღევის სამ საათზე მეტი იყო.

მთავარმა ბუჰალტერმა გამოუწერა დირექტორს ავანსათ 170 მანეთი, მაგრამ მოლარე ხოსიანცმა განუცხადა მას, რომ სალაროში ფული არ არის. შეიძლება ათი მანეთი მოგახერხოთო.

მისცეს ქალს ათი მანეთი. დაწესებულებაში მეცადინეობა შეწყდა. ხოლო მეორე დღეს სალაროდან დაიკარგა 2.298 მანეთი.

თუ არაფერი იყო სალაროში, რა დაიკარგებოდა? თუ იყო, დირექტორს ავანსზე უარი რატომ უთხრა? ალბად, ამ დროს სალარო უკვე „გაძარცული“ იყო.

საქმეს არჩევს თბილისის სამაზრო სასამართლო ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით. დღეს გამოტანილი იქნება განაჩენი.

ბერ.

ჭადრაკი

პროფკავშირთა მასიური ტურნირი

დღეს, 17 მარტს, საღამოს 6 საათზე, საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნება ჭადრაკის მასიური საპროფკავშირო ტურნირი. ტურნირი ეწყობა საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ინიციატივით.

ტურნირის მიზანია ხელი შეუწყოს პროფკავშირების წევრ-მოჭადრაკეთა ურთიერთ დაახლოების საქმეს და ჭადრაკის პოპულიარიზაციას. აგრეთვე გამოარკვიოს დაბალი კატეგორიის მოჭადრაკეთა მიღწევები, აღრიცხოს და გამოიკვლიოს პროფკავშირების მუშაობა კლუბებში ჭადრაკის თამაშობის დაყენების საკითხში და ხელი შეუწყოს პროფკავშირის წევრთა ჩაბმას კლუბების საჭადრაკო საქმიანობაში.

მასიურ ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლია პროფკავშირის ყველა წევრს. მეორე კატეგორიაზე ძლიერ მოთამაშეთა გამოსვლა ტურნირში არ შეიძლება. ის კავშირი, რომელიც ტურნირში გამოიყვანს 20 მოთამაშეს, აწყობს საკავშირო ტურნირს, ხოლო ის, კავშირი რომელიც ვერ გამოიყვანს 20-მდე მოთამაშეს, შეუერთდება სხვადასხვა კავშირების ჯგუფს. ქალთა ტურნირი ჩატარდება ცალკე.

თამაში იწარმოებს ოლიმპიური სისტემით: 2 წაგება, 4 ყაიმი, 1 წაგება და ორი ყაიმი იწვევს მონაწილის გამოსვლას ტურნირის შემადგენლობიდან. საკავშირო ტურნირზე გამარჯვებულთა 20 პროცენტიდან შესდგება პროფკავშირთაშორისო ტურნირი, სადაც თამაში იწარმოებს ოლიმპიური სისტემით. პროფკავშირთაშორისო ტურნირზე გამარჯვებული 10 მოჭადრაკე მონაწილეობას იღებს მასიური ტურნირის ფინალში, სადაც ყოველი მონაწილე გაითამაშებს თითო-თითო პარტიას დანარჩენ მონაწილეებთან.

ტურნირში მონაწილეობას მიიღებს პროფკავშირთა 300 წევრი.

დღესვე, საღამოს 6 საათზე. პროფკავშირთა დიდ დარბაზში შესდგება საჭადრაკო წრეების თათბირი.

დღის წესრიგშია: ამხ. ერისთავის მოხსენება საჭადრაკო მუშაობის შესახებ. და გოგლიძის მოხსენება—ტურნირის შესახებ.

ტურნირზე მონაწილე მოჭადრაკეთა დასწრება აუცილებელია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

თბილისის შრომის ბირჟის მედსექცია უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ დამატებით მიღებულია მოთხოვნილება მედპერსონალზე საქართველოს შემდეგ მაზრებიდან:

ფოთი—ყურის დასტაქარი, ჯამაგირი—150 მან., ექიმი—ტერაპევტი, დაზღვეულებთან ბინაზე მოსიარულე, ათი წლის სტაჟით. ჯამაგირი—150 მან.

რაჭის მაზრა:—ღებში—ექიმი, ჯამაგირი—130 მან. (ბინით); ხოტევში—ექიმი, ჯამაგირი—130 მან. (ბინით). პატარა ონში—ექიმი, ჯამაგირი—130 მან., ბუგეულში—ექიმი, ჯამაგირი—130 მან.

გორის მაზრა:—ქვემო-ჭალაში—ექიმი, ჯამაგირი—125 მან. (ბინით); ხოტევში—ექიმი, ჯამაგირი—130 მან. (ბინით); ავლევში—ექიმი, ჯამაგირი—125 მან., (ბინით); ავლევში—ბებია—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—56-60 კაპ. ქვემო-ჭალაში: ბებია—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—56 მ. 60 კაპ.

სამხრეთ-ოსეთი: ექიმი-ვენეროლოგი (სამი წლის სტაჟით), ჯამაგირი 120—150 მანეთამდე; ყურის და ყელის ექიმი, ხელფასი—შეთანხმებით.

სვანეთის საექიმო პუნქტზე—ექიმი, ჯამაგირი—150 მან. (ბინით).

ოზურგეთის მაზრა: ბუკის ციხეში—ბებია—ექიმის თანაშემწე, დიდ-ვანში—ბებია—ექიმის თანაშემწე. ჯამაგირი—35 მან., ნატანებში—ბებია—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—35 მან.; ჩოხატაურში—ბებია—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—35 მან., ხევში—ბებია—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—35 მან.; ერკეთში, ექიმი—ჯამაგირი 120 მან.

ლეჩხუმის მაზრა: ზუბში—ექიმის თანაშემწე ან ბებია—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—50 მან., ალპანაში—ექ. თანაშემწე, ჯამაგირი—60 მან.

ზუგდიდის მაზრა: ჩხოროწყუს საექიმო პუნქტზე ექიმი, ჯამაგირი—100 მან.; ახალხიბულის საექიმო პუნქტზე—ექიმი, ჯამაგირი—100 მან.; ლიის საექიმო პუნქტზე—ექიმი, ჯამაგირი—100 მან.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მსურველებმა უნდა მიმართონ თბილისის შრომის ბირჟაში ამხ. გოგეშვილს.

წყალდიდობის მოლოდინში

ალაზანი ადიდდა

სიღნაღის სამაზრო აღმასკომი ატყობინებს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომ მდინარე ალაზანმა უკვე დაიწყო ადიდება, რაც მიეწერება მთებში თოვლის დნობის დაწყებას.

წყალდიდობა დიდ საფრთხეში აყენებს ალაზანის ხიდს, რომელსაც წალეკვა მოელის. საფრთხეშია აგრეთვე მთელი რიგი სოფლები ლელიანის რაიონში. წყალდიდობასთან მებრძოლი საგანგებო სამეული იღებს ზომებს მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად.

სამუშაოთა დათვალიერება

გუშინ დასავლეთ საქართველოში გაემგზავრნენ წყალდიდობასთან ბრძოლის საქმეთა რესპუბლიკანური ინსპექტორი ამხ. ბ. ბერაძე და ინჟ. ა. ჯაფარიძე. მათი გამგზავრების მიზანია ყველა იმ სამუშაოთა დათვალიერება, რომლებიც დაწყებულია წყალდიდობასთან საბრძოლველად.

შაქრის პლანტაციები საფრთხეშია

გორის წყალთა ოლქის გამგე დეპეშით იტყობინება, რომ მოსალოდნელი დიდი წყალდიდობის გამო წალეკვა მოელის გორის მაზრაში გაშენებულ შაქრის ჭარხლის პლანტაციებს და გორის სპირტის ხახდელ ქარხანას. წყალთა ოლქის მუშაკები გაგზავნილი არიან გასამაგრებელ ადგილების დასათვალიერებლად და შესაფერ ღონისძიებათა გამოსანახავად.

ავიაქიმში

მშრომელთა გასამხედროების სექცია

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა დაარსებულ იქნეს საზოგადოებასთან მშრომელთა გასამხედროების სექცია, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას მშრომელთა გასამხედროების საქმეს.

ახალი სექციის ხელმძღვანელათ გამოყოფილია № ქართ. მსრ. დივიზიის უფროსი ამხ. გიორგაძე.

პირველი დახმარების რაზმები და წრეები

ამჟამად თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებასთან არსებობს [illegible] პირველი დახმარების რაზმი, რომლებშიაც ირიცხება 156 კაცი. თბილისში არსებობს 58 პირველი დახმარების წრე 1.631 წევრით, მაზრაში კი—47 წრე 1.500 წევრით.

„ქიმიური ნათლა“

ამ რამოდენიმე დღის წინად საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმთან არსებულმა ქალთა სექციამ მოაწყო ქალების ქიმიური „ნათლა“. 50 მშრომელი ქალი, შეიარაღებული გაზის საწინააღმდეგო ნიღაბებით გატარებულ იქნენ ქლორით და ქლორ-პიკრინით სავსე კამერაში. „ქიმიური ნათლის“ შემდეგ მოეწყო საუბარი ქიმიურ ომზე და გაზებისაგან თავდაცვის საშუალებებზე.

შემთხვევები

5 კაცის დაკარგვა

12-დან 15 მარტამდე უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ: ლეონ ალექსანდრესძე გუხრინი, 35 წლისა; ისიდორე დარასაბისძე შაქარაშვილი, 14 წლისა (მცხოვრები სად. გურჯაანში); სირანუშ აკოფის ასული მიქაელიანი, 19 წლისა (მცხოვრები 19 თებერვლის ქ., № 4); ვალენტინა ნიკოლოზის ასული ტანაჩევა, 7 წლისა და ბიქტორ ივანესძე ბუდაგინი, 13 წლისა.

რეციდივისტის დაპატიმრება

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ლევან სერგოსძე ზალიევი, რომელსაც აქვს ქურდობისა და ჯიბგირობის 17 რეგისტრაცია.

ქურდი საკანდიტეროში

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სეიხულა მირზა-ოღლი, რომელმაც 30 გირვანქა კარაქი მოიპარა სურენიკ მექოლიანცის საკანდიტეროდან (რიყის ქ., № 8).

ქურდობა

გუშინ, დღისით, გაქურდეს პურის საცხობი (ლოტკინის ქ., № 14); წაიღეს 250 მანეთი ფულად. ამ საქმეზე დააპატიმრეს ვასილ ივანოვი და ივანე ნოვიკოვი.

— გაქურდეს ალექსანდრე ხოჯიაშვილის ბინა (მარტის ქ. № 8); წაიღეს სხვადასხვა ნივთები. ამ საქმის გამო მილიციამ დააპატიმრა სერგო ანდრიასძე შელამოვი (მცხ. სადგურის ქ., № 24).

— გაქურდეს ვ. ჩიქოვანის ბინა (ტრამვაის ქ., № 1); წაიღეს 80 მანეთის ნივთები.

—გუშინ, დღისით ირინე შტამპს, ეორესის ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 120 მანეთი.

ჯიბგირი უკვე დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა ხაჩატურ მარტიროსიანცი.

13 წლის ბავშვმა გაიტაცა ავტომობილი

გუშინ, 16 მარტს, მოგზაურმა ბორის დუბროვსკიმ, რომელიც თავისი ავტომობილით მოგზაურობს საბჭ. კავშირის განაპირა კუთხეებში და ამ რამდენიმე დღის წინათ ჩამოვიდა თბილისში, ინახულა თამბაქოს ტრესტი ავტომობილი მან დასტოვა ტრესტის ეზოში. ნახევარი საათის შემდეგ ავტომობილი თავის ადგილას არ დახვდა დუბროვსკის. იგი გაიტაცა 13 წლის ბავშვმა—ჩხიკვაძემ, რომელსაც თან წაეყვანა თავისი ამხანაგები—ბელკიანი და ახალკაციშვილი.

თამბაქოს ტრესტის შოფერმა ავტომობილებით დაუწყეს ძებნა გატაცებულ ავტომობილს. თბილისში, რომ ვერ აღმოაჩინეს, გაეშურნენ სამხედრო გზაზე, სადაც, მცხეთის მახლობლად. დაეწიენ გატაცებულ ავტომობილს, რომელსაც მართავდა 13 წლის ჩხიკვაძე.

ჩხიკვაძე თავის ამხანაგებით მოიყვანეს თამბაქოს ტრესტში.

როდესაც ჩხიკვაძეს ჰკითხეს, თუ სად მიჰყავდა ავტომობილი, მან განაცხადა, რომ სურდა „პრაქტიკის შეძენა“.

ჯიბგირი ოპერაში

კვირას, 11 მარტს, სახელმწიფო ოპერაში კონსტანტინე ოპარის ჯიბიდან ამოაცალეს 350 მანეთი და 50 მანეთის ობლიგაციები № 15963 და 15.1833.

რკინისგზებზე

სასჯელი დაუდევრობისათვის

ამიერ-კავკ. რკ. გზებზე შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ განიხილა საქმე ამა წლის 15 თებერვალს ლიხ-ხაშურს შუა საბარგო მატარებლის № 107-ს დამტვრევის შესახებ.

ეს შემთხვევა ასეთ პირობებში მოხდა: 15 თებერვალს სადგ. ლიხში მივიდა მატ. № 107 სადგურის უფროსის განკარგულებით მატარებელს ორთქლმავლები (ორი) მოხსნეს და გაგზავნეს ხაშურში. რამოდენიმე ხნის შემდეგ სრულიად მოულოდნელად, ადგილიდან დაიძრა უორთქლმავლოდ დარჩენილი შემადგენლობა და გაემართა ხაშურისაკენ.

გზაში ვაგონებმა ისეთი სისწრაფე განავითარა, რომ წამოეწია მიმავალ ორთქლმავლებს და დაეჯახა.

ამ შემთხვევამ გზას მოაყენა 8.960 მანეთის ზარალი.

დაჯახების მიზეზების გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ შემადგენლობა დაიძრა ადგილიდან იმის გამო, რომ დაუმუხრუჭებელი იყო.

დამნაშავეებად არიან ცნობილი: 1) ლიხის სადგურის მორიგე ქომერიძე, რომელმაც ორთქლმავლების მოხსნის შესახებ განკარგულების გაცემის დროს არ გასცა განკარგულება შემადგენლობის დამუხრუჭების შესახებ და არ გააცილა გაგზავნილი ორთქლმავლები; 2) მატ. № 107-ს მთავარი კონდუქტორი მაღარაძე, რომელმაც თუმცა თავის დროზე გასცა განკარგულება შემადგენლობის დამუხრუჭების შესახებ, მაგრამ არ შეამოწმა მოიყვანეს თუ არა სისრულეში მისი განკარგულება; მეეთავები: 3) მიმწელიძე და 4) ელისაშვილი, რომლებმაც არ მიაქციეს ყურადღება მატარებლის ბოლოში სიგნალების უქონლობას და 5) მესიგნალე აბრამაშვილი. დამნაშავეებად არიან ცნობილი აგრეთვე კონდუქტორები: კალიასანია, ლოლაშვილი, არჯევანიძე ილია და სტეფანე ხვედელიძეები, ქურდაძე და ლომსაძე. მათ დაუმუხრუჭებელი დასტოვეს შემადგენლობა.

შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ დაადგინა: მოხსნილ იქნეს სამსახურიდან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირები, გარდა მესიგნალე აბრამაშვილისა, რომელსაც გამოეცხადა საყვედური.

ბრძოლა წყალდიდობასთან

გაზაფხულზე მოსალოდნელი დიდი წყალდიდობა საფრთხეს უმზადებს რკინის გზებს.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად გზის გამგეობა აქედანვე შეუდგა საჭირო მუშაობას.

ისეთ ადგილებში, სადაც მოსალოდნელია გზის წალეკვა, გარდა იმისა, რომ იქ უკვე ჩატარებულია გასამაგრებელი სამუშაოები, მიტანილია ქვები, სილიანი ტომრები და სხვა.

გაზაფხულის წყალდიდობას გზა სრულის მომზადებით ხვდება და ფიქრობენ, რომ წყალდიდობის საფთხე აცილებული იქნება.

ძველი ხიდის გადაცემა

საქართველოს სახკომსაბჭოს თხოვნით, ამიერკავკ. რკ. გზების გამგეობამ საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს გადასცა მდ. რიონზე არსებული ძველი რკინის გზის ხიდი

ფეხბურთი

გაზაფხულის სეზონი გაიხსნება 25 მარტს

დამთავრდა ფეხბურთელთა გუნდების რეგისტრაცია. სულ აღრიცხვაზე აყვანილია 37 გუნდი, აქედან პირველ კატეგორიაში შედის ხუთი გუნდი: „დინამო—ა“, „დინამო—ბ“, „გეოლ-კავების მუშაკები“, „არსენალი“ (ყოფ. „შტურმი“) და „საბჭოთა მუშაკები“.

მეორე კატეგორიის გუნდები დაყოფილია ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის: „მუშათა ცენტრალური კლუბი“, „შუტ“, „ა.-კ. წითელი ჯარის სკოლა“, სტალინის სახელობის კლუბი, პლეხანოვის სახელობის გუნდი და „სახ. უნივერსიტეტის“ სას.-სამეურნეო ფაკულტეტის გუნდი.

მეორე ჯგუფში შედის: „რკინის გზის მე-13 პოლკი“, „კომუნალური მეურნეობის მუშაკები“ (მეხანძრეები), „საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი“, „მედსანშრომის მუშაკები“ და მელითონეთა საფაბრიკო-საქარხნო სკოლის გუნდი.

მესამე კატეგორიაში ირიცხება 19 გუნდი.

გაზაფხულის სეზონის პირველობის გათამაშება დაიწყება კვირას, 25 მარტს, ლენინის სახელობის სტადიონზე. სეზონის გახსნის დღეს ითამაშებენ „საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი“ და „დინამო—ა“. მატჩი დანიშნულია „საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტის“ პირველ კატეგორიაში გადასარიცხავად.

სეზონის ჩასატარებლად არჩეულია კომისია რომელშიაც შედიან ა. იოხავა (თავმჯდომარე), სამუშია, აივაზოვი, გავრილოვი და შავგულიძე.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 17 მარტი

დღეს, 17 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა გაზეთი „ახალი სოფელი“—ქართულ ენაზე.

აჭარისტანის გასაბჭოების 7 წლის თავი მისალმებები რუსულ და ქართულ ენებზე.

მინერალური სასუქების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში—ქართულ ენაზე.

სუნ-იატ-სენის როლი ჩინეთის რევოლუციაში (მისი გარდაცვალებიდან 3 წლისთავის შესრულების გამო)—ქართულ ენაზე.

ავიაქიმის მოხსენება: ტექნიკის როლი მომავალ ომებში—რუსულ ენაზე.

რემედასის მოხსენება: პარიზის კომუნის 57 წლისთავი—რუსულ ენაზე.

გაზეთი „ენიკენდ“—თურქულ ენაზე.

კონცერტი ან და ოპერა „სევილიელი დალაქი“-ს ტრანსლიაცია.

ობსერვატორიის ცნობები.

რადიო-გადაცემის ერთი კვირის პროგრამის გადაცემა.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

განცხადება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულების (იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 295—1927 წ. 28 დეკემბერი) ცხოვრებაში გატარების დროს შექმნილ გაუგებრობის ასაცილებლად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ხსენებულ განკარგულების დასამატებლად და განსავითარებლად ამით განმარტავს:

სრულიად საქ. ცენტრ. აღმ. კომ. 1927 წ. 15 იანვრის № 6 დადგენილების, მუხ. 3, თანახმად ყველა საზოგადოებანი, კავშირები და მათი შენაერთები, თავიანთი მოქმედების განსახორციელებლად საქართველოს ტერიტორიაზე (როგორც ქ. თბილისში, ისე რესპუბლიკის დანარჩენ მაზრებში) დამტკიცებულ უნდა იქნენ და გატარდნენ რეგისტრაციაში მარტოოდენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ სამმართველოში. აღნიშნული დადგენილება **№ 6** არ ვრცელდება იმ პროფესიონალურ ორგანიზაციებზე, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სრულიად საქართველოს პროფკავშირის ცენტრალურ საბჭოს მიერ, და აგრეთვე იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოების წევრთა ეკონომიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას (როგორც, მაგ.: კოოპერატიული ორგანიზაციები და სხვ.). საზოგადოება და კავშირი, რომელიც თავის მოქმედებას გახსნის გარეშე აღნიშნულ წესისა დამტკიცების და რეგისტრაციის შესახებ, დაუყოვნებლივ იქნება დახურული.

ამის გამო წინადადება ეძლევა განმკარგულებელ ორგანოთ ყველა იმ საზოგადოებისა კავშირისა და მათ შენაერთებს, რომლებიც მოგების გამორჩენას არ მისდევენ (სახელობო, რელიგიურ, სამეცნიერო, კულტურულ განმანათლებელ, სამხატვრო, სასპორტო, საქველმოქმედო, სამონადირო, არაზარტიულ თამაშის, სამხიარულო (საკლუბო) და სხვ.) და რომლებიც თავის მოქმედებას აწარმოებენ საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებში (როგორც ქ. თბილისში, ისე რესპუბლიკის დანარჩენ მაზრებში) ხელახლად გაიარონ რეგისტრაციაში, ხოლო იმ კავშირებმა და საზოგადოებებმა, რომლებიც დღემდე არ არიან დამტკიცებული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ზემოხსენებულ № 6 დადგენილების წესით, უნდა მიიღონ სათანადო დამტკიცება და გატარდნენ რეგისტრაციაში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ სამმართველოში ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განკარგულების გამოქვეყნებისა იმ მოთხოვნილებათა შესრულებით, რაც გათვალისწინებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1927 წ. 28 დეკემბრის (იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 295—27 წლ.) განკარგულებით.

ამ განკარგულების შეუსრულებლობისათვის ხელ-ახლა რეგისტრაციის და რეგისტრაციისათვის დაწესებულ ვადის განმავლობაში, საზოგადოებანი და კავშირები დაუყოვნებლივ იქნებიან დახურულნი და მათი მოქმედება ლიკვიდაცია-ქმნილი, განმკარგულებელ ორგანოთა პასუხისგებაში მიცემით ს. ს. კ. სათანადო მუხლების მიხედვით.

შინაგან საქ. სახ. კომისრის მოად. ზერაძე.

შ. ს ს. კ ადმინ. სამ. უფროსი, რესპუბლიკის მილუფროსი მაჭავარიანი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშა-გლეხ-ქალთა** განყოფილებაში ორშაბათს, 19 მარტს, დილის 10 საათზე შესდგება თავდაცვა-ავიაქიმის ქალთა სექციის სხდომა. საქპროფსაბჭოს, საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას, თავდაცვა-ავიაქიმის წითელი ჯვრის წარმომადგენლების და ამხ. ბელიაევსკისა და თენიეშვილის დასწრება აუცილებელია.

—

— **თავდაცვა-ავიაქიმის არსენალის რაიონული საბჭო** იტყობინება, რომ დღეს, 17 მარტს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში მოწვეულია საბჭოს პლენუმი რაიონულ საბჭოს სარევიზიო კომისიასთან ერთად.

რაიონულ საბჭოს და სარევიზიო კომისიის ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.

—

— **დღეს, 17 მარტს, დღის 12 საათზე** შესდგება უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივის სხდომა. სხდომაზედ წევრებსა და კანდიდატებს გარდა, სთხოვენ დასწრონ: ამხ. სამსონ მამულიას, მალაქია ტოროშელიძეს, კიტა მეგრელიძეს, ერვანდე ასრიბეკოვს, ბუდილევს, ციხელაშვილს, ს. ხუნდაძეს, გ. კვიცარიძეს, ს. ამაღლობელს, არჩილ რუხაძეს, ალ. ჭეიშვილს, კუპრაძეს, იმედაძეს.

— **დღეს, 17 მარტს,** აგიტპროპმუშაკის ცენტრალურ კაბინეტში შესდგება პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა სემინარის მეცადინეობა. საღამოს 5 საათზე, საქ. ახ. ლ. კ. კ. მეორე საფეხურის პოლიტსკოლის ხელმძღვანელთა, საღამოს 6 საათზე—პარტშკოლის პირველ და მეორე საფეხურის პოლიტსკოლის ხელმძღვანელთა, ხოლო, საღამოს 8 საათზე ოქტომბრის გაწვეულთა პარტშკოლის სკოლის ხელმძღვანელთა მეცადინეობა.

—

— **სახელ. უნივერსიტეტის** გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 17 მარტს, დღის 12 საათზე მოწვეულია აღმასბიუროს ფრაქციის სხდომა.

ფრაქციის წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—

— **სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული** ა. ლ. კ. კ. უჯრედთა ბიურო-კოლექტივის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, 17 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე. ბიურო-კოლექტივის წევრ-კანდიდატებს გარდა უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე ის ამხანაგები, რომელთაც აქვთ შემოტანილი განცხადებები.

ქალ. თბილისის ბაქანის კონტროლიორები და ანგარანის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ საყვარელ ამხ ნაგის

დათიკო კაპანაძის

ტრაგიკულად გარდაცვლების გამო. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ელისაბედის ქ. № 100, 17 მარტს, 2 საათზე-კუკიის სასაფლაოზე.

1835

ღრმათ დამწუხრებული ლიდა ივანეს ასული საყვარელიძე, შვილები პავლე, ვარლამ ვასილი და გრიგოლ მიხეილის-ძენი საყვარელიძეები, ეკატერინა მიხეილის ასული დევდარიანისა, სიძეები ფილიმონ ტარიელის-ძე დევდარიანი და ნესტორ ალექსის-ძე ბასილაიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს

მიხეილ კონსტანტინე-ძე საყვარელიძის

გარდაცვალებას. გასვენება ქ. ზესტაფონში სამშაბათს, 20 მარტს.

ხ. 791

საქართველოს სამხატვრო აკადემიის გამგეობა გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას აკადემიის დაუღალავ მუშაკის სამულიერო სახელოსნოს გამგეს

ავგუსტ ბონიფაცის-ძე ოლინკევიჩის

უეცრად გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 17 მარტს, სამხატვრო აკადემიის შენობაში. გამოსვენება კვირას, დღის 1 საათ.

1843

მეუღლე ბიქტორ ელიზბარის-ძე ბოლქვაძე შვილებით—ჟორჟიკა, დათიკო და კონსტანტინეთი, ძმები: კირილე მეუღლეთი, ვალოდია და ვასო ჯაველიძეები, მაზლისშვილი კიკილო და რძალი ოლია ბოლქვაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მათთვის დავიწყარი და საყვარელი

ეპრაქსი კონსტანტინეს ასული ბოლქვაძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის შესრულების გამო კვირას, 18 მარტს, შუადღის 12 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე (კუკიის სასაფლაო). 1838

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ივლიტა იერემიას ასული, შვილები: გრიგოლ, ქეთევან, დავით, ნინო და ბესარიონ, და მათი აღმზრდელი (ძიძა) მარინა ხარატი, სიძე ნიკოლოზ პავლეს-ძე არხანგელსკი, შვილისშვილები: არკადი და ირაკლი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი უძვირფასესი სამუდამოდ საყვარელი და დაუვიწყარი ქმრის, მამის და ბაბუას მღვდელ

მიხეილ ბესარიონის-ძე ნაზვაძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო ხვალ, კვირას, ა. წ. 18 მარტს, შუადღის 12 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა-პანაშვიდი. ნ. 1834

გაუბედურებული დედა—სალომე, მეუღლე თამარი, შვილები: გოგი, მარო, ლეილა და ნუნუ, შვილისშვილი: ნოდარი და სიძე ონიფანტე ნებიერიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ა. წ. 18 მარტს, დღის 12 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება

სანდრო გვიმრაძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი. 1833

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე საშა, ქალიშვილი მარგო, ძმა დავით, ძმისშვილი აკაკი შენგელიები, დები: ცაცი სალიყაიასი, დომნა ტაბიძისა, ცოლისძმები: ვარლამ და ანტონ ჭოჭუები და სიდედრი დესპინე ჭოჭუასი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 15 მარტს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილ დიმიტრის-ძე შენგელია

დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე კვირას, 18 მარტს, დღის 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან გოგებაშვილის (ყ. პეტროვის) ქ. № 30. 1830

სამუდამოთ გულმოკლული ცოლი მარიამ პავლეს ასული წინამძღვარიშვილისა, ცოლისდა ოლღა, ძმები: გიორგი, მიხეილ და დიმიტრი პავლეს-ძენი არჯევანიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 15 მარტს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

რაჟდენ დიმიტრის-ძე წინამძღვარიშვილი

გამოსვენება მოხდება 18 მარტს, დილის 10 საათზე, ყოფ. კრასნოგორის ქ. № 36. ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი საღამოს 7 ნახ. საათზე. 1842

ნიკოლოზ გაბრიელის-ძე მახვილაძე შვილებით: მიშა, აკაკი, ლეონიდე, თამარი, ქეთევან და ბულა აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 18 მარტს, დღის 1 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია პანაშვიდი უსაყვარლესი მეუღლის და დედის

ნინა მიხეილის ასულის მახვილაძის

გარდაცვალებიდან 1 წლის თავის აღსანიშნავად. (ე)

სახელმწიფო ოპერა

შაბათს 17 მარტს მოსკოვის დიდი აკადემიური თეატრის პრემიერების
ვ. ვ. ბარსოვას და დ. დ. გოლოვინის
პირველი გასტროლი **სევილიელი დალაქი**
ოპერა 3 მოქმედებათ მუსიკა როსინის
მონაწ. ბარსოვა, ნეიმანი, კავსაძე, გოლოვინი, მესხიაევა, დემიანენკო, ფროლოვი, გაეცკი, ბარხუდაროვი
დადგმა ი. ა. გრიჩნევის დირიჟორი ა. მელიქ-პაშაევი

ანონსი: კვირას 18 მარტს სახ. მსახ. ზ. ფალიაშვილის
ახალი ოპერა **ლატავრა** მეორედ

ნ. 790

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონი
პროლეტარი ავლაბარი

სახკინმრეწვის თეატრები

„შანკისხელნი“ ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით 3 და 4 სერია ერთად
უკანასკნელად თბილისში „ნიბელუნგები“ 1 და 2 სერია ერთად
დადგმის მეორე კვირა რომანოვების დინასტიის დამხობა
საიდუმლოებით მოცული დახატული ამერიკაში
[illegible] ახალგაზრდობა მალე [illegible]
„დრამა პომერის ცირკში“ [illegible] მონაწილეობით
ანონსი მალე მსოფლიო შედევრი „Жизнь за жизнь“ 0—14

თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტთან არსებულ კოლექტივთა გაერთიანების სამმართველო იუწყება, რომ 1928 წლის 5 მარტიდან

უქმდება კოლექტივთა გაერთიანებაში შემავალი კოლექტივი „ელდორაპუტ“

იმ პირებს, რომელთაც აქვთ პრეტენზიები ზემოაღნიშნულ კოლექტივის მიმართ, შეუძლიათ ა. წ. 20 მარტამდე მიმართონ თბილისის შრომის ბირჟასთან არსებულ კოლექტივთან გაერთიანების სამმართველოში, ვოლოდარსკის ქუჩაზე (ყ. მადათოვის ქუჩა) № 3 ამხ. სერიდას, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 ს თამდე.

5—1 1682

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, [illegible] და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 ღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—[illegible]

თანახმად საქართველოს სახკომსაბჭოს 6 მარტის დადგენილებისა რიონჰესის სამუშაოთა სამმართველო თბილისში ლიკვიდაცია ქმნილია, აგრეთვე სამუშაოთა მთავარ მწარმოებლის მთავარი კანტორა ქუთაისში და

დაარსებულია ქუთაისში

რიონჰესის სამუშაოთა სამმართველო, რომელიც დაიწყებს მუშაობას 1 აპრილიდან.

ამავე რიცხვიდან ყოველგვარი საქმეების [illegible], რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ სამმართველოსთან ყველა დაწესებულებამ და პირმა უნდა მიმართოს ქ. ქუთაისში შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი, ლენინის მოედანი რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამმართველო. ტელეგრაფის ადრესი: **ქუთაისი რიონჰესი.**

თბილისში რჩება, რიონჰესის საამშენებლო კომიტეტი საქართველოს სახკომსაბჭოსთან, რომელსაც ეყოლება სამდივნო პუშკინის ქ. № 4, ტელ. № 1—49.

რიონის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო კომიტეტი.

ნ. 773 2—2.

ქ. თბილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გამაზოვი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 20 მარტს, დღის 1 საათზე ის, მინადორა მასიაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხეილ ალექსანდრეს-ძე აბგაიძის ქონებას, რომელიც შესდგება სამი კასრი გერმანული ღვინიდან, საერთო რაოდენობით 165 ვედრო და შეფასებული 500 მანეთად. აღნიშნული ქონება იმყოფება მოპასუხე მიხეილ აბგაიძის ღვინის საწყობში ქ. თბილისში კლარა ცეტკინის ქუჩაზე № 155. ვაჭრობა დაიწყება 500 მანეთიდან. 1831

დაკარგა: პირადობის მოწმობა № 142 ნიკო სხირტლაძე სახელზე, ჩ. გ. 1836

დაკარგა კავშირის წიგნაკი, № 39 მარიამ ქიშვარდის ასული პეტრაევას სახელზე ჩ. გ. 1843

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
[illegible]
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20 25—4

ექიმი ა. ს. ფონ-ჰტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს,** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—7

ექიმი მ. ო. ხანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

კბილის ექიმი დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი ს. ი. ანდრეევისა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 6—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფონი 11—78 25—1

ექიმი ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება **ფსიქოთერაპიის** დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) კორპუსის ქ. კუთხე. 25—2

მედიც. დოქტორი ვ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—11

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—10

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
ღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი [illegible] № 3.

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიღება დილის 9 12 საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—67

ქ. ქუთაისი
ექ. თ. ვ. კოპაშვილი
შინაგანი სნეულება სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ 4—6 საათ. 25—1

ექიმი ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—16

ქუთაისში
ექ. დ. ჩეჩელაშვილი
გადავიდა ახალ ბინაზე ჭავჭავაძის ქ. № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით, სადაც იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალ. ექიმობა ფილტვებზე მიღება დილის 8—12 საათ. 13—1

დაკარგა ქალ. ხონში არსებული ცხრაწლედიდან მიღებული მოწმობა № 529 და მეტრიკული ამონაწერი აკაკი გიორგისძე ცაგარეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1828

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 20600, პირადობის მოწმობა, სამსახურის მოწმობები, სამხედრო აღრიცხვის ბარათი პარმენ ჩიქოვანის სახელზე, ჩ. გ. 1829

დაკარგა ქ. გორის პროფესიონალური სასწავლებლის დიპლომი მარიამ ნიკოლოზის ასული შაქარაშვილის სახელზე, ჩ. გ 1840

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 10185 სოფიო კობახიძეს სახელზე, ჩ. გ. 1832

დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი კალისტრატე ჯღამაიას სახელზე, ჩ. გ. 1843

დაკარგა ტერ-ნაწილზე მიწერის მოწმობა აკაკი სართანიას სახელზე, ჩ. გ. 1843

დაკარგა: საპენსიო წიგნაკი № 3819 სოლომონ ხოსროსძე კოკოტოვის სახელზე, ჩ. გ. 1843

დაკარგა საშუალო სათადარიგო მეთაურის სამხედრო მოწმობა № 408 | 390 აკაკი ქეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1943

დაკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი, № 654—254 ვალოდია ხუნდაძის სახელზე, ჩ. გ. 1843

დაკარგა თამასუქი, ასი მანეთისა ერასტო ტუღუშის მიერ ხელმოწერილი სიმონ ბარამიძეს სახელზე, ჩ. გ. 1843

დაკარგა ს. ა. ლ. კ. კ. მანდატი № 7544 და ა.-კ. კომ. უნივერსიტეტის სტუდენტობის მოწმობა გალინა (ელენე) დალაქიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1846

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 2455 მიხეილ გოგიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1847

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 64